

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№177 (236) 3-10 ივლისი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი


# არ შედრკეთ, ძმებო, ჩვენ გავიმარჯვებთ!

ცოტა დროღა დარჩა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელზეც ქართველი ხალხი ავ სიზმრად ქცეულ მიხეილ სააკაშვილის საძულველ რეჟიმს საბოლოოდ მოიშორებს თავიდან და საკუთარი რეალური მომავლის შენებას შეუდგება!

ნაციონალებმა და მათმა ნეტარღიმილიანმა ბელადმა სააკაშვილმა უკვე აგვიშენეს ვირტუალურად **„ბედნიერი“** სახელმწიფო, რომელსაც სახელისუფლებო ტელეარხები გვიჩიჩინებენ, რეალობაში კი ხელთ შეგვრჩა უმუშევრობა, სიღატაკე, ნაგვის ყუთებთან მოფუსფუსე მოხუცები, უსახლკარო და მრავალგზის დარბეული დევნილები, სამშობლოდან გადახვეწილი ქართველები, ჩვენს მიწა-წყალზე შემოხეტებული და დამკვიდრებული გადამთიელები, გათურქებული აჭარა, მეძავთა ასპარეზად ქცეული გონიო, გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა...

რომელი ერთი ჩამოგითვალოთ!

ნაცების ხელისუფლებიდან ჩამოშორებით ჩვენ საბოლოოდ გავინთავისუფლებთ თავს იმ ედუარდ შევარდნაძის საზიზღარი პოლიტიკური რეალობისაგან, რომელიც უკვე ორმოცდამეათე წელია ხორცმეტად ექცა სრულიად საქართველოს, მეტასტაზები გაუშვა მის სხეულში ნაციონალების სახით, მაგრამ ქვეყნის საბოლოოდ განადგურებას მაინც ვერ ეღირსა და ეს უხსენებელი ისე ჩაეშვება საფლავში, რომ მასონთა ოცნების ახდენას ვერ ეღირსება!

სამაგიეროდ ქართული ძალა მოდის, დგება ის ყველასათვის ნანატრი ჟამი, როცა საქართველოს ქართველი ადამიანი უპატრონებს და არა ვინმე გადამთიელი რეაქციონერი.

ყოველივე ეს კარგად იციან სულიერად და ეთნიკურად არაქართველმა სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა და ამიტომაც, სასოწარკვეთილები, ქუჩის ყაჩაღებივით უსწორდებიან პოლიტიკურ ოპონენტებს. ზღვარი აღარ უდევს მათ თავხედობას, ძალადობენ, უზნეოდ ხლართავენ ოპოზიციის საწინააღმდეგო ღონისძიებებს და ყოველგვარი ზნეობისა და კანონის უგულვებელყოფით იყენებენ სახელმწიფო აპარატს შიშისაგან განთავისუფლებელი საზოგადოების კვლავ დასათრგუნად.

მე ის უტვინო ქართველები მეცოდებიან, რომლებიც დიდფულნაშოვნი სააკაშვილისა და მისი ბობოლა ნაციონალების ქვეყნიდან ლაჩრულად მოკურცხვლის შემდეგ პირისპირ აღმოჩნდებიან ქართულ საზოგადოებასთან და ხანგრძლივი ვადით მოუწევთ ციხეებში ჯდომა მათ მიერ ჩადენილი ავკაცობისათვის! მათ ციხეებში შეეძლებათ იმ მატერიალური და ფინანსური ზარალის გამომუშავება, რაც ოპოზიციას მიაყენეს **“პატიოსან”** ბრძოლაში, მორალურ ზარალს კი ვერასოდეს აანაზღაურებენ, ცოდვებს ვერ მოინანიებენ და დამძიმებულებს მოუწევთ ჯოჯოხეთში ყურყუტი. სულაც არ მინდა წარმოვიდგინო, თუ როგორ ქსოვს წინდებს მოწყენილი ნათია მოგელაძე ციხის კამერაში, როგორ ალაგებს კამერას კალმახელიძე, მაგრამ, ეს დალოცვილები, სხვა წარმოდგენის შანსს თავად არ გვიტოვებენ!

ყველა ადამიანი თავად ირჩევს საკუთარ მომავალს, მაგრამ საკუთარი ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლაზე მეტი სიბოროტე ხომ არ არსებობს დედამიწის ზურგზე. ნუთუ ვინმემ მაინც არ ურჩია ქალბატონ ნათია მოგელაძეს და მისთანებს, რომ სააკაშვილის ბოროტი ნებით ამგვარ მძიმე არჩევანზე არ წასულიყვნენ?

ვითომ **“დიდი დემოკრატი”** ამერიკელები იმაზეც კი ხუჭავენ თვალს, რომ ნაციონალებმა უკვე რადიოს მოსმენა აუკრძალეს ხალხს სამარშრუტო ტაქსებში და დიდი ჯარიმებითა და სამსახურიდან მოხსნით ემუქრებიან მძღოლებს, ვინც რადიომიმღების ჩართვას გაბედავს. ამით ნაციონალებმა იმ იდეოლოგიურად მძიმე პერიოდში დაგვაბრუნეს, როცა რადიოსადგურები დასავლეთიდან წამოსულ სიგნალებს ახშობდნენ. თურმე კომუნისტები მართლები ყოფილან, რადგან, როგორც ხედავთ, დასავლეთიდან სიბინძურისა და სიყალბის მეტი ჯერჯერობით ჩვენთან არაფერი მოსულა.

ესეც არ იკმარეს და მოსახლეობას სატელიტურ ანტენებს უხსნიან, რათა რაიონებში მაცხოვრებლები, ტელეარხების **“მაესტროს”, “კავკასიის”** და **“მე-9 არხის”** მეშვეობით ალტერნატიულ პოლიტიკურ აზრს არ ეზიარონ და მხოლოდ მათი ხოტბის შემსხმელ ჯიბის ტელევიზიებს უსმინონ და უცქირონ!

ამიტომაც შეესივნენ ყიზილბაშებივით **“გლობალ-ტვ”**-ს საწყობებს და ანტენები დააყადაღეს, რომელთაც ეს ფირმა განვადებით უმონტაჟებდა საქართველოს მოსახლეობას. სწორედ ამ სატელიტური ანტენების მეშვეობით იგებდა საქართველოს მოსახლეობა სიმართლეს, რაც ხელს არ აძლევთ საქართველოს გასანადგურებლად მოვლენილ მიხეილ სააკაშვილს და მის ბანდას!

სიმართლისა კი მხოლოდ ქურდებსა და ყაჩაღებს ეშინიათ!

ვერც მეტყვით, რითი განსხვავდება სააკაშვილის ხელისუფლება შარაგზის ყაჩაღისაგან. უფრო მეტიც, ხანდახან ყაჩაღს შეეცოდება ხოლმე უმწეო და ხელმოკლე მსხვერპლი და შეიძლება იქითაც კი გაუმართოს ხელი, ნაცები კი განურჩევლად ძარცვავენ ყველას, განსაკუთრებით უმწეოებს და მათგანვე გაღატაკებულებს, უკანასკნელ ლუკმას აცლიან პირიდან, უყადაღებენ ქონებას, უყიდიან სახლ-კარს და ქუჩაში ერეკებიან გაუბედურებულ მოსახლეობას!

ნებისმიერი ანტისახელმწიფოებრივი კანონი, რომელსაც საპარლამენტო ნაციონალური უმრავლესობა დღეს ფაცხა-ფურცხით იღებს, მათ აგონიაზე მეტყველებს. ტყუილად ცდილობენ, რადგან თავადვე კარგად იციან, რომ მათ არჩევნები წაგებული აქვთ და თუ მაინც გაბედავენ შედეგების გაყალბებას, ქართველი ხალხის რისხვა არ ასცდებათ!

ხალხს სხვა გამოსავალს არც უტოვებენ, გარდა დაუმორჩილებლობისა, რადგან, როცა ხელისუფლება ყაჩაღივით იქცევა, ხალხივალდებულიც კი არის წინ აღუდგეს უმსგავსოებას და გარეკოს მოძალადე დიქტატორი და მისი დამქაშები!

ყურები წაიღეს იმაზე ლაქლაქით, რომ საქართველოში კანონიერი ქურდების ინსტიტუტი მოვსპეთო, თუმცა თავად ისე ჩაანაცვლეს ქურდები, რომ შუბლის ძარღვი არ შეტოკებიათ.

ქურდები კანონის გვერდის ავლით სჩადიოდნენ თავიანთ შავ-ბნელ საქმეებს, ესენი კი კანონის მოშველიებით ჩაგრავენ ისედაც გაუბედურებულ მოსახლეობას!

სწორედ ამის შედეგია ქალაქის ქუჩებში ჩახოცილი უდანაშაულო ახალგაზრდები და ხელისუფლების ძალადობით დაღუპული ასამდე ადამიანი.

საქართველოს პატიმრებით სარეკორდოდ გადაჭედილ ციხეებში ყოველ 63 საათში ერთი პატიმარი იღუპება უყურადღებობითა და არასათანადო მოვლით. არაფერს ვამბობ მათ წამებაზე, საჭირო ჩვენებების მისაღებად.

მათ ხელს აძლევთ, რათა ქვეყანა ლტოვილის სტატუსით დასტოვონ, მაგრამ სამართლის რისხვას მაინც ვერ ასცდებიან და მათზე რომ ინტერპოლის წითელი ცირკულარი გამოიწერება, არც ამაში ეპარებათ ეჭვი. ამიტომაც მიდიან ყოველნაირ თავხედურ ძალადობაზე, რომ თავიდან აიცილონ სამართლიანი სასჯელი და კვლავაც ჩვეული დაუოკებელი მადით ძარცვონ ქვეყანა და ხალხი!

რუმინეთის ყოფილმა პრემიერმა ადრიან ნესტასემ ამას წინათ თვითმკვლელობა სცადა, იმიტომ, რომ ბიუჯეტიდან ორი მილიონი დოლარის ქურდობას აბრალებდნენ. წარმოიდგინეთ, აქ რა ამბავი ატყდება, ნაცების **„საქმეების“** გამოძიებას რომ დაიწყებენ – იარაღის ზალპის ხმა დაგვაყრუებს...

თავს დაესხნენ რა **“გლობალ-ტივის”** საწყობებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, რითაც ძლიერი დარტყმა მიაყენეს ქართულ საინფორმაციო სივრცეს, ეტყობა ამერიკელმა ძიებმა გათავხედებულ ნაცხელისუფლებს ყური აუწიეს და მეორე დღეს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე საჯარო განცხადებით გამოვიდა: “**საქართველოში ყველას უნდა მიუწვდებოდეს ხელი ნებისმიერ ინფორმაციაზე, ამიტომ, ვამზადებთ კანონპროექტს, რათა საკაბელო ტელევიზიებმა მომსახურება გაუწიონ ყველა ტელეარხსო”.**

თითქოს **“გლობალ-ტივი”** სხვა რამეს აკეთებდა!

არ შედრკეთ საქართველოს მტარვალთა მარწუხებისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლო ქართველო რაინდებო! მართალია დღეს სააკაშვილი და მის გარს შემოკრებილი ეთნიკურად არაქართული ოლიგარქია გამარჯვებას ზეიმობს, მაგრამ მოჩვენებითია მათი სიხარული. მართალია მათ ჯერ კიდევ ხელთ უპყრიათ საქართველოზე ბატონობის გასაღები, მაგრამ მოჩვენებითია მათი ძლიერება – არ შეიძლება, რომ ფესვებს მოწყვეტილი ხე ძლიერი იყოს!

არ შეიძლება ქართველ ერზე გაიმარჯვოს გაუგონარმა სულიერმა სიღატაკემ და ზნეობრივმა სიმდაბლემ. არ დარჩენილა არცერთი ადამიანური სისაძაგლე, რომლითაც ნაციონალებს და მათ ბელადს თავი არ **“ესახელებინოს”.** მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის თავს დავით აღმაშენებელს ადრის, იგი აჩრდილიც კი არ არის საქართველოს თუნდაც ყველაზე სუსტი მეფისა.

ამას წინათ ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნდა ვიდეომასალა, რომელშიც სააკაშვილი ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლეებს ლამის კონკრეტული ქმედებების დემონსტრირებით მოუთხრობდა თვითმფრინავში საკუთარი სექსუალური თავგადასავლის თაობაზე. ეს გახლავთ მათი **„განათლების რეფორმა“**. ადრე სკოლის მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ რუსული ენა, კითხულობდნენ უმდიდრეს რუსულ კლასიკას და ამითაც იმაღლებდნენ განათლების დონეს. ამათ კი ოცი ათასი **„პედაგოგი“** ჩამოიყვანეს ქართველი ხალხის **„ინგლისურად გასანათლებლად“**, რომელთა შორის მეძავები და ჰომოსექსუალებიც უხვად იყვნენ. მათი წყალობით ქართველმა ბავშვმა დღეს აღარც რუსული იცის, აღარც ინგლისური და ვერც ქართულის ღრმად ცოდნით დაიტრაბახებს.

ცხოვრებამ არაერთგზის დაადასტურა, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოსა და ქართველი ერის მოღალატე და დაუძინებელი მტერია (თუმცა, როგორ შეიძლება საქართველოს მოღალატე უწოდო ეროვნებით სომეხ ადამიანს...), ქვეყნის ეკონომიკას კი (თუ ამგვარი რამ საერთოდ არსებობს ბუნებაში) კი მისი ვიწრო ოჯახური წრე განაგებს მონოპოლიური კლანების მეშვეობით, რაც აუტანელს ხდის საქართველოში ცხოვრებას!

ხელისუფლება ცეცხლის ფასად გვაძლევს ლუკმა პურს, წამლებს, განათლებას... დაუნდობლად ანადგურებს ქართულ ეკონომიკას, კულტურას, ხელოვნებას, განათლებას, სულიერებას, რელიგიურ სულისკვეთებას!

ამიტომაც იცლება საქართველო ქართველებისაგან, სააკაშვილი კი ახალ ქალაქს – **“ლაზიკას”** აშენებს!

საინტერესოა, ვისთვის, რადგან, როცა მისი ავადმყოფური წარმოსახვის რეალიზება მოხდება (იმედია – არასოდეს!), საქართველოში ქართველი ალბათ სანთლით საძებნი გახდება.

ყველაზე სახალისო კი ის არის, რომ ძალაუფლების დაკარგვის შიშით სახედაკარგული სააკაშვილი აღარც თავის თანამემამულეებს ენდობა – ამას წინათ გამოაშკარავდა, თუ როგორ დააყენეს ქართულმა სპეცსამსახურებმა მოსასმენი აპარატურა დარბაზში, სადაც სომხურ დიასპორასთან შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო.

დღეს ხელისუფლება ცდილობს საქართველოს ისტორიის გადაწერას და ურცხვად გვიმტკიცებს, რომ იგი 2003 წლიდან იწყებაო. მაგრამ არ იციან, ამ უბადრუკებმა, რომ ისტორია კი არ იწერება, მას ერი ქმნის და ქართველ ერს საკუთარი წარმოდგენა გააჩნია სააკაშვილზე, რადგან იგი სომხეთის ისტორიის ნაწილია და არა საქართველოსი.

ამიტომაც ვერ დაიჭერს იგი ღირსეულ ადგილს საქართველოს ისტორიაში და მისი მმართველობის პერიოდი კიდევ ერთ შავ-ბნელ ხანად შევა ჩვენი ქვეყნის მატიანეში.

მე ის გზააბნეული მეგრელები მეცოდებიან, თავდახრილები, ყურმოჭრილ მონებად რომ ემსახურებიან სომეხ რეაქციონერ სააკაშვილს და ხელს უწყობენ მას საქართველოს დანგრევაში. გაზეთი **“ილორი”** სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ბეჭდვითი ორგანოა, აღნიშნული სახალხო მოძრაობა კი მოწოდებულია, რომ დაიცვას მშობლიური კუთხისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესები. მაგრამ ჩვენი დაცვის ქვეშ იმყოფებიან უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანები და არა მათი მჩაგვრელები, რომლებმაც დიდი ხანია დაიმკვიდრეს ადგილი სისხლის სამართლის დამნაშავეებს შორის. ჩვენ უბრალოდ ვაფრთხილებთ ნაციონალთა (და არა საქართველოს) სამსახურში ჩამდგარ ადამიანებს, რომ ხელი აიღონ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე, არ შეასრულონ უკანონო ბრძანებები და თავიდან აიცილონ მოსალოდნელი სასჯელი.

სასჯელი რომ გარდაუვალი და სამართლიანი იქნება, ამაში უკვე თვით პირწავარდნილ ნაციონალებსაც კი არ ეპარებათ ეჭვი!

**დანაშაულის** საპირწონე ხომ ნორმალურ საზოგადოებაში მხოლოდ **სასჯელია,** მაგრამ არა ნაცებისა და სააკაშვილის საზოგადოებისათვის, რომელთა მიერ შექმნილ **„დემოკრატიულ და თავისუფალ“** საქართველოში მკვლელები პრივილიგირებულები არიან, არასასურველი პოლიტიკოსები კი ინკრიმინირებული სისხლის სამართლის დანაშაულით სხედან საპატიმრო ადგილებში.

და კიდევ, ერთხელ უნდა შევეხოთ უხსენებელ შევარდნაძეს, რომელმაც საქართველო რამდენიმე ვერცხლის საფასურად მიუგდო საჯიჯგნად სააკაშვილს და მის სომხურ ბრბოს, ახლა კი კვლავ გვმოძღვრავს და ჭკუას გვასწავლის. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ სწორედ მისი ბინძური სცენარით აგორდა ავადსახსენებელი **“ვარდების რევოლუცია”** სამეგრელოდან. იმედია, ამჯერად სამეგრელო აღარ მოტყუვდება და ყურს მიუგდებს სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოსა”** და მისი ლიდერის **ალექსანდრე ჯაჯიას** რჩევებს, რომელიც ოც წელზე მეტია დაუნდობლად ამხელს საქართველოს შესეულ მანქურთებს და კატეგორიულად შეურიგებელია საქართველოს მტრების მიმართ!

ასე რომ, არ შედრკეთ, ქართველებო, მალე ყველაფერი კარგად იქნება!

# ალასანია და "მეგრული საკითხი"

**"ქართულმა ოცნებამ»"** ირაკლი ალასანია სამეგრელოს მიავლინა. წაჰყვა თუ არა თანამედროვე დეკაბრისტს **«გადასახლებაში»** მეუღლე, ამაზე მატიანე დუმს. აპრილიდან **«ხალხში»** გასული ალასანია სოფელ-სოფელ დადის და ერთსა და იმავე დაპირებებს არიგებს.

4 მაისი, **ზუგდიდი:**

**«სამეგრელო იქამდე ვერ დადგება ფეხზე, ვიდრე ხელისუფლება სინგაპურიზაციას და ქვეყნის ეკონომიკის ბენდუქიძისეული მეთოდებით მართვას გააგრძელებს. «ქართული ოცნების» ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველა სფეროში ერთპიროვნული მმართველობა დასრულდება. ჩვენი ამოცანაა, ევროპის ნაწილი გავხდეთ ისე, რომ ჩვენი ეროვნული ღირსება შევინარჩუნოთ. შემდეგი არჩევნები არის გადამწყვეტი, კერძოდ, ის, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხალხი ამ არჩევნებში».**

5 მაისი, **თეკლათი:**

**«ბოლო რვა წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად განადგურდა. ეს ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი არ იყო, შედეგად, 80% სასოფლო სამეურნეო პროდუქცია ქვეყნის გარედან შემოგვაქვს. გლეხები და ფერმერები უმუშევრები არიან. ჩვენი მთავარი გზავნილი ისაა, რომ სოფლის მეურნეობაში მილიარდიან ინვესტიციას ჩავდებთ და ამ სფეროს წელში გავმართავთ. დავიბრუნებთ როგორც შიდა ბაზარს, ასევე ჩვენს ტრადიციულ ბაზრებს. «ქართული ოცნების» პრიორიტეტები სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, განათლება და სოციალური თემებია».**

7 მაისი, **კირცხი, ლეწურწუმე:**

**«ეს სოფელი პრაქტიკულად საძოვრების გარეშეა დარჩენილი, რადგანაც ხელისუფლებამ სოფლის მცხოვრებლების მალულად გაასხვისა მათი კუთვნილი მიწები. სოფლის საჯარო სკოლა დანგრევის პირასაა მისული. სკოლის 1-ლ, მე-2, და მე-3 კლასელებს ერთ საკლასო ოთახში უტარდებათ გაკვეთილები.**

**ეს არის ის რეალობა, რომლის დანახვაც სააკაშვილს არ უნდა. ეს არის სააკაშვილისა და შაშკინის განათლების რეფორმა. ამ სკოლაში არა თუ ინტერნეტი, ფანჯარაში შუშაც არ არის ჩასმული. მე ჩავალ ყველა სოფელში და ავუხსნი ჩვენს მოქალაქეებს, თუ როგორ შეიცვლება მათი ცხოვრება ჩვენი გამარჯვების შემდეგ. «ქართული ოცნება» — ეს არის ჯანმრთელი, განათლებული, დასაქმებული და სამართლიანი საქართველო».**

23 მაისი, **ურთა:**

**«ურთაში ადგილობრივი მაჟორიტარის დაპირების მიუხედავად, არ არსებობს სამედიცინო პუნქტი და შიდა გზები. როდესაც გავიმარჯვებთ, ჩვენი გლეხი წელში გაიმართება, ეს შექმნის რეალურ სამუშაო ადგილებს და უმოკლეს ვადაში სოფლად უმუშევრობის პრობლემა აღარ იქნება».**

24 მაისი, **ინგირი:**

**«ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, დასაქმება და სოციალური პროგრამები არის ის თემები, რომლებიც შეხვედრაზე მოსულ ადამიანებს აინტერესებთ».**

სხვა მრავალ ამგვარ განცხადებას შორის ყურადღებას იქცევს ერთი ასეთი: **«ყველას უნდა, მრავალპარტიული, დაბალანსებული პარლამენტი დაინახოს და არა ერთპარტიული და ერთპიროვნული მმართველობა, როგორიც ბოლო 8 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. პირველ რიგში, საბიუჯეტო სახსრების სწორი ხარჯვა იქნება მოწესრიგებული, მოისპობა მონოპოლიები, დამარცხდება კლანური მმართველობა ჩვენს ქვეყანაში. სამეგრელოს მართავს რამდენიმე კლანი, მათ შორის, ახალაიებისა და გოროზიების. ეს კლანური მმართველობა დასრულდება. სივრცე გაეხსნება მცირე და საშუალო ბიზნესს და სამუშაო ადგილები რეალურად გაჩნდება».**

ამ განცხადებაში საინტერესო ის არის, რომ ნაცვლად სამი მეოთხედით მოგებისა, როგორც ამას ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, აქცენტი მრავალპარტიულ, დაბალანსებულ პარლამენტზე კეთდება, ანუ, როგორც 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისას, ალასანია მზად არის, დღევანდელ მმართველ პარტიასთან მომავალ პარლამენტშიც ითანამშრომლოს და, თუ საჭირო შეიქნა, გამარჯვებაც მიულოცოს!

ახლა — რაც შეეხება ახალაიებისა და გოროზიების კლანს: გოროზიას ისიც ეყოფა, ჰოლანდიიდან შემოტანილი სპერმით ქართული ჯიშის ძროხები რომ გაანაყოფიერებინა — ტანმორჩილმა ქართულმა ძროხებმა მსხვილი ნაყოფი ვერ ატარეს და დაიხოცნენ. გულმოსულმა გოროზიამ ხელქვეითები დატუქსა: **«ის სპერმა ნახევარი პორცია შეგეშვათ და ძროხებიც არ დაგეხოცებოდათო»**! ამ ინტელექტის პატრონს თუ **«თანაკლანელებიც»** ასეთი ჭკვიანი ჰყავს, აშენებულა სამეგრელო? და მმართველი პარტიაც!

ახალაიების საკითხი კი სულ სხვაა: ხელისუფლებამ ალასანიას გამოწვევა მიიღო და ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატად სწორედ ამ კლანის ნათლიმამა — როლანდ ახალაია განიხილება. სამეგრელოში ჩასვლა ეგრე არ უნდაო და მაისის ბოლოს ბაჩო ახალაიაც ზუგდიდში გადავიდა საცხოვრებლად. დიპლომატიური და სტერილური ალასანიასგან განსხვავებით, იგი, მართალია, ხშირად იგინება, მაგრამ მეგრულად მაინც ლაპარაკობს. ალასანია კი სამეგრელოში **«პარკეტნი»** მეგრელს უფრო ჰგავს, რომელსაც ერთი და იმავე სიტყვებით წალენჯიხელი, ჩხოროწყუელი და მარტვილელი ამომრჩევლის მოხიბლვა სწადია.

მისი ზოგადი ფრაზები საქართველოს ნებისმიერ კუთხეშიც ასევე იქნება მიღებული, რადგან, ცხოვრება რომ მძიმე აქვთ, ქართველებმა ისედაც იციან, ხოლო კონკრეტულად რა გზით აპირებს ამ პრობლემების მოგვარებას **«ქართული ოცნება»**, ამის შესახებ ალასანიას არაფერი უთქვამს, ან ამის რწმუნება კოალიციის ლიდერისგან არ ჰქონია. ოზურგეთში გამართულ აქციაზე ივანიშვილმა კონკრეტულად ახსნა, როგორ უნდა ეშველოს სოფლის მეურნეობას: შეიქმნება მილიარდიანი ფონდი, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობის საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული.

ბაჩო ახალაიას გარდა, როგორც ამბობენ, სამეგრელოში გიორგი ზვიადის ძე გამსახურდიაც გადავიდა და მამაპაპეულ აბაშაში გამაგრდა. ისიც დაუქადნია, ერთი ვნახავ, აქ როგორ ჩამოვა ალასანიაო! აბაშაში მისი ერთადერთი ვიზიტის ამსახველი ფოტოები **«ფეისბუქზე»** დევს, მაგრამ იქ იგი მოსახლეობასთან არ ჩანს, სამაგიეროდ, ზვიად გამსახურდიას დიდ ფოტოსთან არის გადაღებული.

ალასანია აცხადებს: **«მოსახლეობასთან შეხვედრები დიდ სტიმულს მაძლევს. ყველგან ხალხმრავლობაა, ყველგან მეუბნებიან, — მე აქ ერთი მოვედი, მაგრამ ჩემ უკან 100 კაცი დგას, რომელთაც თქვენგან მოსმენილი სიტყვები უნდა მივუტანო».** ერთი სიტყვით, ეს **«ხალხმრავლობა» სინამდვილეში თითო-ოროლა კაცია, რომელთა უკან «100-100 კაცი დგას».** ზრდილი მეგრელები სტუმარს უკადრებელს არასოდეს ჰკადრებენ, მაგრამ ეს სიტყვები თავად მეტყველებს იმაზე, რომ მას აწყნარებენ, მერე რა, რომ ცოტანი ვართ, წავალთ და ამბავს ჩვენ მივუტანთ იმ 100 კაცსო!

თუმცა ყველაზე საინტერესო ამ უცნაური ფორმულირების შემდეგ მაინც ის არის, რომ, ალასანიას ვერსიით, **«რომ არა ბეჭდური მედია და «ფეისბუქი», გაგვიჭირდებოდა ამ კამპანიაში ჩვენი გზავნილის მიტანა მოსახლეობამდე».** როგორ წარმოუდგენია მას სამეგრელოს **მოსახლეობამდე საკუთარი გზავნილების სოციალური ქსელებით მიტანა, როცა თავად აცხადებს: «საქართველოს 230 სოფელი მოვიარე. საქართველო ვითარდება მხოლოდ ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, რამდენიმე ასეულ მეტრს როგორც კი გადაუხვევთ, ნახავთ უგაზო, უწყლო, უგზო სოფლებს, სადაც გლეხს არა აქვს ელემენტარული საარსებო საშუალება. სკოლებში არა თუ ინტერნეტი, ფანჯარაში შუშაც არ არის ჩასმული».**

ამ სოფლებში **«ფეისბუქით»** მიტანილი გზავნილები უთუოდ მეტად ეფექტური იქნება და ალასანიაც ეიფორიაშია: **«აისბერგი უკვე დაიძრა!»**

თანამედროვე ქართული კართაგენი დაეცემა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ **«ტიტანიკი»** ნამდვილად ჩაიძირა და მასზე მყოფ მგზავრს აისბერგის დაძვრა მაინცდამაინც არ უნდა უხაროდეს! თუმცა ალასანიას არჩევნებში გამარჯვებისა უზომოდ სწამს და ჟურნალისტის კითხვაზე — რატომ აიგივებთ სამეგრელოში მოგებას საქართველოში გამარჯვებასთან? — პასუხობს: **«უპირველესად, იმიტომ, რომ ახლა სამეგრელოში ვარ და იმ ადამიანების სახელით ვლაპარაკობ, რომლებიც მხარს მიჭერენ».**

მოკლედ, ხვალ თუ მარნეულში მიავლენენ, იქაც იმავეს იტყვის, რადგან **«მარნეულში იქნება და იმ ადამიანების სახელით ილაპარაკებს, რომლებიც მხარს უჭერენ.»**

არა, დიპლომატებს, როგორც ჩანს, რაღაც ისეთ ვაქცინას უკეთებენ, რომელიც სისხლიდან აღარ გამოდის. მათი ნალაპარაკევიდან აზრის გამოტანა ყოველთვის ჭირს. ამ თვისებით სიძე-ცოლისდა — ალასანია-ფანჯიკიძეც უხვად შეუმკია შემოქმედს. ამომრჩეველი პოლიტიკური ლიდერის სიტყვებში შენიღბული ინფორმაციის ამოცნობაზე ვერ იქნება მომართული. ვერც იმას გაიგებს, რასაც დიპლომატები ერთმანეთს უფრო იმიტომ ეუბნებიან, რომ არაფერი თქვან. სოფელ-სოფელ სიარული კარგიცაა და აუცილებელიც, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ადგილობრივ საზოგადოებაზე, სოციალურად აქტიურ ადამიანებზე დაყრდნობა, რადგან სწორედ მათ იციან იქაური პრობლემები და კონკრეტული ადამიანების გასაჭირი.

თანაც აქ, სადაც **«არა თუ ინტერნეტი, ფანჯარაში შუშაც არ არის ჩასმული»,** არა მგონია, **«ფეისბუქი»** და სოციალური ქსელები ალასანიას დიდად წაადგეს. თანაც იქ არც **«კავკასიას»** აჩვენებს, არც **«მაესტროს»** და არც **«მეცხრე არხს»,** ბეჭდურ მედიასაც ძალიან უჭირს, იმიტომ, რომ გაზეთში გადასახდელი 2 ლარის გამონახვა ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისთვის შეუთავსებელი ფუფუნებაა.

**ისეც ნუ წარმოვიდგენთ, რომ ადგილზე ბნელი და უკუნია, ინფორმაცია ვრცელდება, ოღონდ სხვა მეთოდებითა და საშუალებებით. ბევრისთვის «იმედისა» და «რუსთავის 2»-ის დეზინფორმაციის ერთადერთი ალტერნატივა არის სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» გაზეთი «ილორი», რომელიც უფასოდ რიგდება. სახალხო მოძრაობა «სამეგრელო» ახერხებს თავისი მრავალრიცხოვანი აქტივისტებისთვის სხვა გამოცემების მიწოდებასაც და რეგიონში ერთ-ერთი მთავარი პოლიტინფორმატორია. მოძრაობა «სამეგრელო» ათეული წელია, მოღვაწეობს და არა მარტო სამეგრელოს პრობლემებს იცნობს, არამედ მეზობელ აფხაზეთთანაც ერთი წუთით არ გაუწყვეტია კავშირი.**

ალასანია არ ტყუის, როცა ამბობს: **«სამეგრელო არის ხიდი ქართულ-აფხაზური ურთიერთობისა და ძმობის აღდგენისთვის, რაც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია».** მართალია, მაგრამ ეს ხიდი სწორედ ის კონკრეტული ადამიანები არიან, რომელთა გარეშეც აპირებს ალასანია (და არა მარტო იგი) ამ საკითხის მოგვარებას. **«ოცნებას»** და ალასანიას კი მოძრაობა **«სამეგრელოსთან»** ჯერჯერობით ურთიერთობა არ ჰქონიათ...

ამასობაში კი მმართველი პარტია ამომრჩეველთან მუდმივად უშუალო კონტაქტშიც არის და არც ალასანიას ნახსენებ სოციალურ ქსელებს ივიწყებს, თუმცა ეს მანაც კარგად იცის, როცა აცხადებს: **«სოციალურ ქსელებში «ნაციონალური მოძრაობის» ზონდერჯგუფები აქტიურად მუშაობენ».** ამ **«მუშაობის»** ერთი თვალსაჩინო მაგალითი ასეთია: **«დღეს მინდა პირველად გიამბოთ იმ საქციელზე, რასაც ირაკლი ალასანია აკეთებდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს სოფელში მისმა რაზმმა ააოხრა ყველაფერი. ოჯახი არ დატოვეს გაუქურდავი. მოროდიორობდნენ, წვავდნენ სახლებს, რაც ვერ მიქონდათ, პირდაპირ ანადგურებდნენ. პირუტყვი და შინაური ფრინველიც არ დაუტოვებიათ ცოცხალი და წასვლისას წამოგვაძახებდნენ ხოლმე «შიმშილით უნდა მოგკლათო». მახსოვს, ერთმა თანამებრძოლმა ალასანიას ხელი აურტყა იარაღზე, რომელიც საქონლის მოკვლას აპირებდა და ალასანიამ ფეხებში ესროლა. მისი რაზმი ცივსისხლიანობით გამოირჩეოდა».**

აფხაზეთიდან ჩამოტანილ ამ რეპორტაჟში კიდევ ბევრი სისაძაგლეა, მაგრამ მათი განეიტრალება ალასანიას მხოლოდ იქ დასახელებული აფხაზის — არნოლდ ჯალაღონიას მეშვეობით შეუძლია...

**თამარ დავითულიანი**

# საქართველო არშემდგარ სახელმწიფოთა შორის

**„არშემდგარი ქვეყნების 2012 წლის რეიტინგში“,** რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია **„The Fund For Peace“**-მა შეადგინა, საქართველო 84,8 ქულით 177 ქვეყანას შორის 51-ე ადგილს იკავებს.

ინდექსის მიხედვით, საქართველოს პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ უზბეკეთზე (39-ე ადგილი), ყირგიზეთსა (41-ე) და ტაჯიკეთზე (46-ე) უკეთესი მაჩვენებელი აქვს. რეიტინგში თურქეთი — 85-ე, სომხეთი — 102-ე, აზერბაიჯანი — 68-ე, ხოლო რუსეთი 83-ე ადგილს იკავებენ და ამ მაჩვენებლებით საქართველოს უსწრებენ. რეიტინგში დაკავებული პირველი ადგილი ყველაზე უარესი მაჩვენებელია, ხოლო ბოლო ადგილი — უკეთესი. ირკვევა, რომ ყველაზე არშემდგარი ქვეყანა სომალია (პირველი ადგილი), ხოლო ყველაზე წარმატებული — ფინეთი (177-ე ადგილი).

რეიტინგი ქვეყნებში კანონდარღვევების ფაქტების რაოდენობას, არაეფექტიან მმართველობას, ტერორიზმს, მეკობრეობას, დევნილთა რაოდენობასა და სხვა კრიტერიუმებს ემყარება.

აღსანიშნავია, რომ რეიტინგში საქართველოზე უკეთესი მაჩვენებლები ისეთ ქვეყნებს აქვთ, როგორიცაა: ჯიბუტი, პაპუა-ახალი გვინეა, მოზამბიკი, ბუტანი, გამბია, ფიჯი, ტანზანია, ნიკარაგუა, კაბო-ვერდე, გაბონი, ბოტსვანა, ბრუნეი, ანტიგუა და ბარბუდა და მავრიტანია. თავის მხრივ, საქართველო ირანს, ნიგერიას, კამერუნს, ავღანეთსა და ერაყს უსწრებს.




# რატომ მალავს ზუგდიდის საკრებულო შსს-თვის ავტომანქანის გადაცემის ფაქტს?

საქინფორმის კორესპონდენტი ნიკო დადიანი ზუგდიდიდან იტყობინება: ივნისში ზუგდიდის საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელზეც სხვადასხვა საკითხთან ერთად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება **„ტოიოტა პრადოს“** (სახელმწიფო ნომრით **ZIZ**-880) საქართველოს შსს-ის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოსთვის დროებით სარგებლობაში გადაცემის საკითხიც უნდა განეხილათ, თუმცა დღის წესრიგი შეიცვალა და საკითხი არ განხილულა.

სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან კონჯარიას ჩაწერის საშუალება არ მიეცათ, თუმცა დეპუტატმა ლაშა ქობალიამ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ეს საკითხი სხდომაზე განიხილეს და თავად მას მხარიც კი დაუჭირა.

მოგვიანებით კი საკრებულოს აპარატის უფროსმა თემურ ბასილაიამ მედიას განუცხადა, რომ შსს-ის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოსთვის ავტომობილის დროებით სარგებლობაში გადაცემის საკითხის განხილვა გარკვეული დროით გადაიდო. ბასილაიამ მიზეზები არ დაასახელა, თუმცა ის ფაქტი, რომ სხდომაზე საკითხი განსახილველად არ გაუტანიათ, რამდენჯერმე დაადასტურა.

ამჯერად კი საქინფორმის კორესპონდენტმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი აღმოაჩინა, რომელიც ადასტურებს, რომ **„ტოიოტა პრადო“** სახელმწიფო ნომრით **ZIZ**-880 ნამდვილად გადაეცა შსს-ის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს, თუმცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს ფაქტი დამალა. ზუგდიდის საკრებულოს ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, საკრებულოს სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად ზემოთ აღნიშნული საკითხიც განიხილეს (რაც სინამდვილეში არ მომხდარა!) და როგორც სხვა დანარჩენზე, მასზეც იქნა განკარგულება მიღებული.

საქინფორმის კორესპონდენტი მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან კონჯარიასთან დაკავშირებას, თუმცა ის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა.

**ნიკო დადიანი**

# გაზეთ "ილორის" რედაქციას!

მართალია, ამ წერილს მხოლოდ მე ვაწერ ხელს, მაგრამ მასში გამოთქმული აზრი მრავალი ჩემნაირი ადამიანის სურვილია. უბრალოდ, დევნილთა გარკვეულ ნაწილს არ სურს საკუთარი ვინაობის გამხელა, ვინაიდან ძალაუფლების დაკარგვის შიშით ატანილი სააკაშვილის ხელისუფლება ყოველგვარ საძრახის საქმეზე მიდის და გამორიცხული არ არის, რომ საწინააღმდეგო აზრის მქონე ლტოლვილებს ის მიზერული დახმარებაც მოგვიხსნან, რაც მხოლოდ იმისთვისაა საკმარისი, რომ უსახლ-კაროდ დარჩენილ ადამიანებს შიმშილით არ ამოძვრეთ სული!

ეს არ გახლავთ პოლიტიკური შიში – ესაა მხოლოდ იმ გაჭირვებული ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის დაუძლეველი სურვილი, რომლებიც სააკაშვილის აშკარად არაქართული ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილი სოციალური პრობლემების გამოისობით სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებიან.

ჩვენს ამ მიმართვაში, საუბარი გვექნება არჩევნებისწინა პერიოდზე, როცა გააქტიურდნენ ის პოლიტიკური ძალები, რომელთა არსებობის თაობაზე მოსახლეობა მხოლოდ არჩევნების დროს იგებს ხოლმე. ფაქტია, რომ ესენი არიან ხელისუფლების მიერ შეკოწიწებული უბადრუკი ძალები, რათა **"ნაციონალებმა"** შექმნან პატიოსანი პოლიტიკური ბრძოლის დამაჯერებელი სურათი და კიდევ რამდენიმე წლით გადაივადონ ქვეყნისა და ხალხის ძარცვ-გლეჯის პროცესი.

საქართველო კი თანდათან სუსტდება და უკვე გაქრობის პირასაა მისული.

პატივცემულო რედაქცია! ქაფი არასოდეს იძირება და ყოველთვის ზედაპირზე ტივტივებს ხოლმე. სწორედ ასეა ქართულ პოლიტიკურ რეალობაშიც – სწორედ პოლიტიკური ქაფის შიგთავსის მქონე **"რესპუბლიკელები"** დღეს კვლავ პოლიტიკურ მოვლენათა ზედაპირზე იმყოფებიან და ვითომ დაუნდობელ ბრძოლას უცხადებენ იმ ყოველივე არაქართულს, რასაც, **"თავისუფლების ინსტიტუტის მაღალი ტრიბუნიდან"**, თავად ამკვიდრებდნენ **"ცეცხლითა და მახვილით"** ამ რამდენიმე წლის წინათ.

გაიხსენეთ დავით უსუფაშვილის, თინა ხიდაშელის, დავით ზურაბიშვილის, ძმები ბერძენიშვილებისა და **"სოროსის ფონდის"** მიერ გამოკვებილი ავადსახსენებელი **"თავისუფლების ინსტიტუტის"** სხვა აღზრდილების პოლიტიკური განცხადებები, რომლებიც ირონიულად და დაცინვით მოიხსენიებდნენ ყოველივე ლამაზ ქართულ ტრადიციებს, უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ ილიას, ვაჟას, სხვა პატრიოტებს...

აღარ მინდა გავიხსენო ყოველი ის უკეთურობა, რაც მათ თავს მოახვიეს საქართველოს და ქართველ ხალხს. დღეს ისინი ივანიშვილის პოლიტიკურ ტალღას ქეჩოზე შემომსხდარები შემოჰყვნენ და ქვეყნის მართვის სადავეებს ეპოტინებიან, ამ პოლიტიკური ძალის გამარჯვება კი უკვე ბევრ ვინმეში აღარ იწვევს ეჭვს (თუმცა, ესეც სულ სხვა განხილვის საგანია!). აქედან უკვე გამოსჭვივის რეალური საფრთხე, რადგან ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ რამდენიმე წელიწადში იგი წავა დიდი პოლიტიკიდან და ასპარეზს მასთან მყოფ ძალებს დაუთმობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კვლავ არაქართული ძალები დაეპატრონებიან რესპუბლიკელებისა და სხვა ახალი პოლიტიკური მანქურთების სახით.

ჩვენ ერთხელ უკვე ვიწვნიეთ სამეგრელოს ინიციატივით ქვეყნის სათავეში მოყვანილი ნაციონალებისა და სააკაშვილის მავნებლური საქმიანობის შედეგი და ამიტომ ახალი შეცდომის დაშვების უფლება აღარ გაგვაჩნია!

გაგახსენებთ ერთ მეტად საყურადღებო მომენტს ჩვენი უახლესი პოლიტიკური ცხოვრებიდან, რომელიც ჟურნალისტმა ლადო ქირიამ გამოაქვეყნა გაზეთში **"საქართველო და მსოფლიო"**. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას სხვებთან ერთად მიესალმნენ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ზუგდიდის ორგანიზაციის წევრები და მხარდამჭერები, თუმცა მათ არ იცოდნენ, თუ როგორი პოზიცია ეკავა ამ მოძრაობის ლიდერ ალექსანდრე ჭაჭიას. ძალიან აინტერესებდათ, თუ რას ფიქრობდა ცნობილი პოლიტოლოგი. ალექსანდრე ჭაჭია კი არ ჩქარობდა თავისი პოზიციის დაფიქსირებას გარკვეული მოსაზრების გამო.

ივანიშვილის გამოჩენიდან ნახევარი წლის განმავლობაში ღრმა ანალიზური დაკვირვების შემდეგ ალექსანდრე ჭაჭიამ ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია: **"მე, როგორც ბევრი სხვა საქართველოში, იმედიანად შევხვდი ივანიშვილის გამოსვლას პოლიტიკურ არენაზე, განსაკუთრებით მისი განცხადების შემდეგ იმის თაობაზე, რომ ის დიდხანს ემზადებოდა ამ ნაბიჯისთვის, ყველაფერი გათვალა და მზადაა, მძიმე ბრძოლისთვის... ეს იყო სერიოზული ადამიანის განცხადება...**

**"...მაგრამ გამოხდა ხანი და აღმოჩნდა, რომ ჩამოყალიბებული პროგრამა მას არ აქვს, კადრები არ ჰყავს.."** – გულისტკივილით აღნიშნავდა ალექსანდრე ჭაჭია თავის ვრცელ ინტერვიუში. ადამიანს, რომელმაც შექმნა ფუნდამენტური პროგრამა – **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა"**, აქვს ამგვარი შეფასების გაკეთების მორალური და პოლიტიკური უფლება.

გამოხმაურებებში, რომელიც ამ ინტერვიუს მოჰყვა, რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ბატონმა ბიძინამ უნდა უგდოს ყური და ალექსანდრე ჭაჭია მას ყოველთვის გაიყვანს ფონს. რომ განსაკუთრებით ყურადსაღებია რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა და დამოკიდებულება, რომ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული გამოცდილი, გამჭრიახი, თითქმის წინასწარმეტყველის დონემდე პოლიტიკური ნიუანსების მცოდნე ადამიანის, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას სტრატეგიული და ტაქტიკური პოლიტიკური მოსაზრებები, თუ ბატონი ბიძინა მართლა აპირებს ქართული ოცნების ასრულებას, რომ საქართველომ ალექსანდრე ჭაჭიას ლამის წინასწარმეტყველური მოსაზრებების იგნორირებით ბევრი დაჰკარგა და კიდევ ბევრს დაჰკარგავს.

სამწუხაროდ, დღემდე არაფერია შეცვლილი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, მიუხედავად იმისა, რომ **"ქართული ოცნება"** აშკარად ვერ იკიდებს სამეგრელოში ფეხს ისე მყარად, როგორც სხვა რეგიონებში.

ამით კი ჩვენი საერთო საქმე ზარალდება, რაც **„ნაციონალებს"** და მათ ბელადს თავისთავად უხანგრძლივებს უბადრუკ პოლიტიკურ ყოფას.

ნუთუ ძნელია იმის შეგნება, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთში დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** და მისი ლიდერის, ცნობილი პოლიტიკოსის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას პიროვნული ავტორიტეტი! ნუთუ საკმარისი არ არის იმის გააზრება, რომ სწორედ ალექსანდრე ჭაჭია წარმოადგენს რეალურ ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც წლების წინ ავადსახსენებელი **"მოქალაქეთა კავშირის"** დამკვრელურ ძალად ქცეული დღევანდელი **"რესპუბლიკელები"** დაუნდობლად ებრძოდნენ და სხვათა მსგავსად მოითხოვდნენ მის იზოლირებას!

სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** მესვეურები, ბატონი ალექსანდრე ჭაჭია არასოდეს ბუზღუნებდნენ, რომ მათ არავითარი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა არ გააჩნდათ ხელისუფლების მხრიდან – ისინი მხოლოდ მშობლიური კუთხის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრას მოითხოვდნენ, იბრძოდნენ დევნილთა მამაპაპურ საცხოვრისში ღირსეულად დაბრუნებისათვის. გაიხსენეთ, როცა შევარდნაძემ თავისთან მიიწვია ბატონი ალექსანდრე ჭაჭია და საკმაოდ მაღალი თანამდებობა შესთავაზა გაჩუმების სანაცვლოდ, როგორ დატოვა იგი სახტად ალექსანდრეს უარმა. არა და, პოლიტიკური სპეკულაციების დიდოსტატმა ედუარდ შევარდნაძემ სწორედ ამ მეთოდებით დაანაგვიანა მთელი პოლიტიკური სივრცე, რომელშიც საგრძნობი ადგილი სწორედ რესპუბლიკელებს ეკავათ!

გადახედეთ ბატონი ალექსანდრეს წიგნს, მის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებს და იოლად დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტებაში. ამის შემდეგ ვის შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** მხარდამჭერები ხმას არასოდეს არ მისცემენ **"რესპუბლიკელებით"** დაკომპლექტებულ პოლიტიკურ კოალიციას?

არა და, სწორედ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** (არა მხოლოდ სამეგრელოში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბითაც) გახლავთ აშკარად ანგარიშგასაწევი ძალა, რომელსაც ხელეწიფება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კლიმატზე ზემოქმედება. დღეს კი, თუ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია და სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** აქტიურად არ ჩაერთვებიან ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში, ეს ძალა შეიძლება **"თამაშგარე მდგომარეობაში"** აღმოჩნდეს!

ამგვარი არასასურველი გარემოება კი მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ ხორცმეტად ქცეულ **"ნაციონალთა"** წისქვილზე დაასხამს წყალს!

ამიტომ, დანაშაული იქნება, რომ ახლა მაინც არ გავითვალისწინოთ ის რჩევები და მოსაზრებები, რომელთაც ალექსანდრე ჭაჭია იძლევა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმის გამო, რომ ბატონი ალექსანდრეს რჩევები არ იქნა გათვალისწინებული, ჩვენმა ქვეყანამ ბევრი დაჰკარგა და კიდევ ბევრს დაჰკარგავს, თუ მისი ვეებერთელა პოლიტიკური შესაძლებლობები არ იქნა გამოყენებული.

**სამეგრელოს მოსახლეობისა და დევნილების სახელით,**
**ანზორ დანელია**

# როგორ ეპატიჟებიან შეიარაღებულ დაჯგუფებებში სამეგრელოს ახალგაზრდებს

შესაქმნელი თუ უკვე შექმნილი შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ ინფორმაციას ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ზუგდიდის ზოგიერთ სოფელში, მათ შორის, ჯიხაშკარში, ე.წ. ზონდერებისთვის **„სასროლეთები"** იყო მოწყობილი.

ჟურნალისტები ჯიხაშკარში ჩავიდნენ და სიტუაციაში გარკვევას ადგილზე შეეცადნენ.

– ისმის სროლის ხმა, მაგრამ არ გვეშინია, ალბათ, პოლიციელები არიან, – ამბობს მოხუცი ქალბატონი.

ჯიხაშკარელებმა შეიარაღებული დაჯგუფების შესახებ იციან, მაგრამ საუბარს ფრთხილობენ. ისინი ხშირად ხედავენ სამხედრო პიკაპებს, რომლებიც შემდგომ ტყეში უჩინარდებიან:

–ნებაყოფლობითი რეზერვის თაობაზე ყოფილან აქ, ცენტრში მოსულები, მაგრამ მე არ დავინტერესებულვარ, არ შევალ არასდროს და იმიტომ, – ამბობს ერთ-ერთი ახალგაზრდა ჯიხაშკარელი მამაკაცი,

– ზაფხულში ჯიხაშკარში და მოსაზღვრე სოფლებში იყო წვრთნები. გავიგე, რომ აქ **„კომანდოს"** ბატალიონსაც წვრთნიდნენ. რამდენჯერმე ისიც ვნახეთ, როგორ ჩამოსხეს ჯარისკაცები ვერტფრენებიდან, – ამბობს მეორე. მისი თქმით, პიკაპები ხშირად ჯარისკაცებით არის სავსე, რომლებიც, ალბათ, სადმე ახლომახლო გადაყავთ.

– მეც მკითხეს ქალაქში, თქვენთან რამე ხდებაო? ზონდერბრიგადები რომც არსებობდნენ, ჩვენ არავინ გვანახებს და გაგვაგებინებს რამეს. აქ ხშირად დადის **„პოლიცია"** რომ აწერია ისეთი **„პიკაპები"**, მწვანე ფერის. ვინ არიან, რა ვიცი, – ამბობს ერთ-ერთი ქუჩაში შემხვედრი ჯიხაშკარელი მამაკაცი.

ერთი ახალგაზრდა ქალბატონის თქმით, **„პიკაპები"**, ღამღამობით, ზოგჯერ ისეთი სიგნალებითა და **„სირენებით"** დაჰქრიან, რომ ბავშვებს აღვიძებენ.

– შევწუხდით ძალიან და როცა ვუთხარით, ასე ნუ ხმაურობთო, ცინიკურად მოგვიგეს მანქანიდან: რაო შეგაწუხეთო? – ამბობს ის და დასძენს, რომ ხმაური არც ამის შემდეგ შეწყვეტილა. (არც ერთმა რესპოდენტმა, მოსალოდნელი პრობლემების შიშით, ვინაობის გამხელა არ ისურვა).

ზონდერ-ბრიგადების შექმნის შესახებ, პრესაში ატეხილი აჟიოტაჟს, რამდენიმე ხნის წინ, ტელეკომპანია **„რუსთავი2"**-ის საინფორმაციო გამოშვებამ ნებაყოფლობით რეზერვსა და მის მნიშვნელობას გამხსნელი ნიუსი მიუძღვნა. რეზერვზე თავად თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია საუბრობდა. მანამდე კი, სოფელ ჯიხაშკარის მაცხოვრებელთა თქმით, იქ უკვე ჩასული იყვნენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებმაც ე.წ. **„ნებაყოფლობითი რეზერვი"** ადგილობრივებს **„ნატოს სტანდარტების მოთხოვნად"** გააცნეს.

– სოფლის ცენტრში იყო შეკრება, ხალხს უთხრეს, რომ ნებაყოფლობითი რეზერვი ნატოს მოთხოვნააო. ეს იქნება სოფლის თავდაცვა და ნებისმიერი საგანგებო სიიტუაციის დროს, როგორც ქუდზე კაცი, ისე უნდა გამოხვიდეთო. ეს იქნება წყალდიდობა, ხანძარი, ყაჩაღობა თუ ომი, ნებისმიერ სიტუაციაში მზად უნდა იყოთო, – ამბობს სოფლის მკვიდრი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც დაჯგუფებაში შესვლა ჯერ არ გადაუწყვეტია.

– ამ საკითხზე უკვე მუშაობენ, ეძებენ პოლიგონს, სადაც წვრთნები გაიმართება. ვფიქრობ, იარაღს სახლში გაატანენ წევრებს, თუმცა, მანამდე ყველანაირი შემოწმება უნდა გავიაროთ. ბოლოს და ბოლოს იარაღს გიჟს ხომ არ გაატანენ?! – ამბობს ის და დასძენს: მართალი გითხრათ, არ ვიცი რისთვის იქმნება ეს რეზერვი, თუ არაა ომი, წყალდიდობა, ხანძარი და ყაჩაღობა, რაც ძალიან დიდი ხანია არ გამიგია...

ჯიხაშკარელები ამბობენ, რომ ნებაყოფლობით რეზერვს ამ სოფელში **„ზვიადისტი"** ვახტანგ ზარანდია ჩაუდგება სათავეში. ზარანდიას სახელი ადგილობრივებისთვის საქართველოს პირველი პრეზიდენტის უკანასკნელ დღეებთან ასოცირდება. სოფელში ამბობენ, რომ ზარანდია იარაღის უკანონო ტარებისათვის ციხეში 4 წელი იჯდა და ორი წლის წინ გაათავისუფლეს.

ვრცელდება ასევე ინფორმაცია, რომ სამეგრელოს კონფლიქტისპირა რეგიონში აღნიშნულ დაჯგუფებებს, ყოფილი მხედრიონელი, დათო შენგელია უხელმძღვანელებს. შენგელია, წლების განმავლობაში, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში იბრძოდა და გალის მხედრიონს ხელმძღვანელობდა.

მისი სახელი ნარკობიზნესს და აფხაზეთიდან გადმოტანილ კონტრაბანდულ საქონელსაც უკავშირდება. 2004 წელს, დათო შენგელია ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციისათვის გაასამართლეს და 24-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა, 2010 წლის 1 დეკემბერს, 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ, ოფიციალური ვერსიით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო გაათავისუფლეს.

სპეციალისტები თვლიან, რომ თუ რეზერვისტების ამოცანა არის ბუნებრივი კატასტროფების ლიკვიდაცია, რაში სჭირდებათ მათ მაშინ ავტომატები?!

ასეთ შემთხვევებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არსებობენ შესაბამისი სამსახურები და პოლიცია ერთვებიან მსგავს საკითხებში. იმ შემთხვევაში კი, თუ სამოქალაქო საზოგადოება უძლურია, კატასტროფის ლიკვიდაციაში შესაძლოა, შეიარაღებული ძალები იქნეს გამოყენებული. თუმცა, ის რომ 3-4 დღით გაიწვიო რეზერვში ადამიანები, ავტომატებით არბენინო და შემდეგ სახლში გაატანო იარაღი ბუნებრივი კატასტროფების ლიკვიდაციისთვის მზადყოფნის მიზნით, ეს არის სისულელე. ეს არის ფუნქციების აღრევა, რაც იწვევს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას, არაეფექტურობას და სრულ გაუგებრობას მართვის სისტემაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვა ფარულ საფრთხეებსაც, რომლის ქვეყანაზე თავს მოხვევას არ მოერიდება არჩევნების წასაგებად განწირული ხელისუფლება – აცხადებენ ექსპერტები.

**საკ. ინფ.**



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

რაც შეეხება ივანე ივანეს ძე კოროტკოვს, იგი 1885 წელს დაიბადა გლეხის ოჯახში, 1899 წლიდან მუშაობდა მალიარად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ბ) წევრი გახდა 1905 წელს, რამდენჯერმე იქნა დაპატიმრებული, გადასახლებული და ა.შ. 1934 წლიდან 1939 წლამდე კოროტკოვი იყო სკკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის წევრი, 1939 წლიდან 1944 წლამდე მუშაობდა ა. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორი და 1944 წელს გავიდა პენსიაზე. როგორც ხედავთ, არასდროს მას არ შეხებია ბერიას **"მსახვრალი"** ხელი.

მხედველობაში მაქვს რა ანტონოვ-ოვსეენკოსა და კომაროვის ორივე **"საგა"**, რა თქმა უნდა, ღრმად დარწმუნებული ვარ მათ ფალსიფიკაციაში და სიცრუეში, დაწყებული იმით, რომ თითქოს აღასი ხანჯიანს უფრო მეტად მტკიცე პოზიციები ჰქონდა მოსკოვში, ვიდრე ბერიას და ამიტომ ამ უკანასკნელს ხანჯიანისაგან რაიმე საფრთხე ელოდა.

მეორე მხრივ, თუ ბერია მაინც გადაწყვეტდა ხანჯიანის თავიდან მოცილებას, ამას გააკეთებდა ბევრად უფრო პროფესიულად და არა საკუთარ სამუშაო კაბინეტში.

ამრიგად, ბერიას მიერ ხანჯიანის მოკვლის **"საგა"** არის ბერიას საწინააღმდეგოდ მიმართული აღვირახსნილი კამპანიის ნაწილი, მაგრამ მე მაინც ვემადლიერები მის ინკოგნიტო ავტორებს. სწორედ ეს მაძლევს საშუალებას, რომ ამ ზღაპრების საფუძველზე აგებული, სკკპ ცეკას კაბინეტებში შეთითხნილი **"ბრალდებები"** იოლად ვამხილო და საზოგადოება დავარწმუნო მის ავტორთა უსუსურობაში. ეს ამბები ისევე თითიდანაა გამოწოვილი, როგორც პატიმართა წამების ფაქტები ბერიას კომისრობის პერიოდის შინსახკომში. მე არ გამოვრიცხავ, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა პატიმრებზე გარკვეულ ფიზიკურ ზემოქმედებას (მაგრამ არა მხეცურსა და სადისტურს), განსაკუთრებით სახელმწიფოსათვის ფრიად საშიში დამნაშავეების მიმართ, მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რაც მრავალგზის იქნა დადასტურებული.

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ლევ ემელიანეს ძე ვლოძიმირსკის ფიგურას. მას წარმოგვიდგენენ ბერიას გარემოცვის ერთ-ერთ **"ჯალათად"**. კ. ზალესსკი წერს მის შესახებ: ***"იგი იყო სსრკ შინსახკომის ერთ-ერთი ოდიოზური ფიგურა, რომელიც სისტემატურად აწამებდა დასაკითხ პირებს"***.

შემდეგ კი საინტერესო რამ ხდება... კ. ზალესსკი გვამცნობს ვლოძიმირსკის შესახებ: ***"დაიბადა 1905 წელს, პოლონელია, ესაულის თანაშემწის შვილი..."*** მაგრამ ოფიციალურ საკადრო ფურცელში სულ სხვა რამ სწერია: ***"ლევ ემელიანეს ძე ვლოძიმირსკი, დაიბადა 1903 წელს, ქალაქ ბარნაულში, ეროვნებით რუსია, დაიბადა მატარებლების კონტროლიორის ოჯახში..."*** როგორც ჩანს, უფრო სარწმუნოა მეორე ვერსია, მაგრამ ერთ რამეში ზალესსკი ზუსტია – ახალგაზრდობაში ვლოძიმირსკიმ ორი წელი მოიმატა და წითელი არმიის ჯარისკაცი გახდა. რუსეთში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ოთხი წელი მესაჭე-ბოცმანად იმუშავა სევასტოპოლის სამხედრო პორტში, დაამთავრა საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო კურსები, შემდეგ თითქმის ორი წელიწადი იმუშავა კისლოვოდსკის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, რაღაც მიზეზის გამო გაანთავისუფლეს თანამდებობიდან და იყო უმუშევარი, 1927 წლის სექტემბერში კი გახდა ქალაქ თერგის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი. 1928 წლის მაისში იგი მთავარი პოლიტსამმართველოს ორგანოებში გადაიყვანეს და ჩეკისტთა შემადგენლობაში ირიცხებოდა 1947 წლამდე. შემდეგ იგი **"ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო"** უშიშროების ორგანოებიდან გაანთავისუფლა ახლადდანიშნულმა მინისტრმა აბაკუმოვმა. 1947 წელს ვლოძიმირსკი დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთში საბჭოთა ქონების მთავარი სამმართველოს სარევიზიო და კადრების სამმართველოს უფროსად. იგი, იქ, რა თქმა უნდა, მერკულოვმა წაიყვანა, რომელმაც 1947 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა გადააბარა აბაკუმოვს, თავად კი ამ მთავარ სამმართველოს ჩაუდგა სათავეში.

სტალინის სიკვდილისთანავე – 1953 წლის 5 მარტს, ბერია უბრუნდება გაერთიანებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს. **შსს**-ში კვლავ შედის უშიშროების სამინისტრო, ამასთან, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კრუგლოვი ბერიას პირველი მოადგილე გახდა, ხოლოდ უშიშროების ყოფილი მინისტრი იგნატიევი, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1951 წლის 9 აგვისტოდან, დაითხოვეს საბჭოთა ორგანოებიდან. სამაგიეროდ იგი გადაიყვანეს სკკპ ცეკას მდივნად.

დოკუმენტირებული არ გახლავთ, მაგრამ რეალობად მეჩვენება ბერიას მიერ ნათქვამი: **"ჩვენ ამოვძირკვეთ "ეჟოვშჩინა", ჩვენ ამოვძირკვავთ "იგნატოვშჩინასაც"**. ასე იყო თუ ისე, ბერიას საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო წილად. კლასიკური პარტოკრატი იგნატიევი დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი იცოდა, რადგან იგი სკკპ (ბ) ცეკას წევრი გახლდათ. და უშიშროების სამინისტროს კადრებსაც **"სასხვათაშორისოდ"** არჩევდა. მაგალითად, საკმაოდ მრუმე ფიგურად აღიარებული როდოსი, 1942 წლიდან სსრკ შინსახკომის – უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსის მოადგილე, უშიშროების ორგანოებში მივიდა იგნატიევის მინისტრობის დროს, მაგრამ **"დემოკრატები"** მას მაინც წარმოგვიდგენენ როგორც **"ბერიას ჯალათს"**.

მაგრამ ახლა, უშიშროების **"ორგანოებს"** კვლავ ლავრენტი ბერია ედგა სათავეში, მან კი კარგად იცოდა **"ადამიანის"** ფაქტორის ფასი. და უკვე 1953 წლის 18 მარტს ბერია ვლოძიმირსკის ნიშნავს სსრკ **შსს**-ს საგამოძიებო ნაწილის უფროსად.

რატომ?

რათა **"მსხვერპლებისაგან"** ხელსაყრელი ჩვენებები მიიღოს? ვფიქრობ – ყველაფერი პირიქითაა – რათა აღკვეთოს თვითნებობა და უსამართლობა! დიახ, სწორედ ასეა! ვლოძიმირსკის ამ თანამდებობაზე დანიშვნას მე ვუკავშირებ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის ცვლას, იმდენად, რამდენადაც 1953 წლის 4 აპრილს გამოდის სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება **"პატიმრებზე ძალმომრეობისა და მათ მიმართ დაუშვებელი მეთოდების გამოყენების აკრძალვის შესახებ"**.

აი, ამ ბრძანების ძირითადი მომენტები:

**"საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილია, რომ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების მიერ უხეშად ირღვეოდა საბჭოთა კანონები, აპატიმრებდნენ უდანაშაულო საბჭოთა ადამიანებს, ხდებოდა საგამოძიებო მასალების ფალსიფიკაცია, ფართოდ იყენებდნენ წამების სხვადასხვა მეთოდებს – სასტიკად სცემდნენ პატიმრებს, რომლებიც დღადაღამ ატარებდნენ ხელბორკილებს ზურგსუკან გადაგრეხილ ხელებზე, რაც ზოგჯერ თვეობით გრძელდებოდა, არ აძლევდნენ დაძინების საშუალებას, გახდილ პატიმრებს ამყოფებდნენ გაყინულ კარცერებში და სხვა.**

**(...)**

**დაკითხვის ასეთი მხეცური მეთოდების გამო ადამიანები ვარდებოდნენ დეპრესიაში, იფიტებოდნენ ფიზიკურად, ჰკარგავდნენ ადამიანის სახეს.**

**იყენებდნენ რა პატიმრების უმწეო მდგომარეობას, გამომძიებლები აიძულებდნენ მათ ხელი მოეწერათ წინასწარ შედგენილ "აღიარებებზე", თითქოს ისინი ეწეოდნენ ანტისაბჭოთა დამბეზღებლურ-ჯაშუშურ საქმიანობას.**

**(...)**

**ვბრძანებ:**

**კატეგორიულად აიკრძალოს შსს ორგანოებში პატიმრებზე ფიზიკური ზემოქმედება და მათი იძულება.**

**ლეფორტოვოს ციხეში გაუქმდეს... პატიმრების საწამებელი სპეციალური ოთახი...**

**აღნიშნულ ბრძანებას გაეცნოს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი შემადგენლობა და გაფრთხილდნენ, რომ საბჭოთა კანონიერების დარღვევის შემთხვევაში პასუხისგებაში იქნებიან მიცემული არა კონკრეტული დამნაშავეები, არამედ მათი უშუალო ხელმძღვანელებიც.**

**სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი ლ. ბერია".**

მაშინ ისმის შეკითხვა: ამგვარი ბრძანების გამომცემი ადამიანი სისტემაში დააბრუნებდა ვლოძიმირსკის, იგი რომ მართლაც პატიმრების ძვლების მტვრეველი ყოფილიყო? მინისტრის სრულიად საიდუმლო ბრძანება გამოიცემა არა მხოლოდ ჟურნალისტებისა და ისტორიკოსებისათვის. ამავდროულად, ეს ბრძანება იწერება იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც მინისტრზე ნაკლებად არ ერკვევიან ადგილებზე შექმნილ მდგომარეობაში. და თუ ადგილებზე მართლაც არ ექნებოდა ძალადობას პატიმრებზე და ბერია მხოლოდ საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად გამოსცემდა ამგვარ ბრძანებას, პირიქით, ბერია სრულიად დაჰკარგავდა ავტორიტეტს პროფესიონალ თანამშრომლებს შორის. მაგრამ ბრძანების ტონალობა სავსებით გასაგებია: იგი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი ლავრენტი ბერია კვლავაც ერთგული რჩება სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლავრენტი ბერიას მიერ გატარებული ხაზისა!

ამასთან, მკითხველს ვთხოვ ყურადღება მიაპყროს იმას, თუ რომელ მოქმედებებს თვლის ბერია წამებად: **"...სცემდნენ პატიმრებს, რომლებიც დღედაღამ ატარებდნენ ხელბორკილებს, ზურგსუკან გადაგრეხილ ხელებზე, რაც ზოგჯერ თვეობით გრძელდებოდა, მათ არ აძლევდნენ დაძინების საშუალებას, გახდილ პატიმრებს ამყოფებდნენ გაყინულ კარცერებში..."** ბერიას **"მეისტორიეები"** კი ყველაფერს პირიქით წარმოგვიდგენდნენ და ამ ადამინს აბრალებდნენ იმას, რასაც იგი ებრძოდა.

მკითხველი, რომელიც გაცნობილია ა. სუხომლინოვის წიგნს, შემომედავება, რომ ვლოძიმირსკიმ თავად აღიარა გამოძიებისას პატიმრების წამების ფაქტი (გვ. 306-307). მე არ შემიძლია იმის მტკიცება, რომ ეს **"აღიარება"** სწორედაც რომ წამებიც გამოსძალეს ვლოძიმირსკის, მაგრამ მოვიყვან ფრაგმენტს მისი ჩვენებიდან:

**"მე საკუთარ ჩვენებებს (წამების თაობაზე – ს.კ.) ვადასტურებ ნაწილობრივ. ზოგჯერ კი იგი აშკარად გადაჭარბებულია." რაც შეეხება პავლოვს... მის მიმართ მე მართლაც გამოვიყენე ფიზიკური ზემოქმედება, იმდენად, რამდენადაც იგი საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი იყო და განზრახული ჰქონდა ორგანიზაცია "რუსეთის აღორძინების (ღვთის მადლით, არა "Единая россии"-ის – ს.კ.) კავშირის" შექმნა, მაშინ, როცა გერმანელები მოსკოვს აიღებდნენ, თავად კი მოსკოვის ბურგომისტრი უნდა გამხდარიყო. მე უფლება მომცეს იგი დაკითხვისას მეცემა და სწორედ ამის შემდეგ აღიარა მან სიმართლე. რაც შეეხება ლაქტიონოვს, შტერნს, მერეცკოვს, რიჩაგოვს... მე მქონდა მერკულოვის მითითება, რომელიც ეყრდნობოდა დირექტიული ორგანოების სანქციას".**

მაშ ასე, **"სადისტი"** ვლოძიმირსკისათვის 1953 წელს შეეძლოთ ბრალად წაეყენებინათ პატიმრებზე ძალმომრეობის რამდენიმე შემთხვევა აშკარად დამნაშავე პირების მიმართ, რაც თავისთავად გამორიცხავს პატიმრების წამების სტანდარტულ პრაქტიკას და მისი გამოყენება ხდებოდა მხოლოდ სამხედრო მდგომარეობის განსაკუთრებულ პირობებში. მე ხაზს ვუსვამ – რომ ესენი იყვნენ დამნაშავეებით, თვით კირილე მერეცკოვის ჩათვლით, რომელმაც დიდი სამამულო ომი დაასრულა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდებით. არა მაქვს რა ამ პიროვნების სრული ბიოგრაფიის გადმოცემის საშუალება, შემიძლია ვთქვა, რომ იგი არც ისეთი უმწიკვლო წარსულის მქონე ადამიანია, როგორადაც მას წარმოგვიდგენენ.

ვლოძიმირსკის ასევე ბრალად წაუყენეს 1940 წელს მარშალ კულიკის მეუღლის – კ. სიმონოვიჩ-კულიკის მოპარვასა და მის ფიზიკურ განადგურებისათვის... ეს ფაქტი მართლაც შთამბეჭდავად ჟღერს. მაგრამ ყველა მის **"მამხილებელს"** რატომღაც ავიწყდება, რომ მეუღლის დაკარგვით **"უზომოდ დამწუხრებული"** კულიკი რამდენიმე წელიწადში დაქორწინდა თავისი ქალიშვილის 18 წლის მეგობარ გოგონაზე და ახლადნაკურთხ მარშალის მეუღლის გარშემო დაინტერესებულმა პირებმა მაშინვე დაიწყეს შპიონაჟის ქსელის ხლართვა. მაშინ, ამაში, თითქოს საგანგაშო არაფერი იყო, მაგრამ მომავალში რა მოხდებოდა?.. ფრიად საეჭვო რეპუტაციის მქონე მარშლის მეუღლის ბიოგრაფია ათწლეულების შემდეგაც კი ბურუსითაა მოსილი. ამიტომ, მე სრულიადაც არ გამოვრიცხავ, რომ კულიკმა დამნაშავე პირების ხელშეწყობით თავად მოაწყო საკუთარი მეუღლის **"გაქრობა"**, რათა შემდეგ შეექმნა **"ახალი ოჯახი"**. 1953 წლის შემდეგ კი დაინტერესებულმა პირებმა ბერიას გარემოცვას მიაწერეს ეს დანაშაული...

სსრკ შინსახკომის კედლებში მხეცობებსა და წამების ფაქტებზე ბრალს სდებდნენ არა მხოლოდ ბერიას, არამედ, მაგალითად, 1941-1943 წლებში სსრკ შინსახკომის მოადგილეს, ხოლო 1946-1951 წლებში სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრს აბაკუმოვსაც. მას პატიმრებზე ფიზიკურ ძალადობაში ბრალს სდებდნენ მაშინაც, როცა იგი უშუალოდ სტალინს ემორჩილებოდა – ხელმძღვანელობდა რა სსრკ თავდაცვის სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახურ **"სმერჩს"**. მაგალითად, სუდოპლატოვი აღნიშნავს, რომ 1943-1947 წლებში, აბაკუმოვის მიერ დაპატიმრებულ უშიშროების კომისარ ილინს, ხოლო აბაკუმოვმა, გენერალ ტეპლინსკის პირველივე დაკითხვაზე ჩამოუღო წინა კბილები.

მაგრამ მწერალი კირილე სტოლიაროვი იმოწმებს (ფაქსიმილის სახითაც კი) ერთ ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტს – აბაკუმოვის მიერ ციხეში დაწერილ ბარათს, რომელიც მან გამოაგზავნა ბერიასა და მალენკოვის სახელზე. მის რეალურობას ეჭვის ქვეშ ვერ აყენებენ თვით **"დემოკრატი გამომძიებლებიც"** კი.

აბაკუმოვი მინისტრის თანამდებობიდან მოხსნეს 1951 წელს, სკკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში სსრკ სახელმწიფო უშიშროების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელ რიუმინის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. სტოლიაროვი ამტკიცებს, რომ რიუმინმა მოხსენებითი ბარათი დაწერა იგნატიევის კაბინეტში (სწორედ იგნატიევმა შეცვალა იგი ამ თანამდებობაზე). საეჭვოა, რომ ეს ასე ყოფილიყო, მაგრამ რიუმინის მოხსენებითი ბარათი რეალურად არსებობდა. 1951 წლის 4 ივლისს ამ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე პოლიტბიუროში შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ. მალენკოვი (თავმჯდომარე) და შევრები – ბერია, შკირიატოვი, იგნატიევი.

1951 წლის 12 ივლისს აბაკუმოვი დააპატიმრეს. უეჭველია, რომ ამის მიზეზი მხოლოდ რიუმინის მოხსენებითი ბარათი არ გახლდათ – ერთის მხრივ, აბაკუმოვი უკვე ხელს უშლიდა მთელ რიგს პარტოკრატებისას, მეორეს მხრივ კი, მისი მხრიდან მართლაც ჰქონდა ადგილი მთელ რიგ სამსახურეობრივ გადაცდომებს. ასეა თუ ისე, აბაკუმოვი აღმოჩნდა ლეფორტოვოს ციხეში, საიდანაც გამოგზავნა ზემოდნახსენები წერილი.

ბერია უკვე დიდი ხანი აღარ ხელმძღვანელობდა სპეცსამსახურებს და არც კურირებდა მათ. კუზნეცოვის დაპატიმრების შემდეგ ამ დარგს მალენკოვი უძღვებოდა. სწორედ იგი ამზადებდა პოლიტბიუროში წარსადგენ დოკუმენტებს სსრკ უშიშროების სამინისტროს მუშაობის შესახებ, იგი ხელმძღვანელობდა კომისიას აბაკუმოვის საქმიანობის შემსწავლელ კომისიას და ა.შ.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ღია წერილი ცნობილ ენათმეცნიერს — ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს!



ეტყობა, ამ სტრიქონების ავტორი ცუდად ერკვევა ფესტოსის დისკოსთან დაკავშირებით ატეხილ ფურორში; შეიძლება, რაღაც მიზეზით (თუმცა, მიზეზიც არ უნდა იყოს საეჭვო, რადგან კოლხ-იბერთა მტრები არაფერს დაზოგავენ, ოღონდ, გამონახონ რაიმე ხელმოსაკიდი) ბრმად მოაწერა ხელი სხვის დაწერილს, რადგან არ იცის, რომ ინგლისელი ევანსი არაფერ შუაშია, დისკო იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა.

ერთი კი ცხადია, ფესტოსის დისკოს ნახატი-ნიშნებით შესრულებული ტექსტის გაშიფრვა გია კვაშილავას მიერ, იმდენად ზუსტი და შეუვალია, რომ მეცნიერები, რომელთაც ჭკუა ეკითხებათ და კომპეტენტურნი არიან, კლანჭის გამოსადებს ვერაფერს პოულობენ. ამიტომ საკუთარ ავტორიტეტს უფრთხილდებიან, მაგრამ შურით სკდებიან და მომეცნიერო ინდივიდებს აქეზებენ, რადგან ვიღაცის მოყოლილი ზღაპრები და, უარყოფის ნიშნად, ბზიკნაკბენ თხასავით, უხმოდ თავის ქნევა რომ არა, მეცნიერულად უარყოფა შეუძლებელია და არცაა გასაკვირი, რომ ოცნებაში წარმოდგენილი სურვილებითა და მსგავსი ზღაპრებით ცდილობენ მავანნი მის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანას, მაგრამ გასაკვირია, დღეს, XXI საუკუნეში ევანსს, თუ ლუიჯი პერნიეს ვერ ანსხვავებენ XIV საუკუნის ქართლელი **ტეტიასგან**, რომელმაც ნამდვილად ჭამა და გადაყლაპა ჰაიაკი აგენტის – ლეონტი მროველის **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“**-ში ჩადებული სომხური სატყუარა და წამოეგო მის მიერ გასროლილ ანკესს. შემდგომ ამ ტეტიას მიმდევარმა **„ქართველმა“** მეცნიერებმა თავიანთი შრომები ააგეს ამ სატყუარაზე დაყრდნობით და, დღეისათვის, უკვე უჭირთ აღიარება.

ასეთ მეცნიერთათვის აუცილებელია, რანაირი ხერხითაც არ იყოს, გაავრცელონ ეჭვი მის ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით, რადგან გია კვაშილავას და, ქართველი ერის ისტორიულ წარსულზე, სხვა ავტორთა მიერ ბოლო წლებში მოძიებულ ჭეშმარიტებათა აღიარება ფარდას ახდის, დღეისათვის, ქართველი ერისთვის თავს მოხვეულ სიყალბეებს და ჩვენს **„უფროს ძმებს“** – ჰაიაკებს გაუჭირდებათ ლეგენდარული კოლხ-იბერთა მონაპოვრების იგნორირება და **„დიდი არმენიის“** შექმნა.

უსინათლომ და უმწეოდ წოდებულმა (რომ გაფანტონ ეჭვი მისი ქუჯის პროტოტიპობის შესახებ, თეოდოს II უმწეოს უწოდებენ, ხოლო არარსებულ ქუჯის განადიდებენ), მაგრამ გონიერმა მეფემ თეოდოს II და მისმა დიდვაზირმა, ჭეშმარიტმა მამულიშვილმა – იოანე მარუშმა დაშლილი იბერიის ისევ გაერთიანების მიზნით ეგრის-აფხაზეთში გაამეფეს ქართლის უფლისწული, თეოდოს II დისწული ბაგრატ III ბაგრატიონი, მაგრამ უფლებების შეკვეცის შიშით, ვერც ბაგრატ II რეგვენმა – შვილიშვილს და ვერც გურგენ II – შვილს ვერ დაუთმეს თავიანთ სიცოცხლეში დინასტიურად კუთვნილი მამული და სიკვდილის წინ გურგენ II მხოლოდ ანდერძით დაუტოვა თავის კანონიერ მემკვიდრეს ქართლი, მაგრამ არ თმობდნენ ნათესავები, ვინმე სუმბატი და გურგენი, ამიტომ ძალის გამოყენება დასჭირდა, მაგრამ ძმათა სისხლი, რომ არ დაღვრილიყო, ალბათ, გარკვეულ დათმობებზე წასვლა იყო საჭირო.

რადგან მონათესავე, მაგრამ ენობრივად განსხვავებული ეთნოსები ერთიანდებოდნენ, უეჭველად დადგებოდა პრობლემა, რომელი ენა ყოფილიყო სახელმწიფო ენა. რამდენადაც ქართლი დაჩაგრულად გრძნობდა თავს იბერიის ქვეშევრდომობაში, სწორედ, მისი ენის განვითარების, ალბათ, შეზღუდვის გამო, მუდამ ცდილობდა გამოყოფას იბერიისგან და, თუ ისევ იბერიული ენა იქნებოდა გაერთიანებული ქვეყნის სახელმწიფო ენა, თანასწორუფლებიანობა, ისევ, ვერ აღდგებოდა.

რამდენადაც ქართების ენის ეროვნული წარმოშობის სიტყვათა ძირი იბერიული იყო, ამასთან, გრამატიკა, თითქმის, იბერიული რჩებოდა, იბერიული ენის წილი ქართების ენაში საკმაოდ დიდი იყო, ხოლო ყოვლისმომცველი, **საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალური მოდელის** ამსახველი იბერიული ენის ათვისება ქართებისათვის, ალბათ, არც ისე ადვილი იყო, თანასწორუფლებიანობის დაცვისათვის, ჩათვალეს, რომ უფრო სამართლიანი იქნებოდა სახელმწიფო ენად ქართული ენის მიღება, მაგრამ აუცილებელი იყო მისი განვითარება და ერთიანი ძალისხმევით ეს პრობლემაც მოგვარდა. იბერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებას, იბერიის ნაცვლად, ეწოდა საქართველო – ქართველთა ქვეყანა.

**მაგრამ, რამდენადაც ასეთი სახელწოდებით სახელმწიფო და ეროვნება გარე სამყაროს თვალსაწიერში არ ფიგურირებდა და ქართებიც ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ მუდამ ცდილობენ წაშალონ იბერიული კვალი, ამას იყენებს ჩვენს საღვთო მიწაწყალს დახარბებული გარე აგრესიული ძალა და მოურიდებლად აცხადებს: „ქართველები გაურკვეველი წარმომავლობის, სხვადასხვა ერის წარმომადგენლებისგან შემდგარი ნაკრები ხალხია“, რომლებიც აბორიგენებს ავიწროებენო.**

როგორც ვნახეთ, საერთო სალიტერატურო ენის ეროვნული წარმოშობის სიტყვათწარმომავლობა ირკვევა ე.წ. მეგრული ენით. თუ ე.წ. მეგრულ-ქართული ენები ერთმანეთის მიმართ უცხო ენებია, ძლიერი ენათმეცნიერები ჰყავთ იმათ, ვინც შუღლს თესავს ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი დაშლა-დაქუცმაცების მომლოდინე, ჩასაფრებულია, როგორ მიიტაცოს მამა-პაპათა სისხლით მორწყული, მშობლიური მიწაწყალი, მაშინ შესაძლებელი ყოფილა ერთი უცხო ენით მეორე უცხო ენის სიტყვათწარმომავლობის დადგენა და სცადონ თავიანთი ენით გაარკვიონ: რა ფორმით და რა მნიშვნელობით ჩაისახა, ამასთან, რა ფონეტიკური ცვლილებები განიცადა, თანამედროვე ფორმებად ჩამოყალიბებამდე, მაგალითად, სინონიმებმა **დინჯი** და **მშვიდი** (ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი უძველესი წარსულის შესწავლის საქმეში). თუნდაც, თქვენც მიეხმარეთ ბატონო ტარიელ, ოღონდ ე.წ. მეგრული ენის მონაცემთა გამოყენების გარეშე, მაგრამ, საეჭვოა, ეს თქვენ შესძლოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა მეტყველების წარმოშობაზე კვლევითი სამუშაოების წარმოება აკრძალული გაქვთ.

ნუთუ არ გრცხვენიათ, ბატონო ტარიელ, ცნობილ ენათმეცნიერს არ შეგიძლიათ მშობლიური ენით სრულყოფილად შეისწავლოთ ეროვნული წარმოშობის სიტყვათწარმომავლობა, ხოლო იმ ენას, რომლითაც ეს ხერხდება, დიალექტად, თუ კილოკავად წარმოუდგენთ საზოგადოებას?

ამდენად, თქვენ თვითონ უქმნით, ბატონო ტარიელ, საფუძველს გარე აგრესიულ ძალებს კლანჭის გამოსადებად, შემდეგ ის, თითქოსდა, დამცველის როლში გვევლინება და არც გაუჭირდება ქართებისაგან განსხვავებულ ეთნოსებში ჭეშმარიტების სიღრმეებში ჩაუხედავ პირთა მოძიება მათი სეპარატისტული სულისკვეთებით განწყობის მიზნით. სწორედ, მიზეზ-შედეგობრიობის კანონის გაუთვალისწინებლობა და საკუთარი წარსულის წაშლა-იგნორირება იწვევს, ბატონო ტარიელ, ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას და, საბოლოოდ, მოსპობას, თორემ სახელი რა გერქმევა, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. სამეგრელოში დღესაც შეხვდებით სახელს **ჯოღორია** (აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილია, მისი შესატყვისი **ძაღლიკა**), მაგრამ სახელი არ განსაზღვრავს მათს ზნეობრივ დონეს, თუმცა, სასურველია სახელიც შესაფერისი გვერქვას ყველას. დღეს ჩვენ გვქვია თუ არა შესაფერისი სახელი, მე მაინც მირჩევნია გვერქვას **იბერი** ნაწარმოები თიბერისაგან (თიბერი // თგბგრგ), რაც იბერიულ ენაზე ნიშნავს **[უზენაეს] ნათელთან მოკავშირედ ყოფიერს**, ხოლო **ქართი** იხმარება ცხოველებთან მიმართებაში (მაგ., **ჩქინი სოფელიში ჯოგის მეზობელი სოფელიში ჯოგიქ ქართგ**, ან კიდევ, **ჯოღორეფიცალო ქართ-ეს დო აკოჭკუმეს ართიანი** (ჩვენი სოფლის ჯოგს მეზობელი სოფლის ჯოგი შეუერთდა, ან კიდევ, ძაღლებივით დაერიენ და დაჭამეს ერთმანეთი); ადამიანებზე კი იტყვიან: **აკიკათეს** ან **დიკათეს** (გაერთიანდნენ). მაგ., **„მართალია, კოჩა დო უტუეფიში ჯარეფქ აკიკათეს“** (მართალია, კოჩა და უტუების ჯარები გაერთიანდნენ) ან კიდევ, **„მაფშალიებქ დიკათეს, ღურჭულეს მხიარულო...“** [ბულბულები (აქ მომღერლები) შეიკრიბნენ, იჟღურტულეს მხიარულად...]; ამასთან, როცა ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა უფრო იბერიულია, ვიდრე ქართლური, ჩვენი დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული), უეჭველია, იბერიულია, ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა ამ ენას ერქვას იბერიული. როცა იბერები აბორიგენია და, თუ იგი შენად მიგაჩნია, არ უნდა ითაკილო გერქვას ეს სახელი, ხოლო თუ ის უცხოა შენთვის და აბორიგენი, არ გაქვს უფლება შეზღუდო მისი უფლებები შენთვის სასურველი კანონებით.

ის ჭეშმარიტება, რომ ადამურ-იაფეტურ-იბერიულ ენაში ქართლური დიალექტი ჩასახულია კონსონანტური მეტყველების დროიდან, მაგრამ ახ. წ.აღ-ით 523 წლამდე ე.წ. ქართები მუდამ ემორჩილებოდნენ იბერებს და მისი ენობრივი განვითარება ქვეშევრდომობის გამო შეზღუდული იყო, ხოლო დაცემულ-დაშლილი და, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ფენიქსისებრ აღმდგარი, ახალი, გაერთიანებული იბერიის სახელმწიფო ენა გახდა იბერიული ენის ქართლური დიალექტი, იბერიული ენა კი დაწუნებული და შეურაცხოფილი (და ყველაფერს ამას, ალბათ, გარკვეული მიზეზი უდევს საფუძვლად), უზენაესის ნებით გადაწყვეტილი მოვლენაა, რამეთუ მისი ნების გარეშე არაფერი ხდება და ამას ყველა უნდა შეეგუოს, მით უმეტეს, როცა ჩვენი საერთო სალიტერატურო, ე.წ. ქართული ენა, არამხოლოდ ქართლურია, არამედ **„ქართლურ-მეგრულ-სვანური ენა გახლავთ“**. ამიტომ, ბატონო ტარიელ, რამდენიც არ იკლათ თავი და ამტკიცოთ, რომ მეგრული ენა – ენა არ არის, ასეთი ენა დედამიწაზე არ არსებობს, ის მხოლოდ ქართულის დიალექტიაო, თქვენი გადასაწყვეტი და დასაკანონებელი არ არის, ყველაფერს ღვთის ნება გადაწყვეტს და არა ვიღაც ახირებული – ტარიელ ფუტკარაძე! ალბათ, თქვენი ახირებაც ღვთის ნებაა, რომ გამოაფხიზლოთ, დღეს ქართველად წოდებული ლეგენდარულ იბერთა შთამომავლობა, რომ, ბოლოსდაბოლოს, გაკეთდეს სწორი დასკვნა და შემუშავებულ იქნას შემოქმედისათვის მოსაწონი მიზანი.

ყოველივე ამის შემდეგ, ბატონო ტარიელ, თქვენს მიერ ატეხილი განგაში, **„გვიშველეთ, მეგრელებმა ინტერნეტში ვიკიპედია გახსნეს, ბიბლიას თარგმნიან, წირვა – ლოცვის შესრულებას მეგრულ ენაზე აპირებენ და ვიღუპებითო,“** ისე ჩანს, თითქოს, **შენ არ ამოიღო ხმა, თორემ მე ვერ გამოვჩნდებიო**-ს სინდრომი გაწუხებდეთ (ნუ იფიქრებთ ამ სინდრომის ქვეშ ქართულ ენას ვგულისხმობდე, რადგან ე.წ. ქართულ ენას, დღეისათვის უკვე, ბევრი ღირსებები აქვს და ამაში იბერიული ენის წვლილი საკმაოდ დიდია), ან კიდევ, ეს იგივეა, რაც შვილის დაქორწინებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე გასვლის შემდეგ შრომისუნარიან მშობლებს აუკრძალო აქტიური ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა, რაც, ყველა ნორმალური და სამართლიანი ადამიანი დამეთანხმება, საზოგადოებისა და ღმერთის წინაშე დიდი დანაშაულია. ხოლო ის, რაც თქვენში აღშფოთებას იწვევს, ის კი არ არის საგანგაშო, არამედ საგანგაშოა ის, რომ ამას უნიჭოდ აკეთებენ.

ალბათ, ასეთი, სინდრომის გამო აბრალებდნენ მუდამ საქართველოს გამაერთიანებელ მეგრელებს (იბერებს) სეპარატიზმს, თორემ ისინი ყოველთვის ცდილობდნენ და არაფერს ზოგავდნენ (მთელი შესაძლებლობით ებღაუჭებოდნენ) არ დაეკარგათ ქართები – მათ მიერ, ღვთის ნებით, თუ დაშვებული შეცდომებით შობილი ეთნოსი, მაგრამ იბერებიც ადამიანებია და არც მათ გააჩნიათ უსაზღვრო ნებისყოფა და მოთმინება. ამიტომ, ნუ ვაიძულებთ გითხრან, არ გინდივართ, ჯანდაბამდის გზა გქონიათო და შეგიშვან ხელები! ასეთ შემთხვევაში იმ წამსვე გამოუჩნდება ასეთი ნაბიჯის გადამდგმელთ **„მფარველი“** და, სწორედ, ეს გამოიწვევს საქართველოს დაშლას, მაშინ ნუ გგონიათ, რომ თავი დაიხსნათ პასუხისმგებლობისაგან, რადგან ლომის წილი გიდევთ მეგრელთა გაღიზიანებაში.

მეგრელები (იბერები) ამაყი ხალხია, ვერ იტანენ დამცირებას, განსაკუთრებით, როცა ამას არ იმსახურებენ, ამიტომ ნუ უბიძგებთ, რომ დაკარგონ წონასწორობა და გადადგან მცდარი ნაბიჯი, თორემ, თუ ქართველი ბრძანდებით, ვერ აგცდებათ მოღალატის ტვირთის ზიდვა, ხოლო თუ გვარგამოცვლილი სომეხი ბრძანდებით (ასეთები ძალზე მომრავლდნენ დღევანდელ საქართველოში), სომხურ საქმეს კი აკეთებთ, მაგრამ გახსოვდეთ, **„რაც არ გერგება, არ შეგერგება“**.

ბოლოსდაბოლოს, ვინც არ უნდა იყოთ, მოიკრიბეთ სულიერ-ზნეობრივი ძალები, გამოდით თქვენი **მე**-დან და სულიერ – ზნეობრივად გაბრძნებული კაცის თვალგონებით გარედან შეხედეთ მეგრელ-მეგრულ ენას და თქვენს მიზან-ამოცანებს, შეადარეთ ერთმანეთს და გააკეთეთ, სულიერ-ზნეობრივად, ჭეშმარიტებასთან მიახლოებული მაინც დასკვნა, ანუ **„სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ“!** ხოლო ე.წ., მეგრული (იბერიული) ენა იარსებებს მანამ, სანამ არ აღსრულდება ღვთის ნება და ე.წ. ქართული (ახალი იბერიული) ენა არ აღიდგენს და შემდგომ არ განავითარებს ყველა იმ ღირებულებებს, რაც ქართლური დიალექტის ჩასახვითა და შემდგომ მისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებით დაკარგა დასაბამიერმა ღვთიურმა – ადამურ-იაფეტურ-იბერიულმა ენამ.

და ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ თქვენი შეხედულებებისა და ინტერესების ასე შეფასების შემდეგ, შეიძლება, მოგეჩვენოთ, თითქოსდა, ქართულად წოდებული ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის დამცირებას და ე.წ. მეგრულის განდიდებას ვცდილობდე. მაგრამ არა, ე.წ. ქართული ჩემთვის დედა ენაა, მე ამ ენით ვაზროვნებ და მეგრულ-ქართული ლექსიკის, რა თქმა უნდა, მცირეოდენი ნაწილის (ეროვნული წარმოშობის 200-მდე სიტყვა და ძირისეული ფორმა) შესწავლის შედეგებიც გვაძლევს მტკიცე საფუძველს, გავაკეთოთ ასეთი დასკვნა:

**ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა, წოდებული ქართულად, გახლავთ პროტოქართული, ანუ ძირისეული ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენისაგან გამოყოფილი სვანურისა და ქართლურის, ისევ, ამ ძირისეულ ენასთან კონსოლიდაციით მიღებული ენა, ოღონდ, სრულად გახმოვანებული და საოცრად გამარტივებული, შესაშურად დახვეწილი და გრამატიზირებული და, ამდენად, ახალი კლასიკური იბერიული ენა, ხოლო ე.წ. მეგრული ენა გახლავთ კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე, რამდენადმე არქაულფორმებშენარჩუნებული და შეუდარებელი გამომსახველობითი უნარის მქონე ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენა და , თითქოსდა, ეს ორი სხვადასხვა ენა, სხვადასხვა ერის ენა კი არ არის, როგორც ეს მავანთ სურს იყოს, არამედ ერთიდაიმავე ერის ერთიდაიგივე ენაა, ჩამოყალიბებულნი ენობრივი განვითარების სხვადასხვა ეპოქაში.**

რომ დავწერო პატივისცემით-მეთქი, ნამდვილად ვერ ვიქნები გულწრფელი, რადგან არ შემიძლია პატივი ვცე თქვენს ინტერესებს ე.წ. მეგრული ენის მიმართ, მაგრამ რადგანაც ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, ამიტომ გულწრფელი, ქრისტესმიერი სიყვარულით,

**კუკური ფიფია,**
„ფაზისისა“ და „აიას“ მეცნიერებათა აკადემიების წევრი.

# კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი “ილორი” №171, 172, 173, 174, 175, 176

## თავი მესამე
## რა ენაზე მეტყველებდნენ ძველი კოლხები

*ბედი ისეთი რამაა, ვერ გაექცევა ვერავინ. მის ხელში დიდი, პატარა თოჯინები ვართ ყველანი.*

როგორც ითქვა, გ. ფ. ჰეგელი ისტორიის ფილოსოფიაში (ლექციების კურსი) ამბობდა: მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს

თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მთელი მსოფლიო ისტორია.

მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება **(Философкие истории Гегеля, Москва, 1988, с.164-165.).**

მკვლევარი, მწერალი გასავ (აკაკი) გასვიანი ამბობს: **„ლაზურად ითქმოდა სრულიად ქართველური მოდგმის განსახლების ადგილი“, და, რომ ლაზეთი არის ანბანის და დამწერლობის საწყისი. მეტად მნიშვნელოვანია იმის კონსტატაცია, რომ პირველი ანბანის „შექმნაში მთელი ლაზეთი მონაწილეობდა და ამიტომ იგი არის ქართველურ-ლაზური ანბანი“, დამწერლობის საწყისი. იოანე — ზოსიმე „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ში გვეუბნება: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებას შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქუან“.** იოანე ზოსიმე გამოკვეთილად ამბობს, რომ ყოველი საიდუმლო ქართულ ენაზე უნდა ამხილოს ღმერთმა (ქართულად, ქართველების მიერ იქნას აღმოჩენილიო).

როგორც ვიცით, ანტიკური ხანის ავტორები ეგვიპტური პირამიდების მშენებლებს კოლხებად მოიხსენიებენ. ცნობილია, რომ 3-4 ათასი წლის წინ კოლხები ფლობდნენ რიცხვთა მოქმედების ურთულეს ხელოვნებას, ამ ცოდნის დაგროვებას ასწლეულები და ათასწლეულები სჭირდებოდა **(გასავ (აკაკი) გასვიანი.** ქართული ანბანი-სამყაროლოგია, **„მეცნიერება“,** 2001, გვ. 10, 35.).

ძველ ქართველებს-პროტოქართველებს (ლაზებს-ჭანებს-კოლხებს) ჰქონდათ არა მარტო საკუთარი სალაპარაკო ენა, არამედ დამწერლობა, უძველესი კოლხური ანბანი-კვირბები, თვითმყოფადი კულტურა და დიდი კავშირურთიერთობა წინა აზიასთან, შუამდინარეთთან. ანტიკურ ხანაში საქართველო (კოლხეთი), ტერიტორიულად ესაზღვრებოდა საბერძნეთს, ხოლო ქრისტიანული სარწმუნოების მიღების შემდეგ იგი თავის ცივილიზაციით, განათლებით, დასავლეთ ევროპის ნაწილი გახდა.

მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ მსოფლიოში აღიარებული ამერიკელი მეცნიერი, შუმეროლოგი სემიუელ ნოა კრამერი ნაშრომში **„ისტორია იწყება შუმერიდან“ (სემიუელ კრამერი,** ისტორია იწყება შუმერიდან, თბ., 1988.) აღნიშნავს: **„ქართული ასომთავრული ანბანი კაცობრიობის პირველი დამწერლობა, პირველი ასონიშნით გამოხატული სამყაროს ღვთაებები, ყველა ანბანური დამწერლობის სათავე, მსოფლიოში მისი გავრცელების ახალი ცხრილი და ასაკი“.** კრამერი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ქართული ანბანი **„კაცობრიობის პირველი დამწერლობა“** და **„ყველა ანბანური დამწერლობის სათავეა“.**

**„ენა ქართველთა** — ამბობს გრიგოლ რობაქიძე — **უგენიალურესი ქმნილებაა ენათა შორის. მისი ფესვეული დევნა აუცნაურებს უთვალავ საიდუმლოთ მსოფლიოსა“. შემთხვევით არ უთქვამს ილია ჭავჭავაძეს, რომ ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობის, მთლიანობისა.**

ქართული დამწერლობის მკვლევარი ზურაბ ქაფიანიძე, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს წიგნები — შუმერების ანბანი, კაცობრიობის პირველი ანბანი და პროფესორ თეიმურაზ მიბჩუანთან ერთად შუმერულ-ქართული პარალელები და სხვა შრომები, ამტკიცებს, რომ ქართულ ანბანში არის უზარმაზარი ცივილიზაცია, რელიგიების სათავე, პითაგორული სისტემა, დედამიწაზე 14 ანბანი კი არ არის, ერთი ანბანია და დანარჩენი შემდეგ არის გადაღებული (**ზ. ქაფიანიძე,** როგორც თვითონ მიუთითებს — მის წიგნებში გადმოცემული კვლევის შედეგების სისწორე ირწმუნეს, სჯერათ აკადემიკოსებს ანდრია აფაქიძეს, გიორგი ციციშვილს, პროფ. თეიმურაზ მიბჩუანს და სხვა მრავალ მეცნიერს. გაზ. **„ასავალ-დასავალი“,** 2002, 20-26 მაისი.). ზ. ქაფიანიძის წიგნის რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და კულტურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გიორგი ციციშვილი წერდა: **„ქართული ენა დღემდე ინახავს შუმერული ენის ლექსიკურ ერთეულებს, რელიგიურ კულტურებს, ჰიმნებს, ხელოვნების სხვადასხვა ნიუანსებს. ამ მეცნიერული ჭეშმარიტების აღიარება დღევანდელ ცივილიზებულ ხალხებსა და ერებს მიიყვანს ერთი დიდი ღმერთის გაგებამდე და მოსპობს მათ შორის რელიგიური წინააღმდეგობებს“** (გაზ. **„სოხუმის სადროშო“,** 2002, 15 აპრილი.).

ქართული დამწერლობის წარმოშობა, მისი ურთიერთკავშირი მსოფლიოს სხვა უძველეს ანბანებთან, მიგვითითებს იმ იდუმალებაზე, რომელსაც თითოეული ქართული ასო-ნიშანი საკუთარ თავში ინახავს.

ზ. ქაფიანიძე ამბობს: ის საიდუმლო, რაც შუმერულ მითებსა და ლეგენდებშია და მსოფლიო მეცნიერებამ ვერ გაშიფრა, ქართულ ანბანშია მოცემული (გაშიფრული). ქართული დამწერლობა იცით რამოდენა საიდუმლოს შეიცავს? არცერთი სხვა ენის დამწერლობაში არანაირი საიდუმლო არ არის, მხოლოდ ქართულშია (გაზ. **„ალია“** 2003, 29 ნოემბერი-1 დეკემბერი.).

ქართული ანბანის მკვლევარი გასავ გასვიანი წიგნში **„ქართული ანბანი-სამყაროლოგია“** ხაზგასმით ასკვნის: „შეუვალი არგუმენტებით არის დამტკიცებული კაცობრიობის ფუძე-ანბანის ქართველურობა“ (გასავ გასვიანი, ქართული ანბანი... გვ. 23. იხ. აგრეთვე გ. გასვიანის წიგნი **„სამყაროული მოძრობა“,** მეორე გამოცემა, თბ., 2006.). ქართული ენა არის ლაზარე.

პროფ. რამაზ პატარიძე წერს, რომ ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია და ებრაული და ქალდეური (ქალდეური — ეს იგივე მეგრულია — კ. შ.) დამწერლობათა საფუძველზეა შექმნილი. რაც შეეხება ქართული მწიგნობრობის შექმნასა, ის ძვ. წ. III საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე მეფე ფარნავაზის სახელს უკავშირებენ (?!).

სიამაყით შეიძლება მოვიყვანოთ რამაზ პატარიძის ნაშრომიდან ერთი ადგილი: **„არც ერთ ერს ისტორიულ წარსულში არ შეუქმნია იმდენად სრულყოფილი ანბანური დამწერლობა, როგორიცაა ქართული ანბანური დამწერლობა“.**

მკვლევარი რამაზ ზარნაძე აკრიტიკებს ზურაბ ქაფიანიძის აღმოჩენებს, კერძოდ, არასწორად მიაჩნია შეხედულება იმის შესახებ, რომ **„ადამიანებს მიწაზე გაჩენისთანავე ჩამოჰყვათ ანბანი“** და **„კაცობრიობის პირველი დამწერლობა, შუმერების ანბანი — ქართული ასომთავრულია“.** ასევე აკრიტიკებს რამაზ პატარიძის ზოგიერთ შეხედულებებს (**რამაზ ზარნაძე,** ჭეშმარიტებას დრო, ხანი გამოაჩენს, ანუ საუბარი პალეოგრაფიულ თემაზე ბატონ ზურაბ ქაფიანიძესთან და ბატონ რამაზ პატარიძესთან, შეკითხვებით და ზოგჯერ პასუხებითაც, გაზ. **„ლიტერატურული საქართველო“,** 2003, 11-17 ივლისი, №28.).

მკვლევრებს დამტკიცებულად მიაჩნდათ, რომ პირველი ანბანი ფინიკიაში გაჩნდა ძველი წელთაღრიცხვით XIII საუკუნეში. ფინიკიელებმა ბაბილონის ლურსმულ დამწერლობასა და ეგვიპტის ჰიეროგიპტიკაში არსებული ანბანის ელემენტები გამოიყენეს და შექმნეს ოცდაორნიშნიანი ანბანი, რომელიც შემდგომში სწრაფად გავრცელდა და საფუძვლად დაედო სხვა ხალხთა ანბანსო.

ბევრ მეცნიერს მიაჩნდა, რომ პირველი ანბანი სირიაში შეიქმნა. იქ ჩასულ ტურისტებს (XX საუკუნის 80-იან წლებში) ურიგებდნენ თიხის მსუბუქ ფირფიტებს, უძველესი დამწერლობის **„ნიმუშებს“.** სირიის თითქმის ყველა ქალაქში არიგებენ ამნაირ — პირველი დამწერლობის დამადასტურებელ ფირფიტებს. XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრის ბოლოს, სირიის ქალაქ ალეპოში, ტურისტთა შეკითხვაზე გიდი დაბეჯითებით ამტკიცებდა (გიდის აზრი არ არის უტყუარი წყარო და არც რაიმე საბუთი), რომ პირველი ანბანის სამშობლო სირიაა, რომ პირველი დამწერლობა ჰქონდათ აგრეთვე კოლხებსაც, რომლებიც ყველაზე უძველესი ზღვაოსნები, გემთმშენებლები და კარტოგრაფები იყვნენო. აღსანიშნავია, რომ მთარგმნელმა (გიდმა) იცოდა კოლხეთი და მისი ადგილმდებარეობა — კომუნისტური რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ არ იცოდა საქართველო. ქ. ალეპოს სასაფლაოს დათვალიერების დროს გიდმა ტურისტები ერთ ლამაზად გაფორმებულ სასაფლაოს ქვასთან მიგვიყვანა და წარწერა წაგვიკითხა: ნუ ენდობით სომეხს ასი წლის გარდაცვლილიც რომ იყოსო და დასძინა: წარწერა შესრულებულია ძველ ებრაულ ენაზე, ებრაელის სასაფლაოზე. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის ტურისტებმა უკმაყოფილება გამოვთქვით (ტურისტებში ოთხი სომეხი იყო). შეწუხებულმა გიდმა თქვა: ჩემთან რა გინდათ, მე რა დავაშავე, მე ხომ არ წამიწერია, სასაფლაო და წარწერა მრავალი ათეული წლის წინანდელიაო. ტურისტებს შორის მყოფ ებრაელ, განათლებულ ინტელიგენტს ძალიან გაუჭირდა, თითქმის ვერ მოახერხა წარწერის წაკითხვა, მაგრამ ბოლოს თქვა: გიდის მიერ ნათქვამი (წარწერის შინაარსი) სწორი ჩანსო.

ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ჯონ დარნელი, მრავალი წელი იკვლევს ანბანის საკითხებს და მიუთითებს, რომ აღმოაჩინა დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ოთხი ათასი წლის წინ დამწერლობა ეგვიპტეში შეიქმნა; მისი ვარაუდით, ეს უგრების ანბანზე ათასი წლით ადრინდელია. მანამდე ეგვიპტელები ჩანაწერებს იეროგლიფებით აკეთებდნენ და ათასობით ნაირნაირი სურათის დახსომება უხდებოდათ და ამტკიცებს, რომ გრაფიკული ანბანის შექმნა უდიდესი პროგრესი იყო. პროფ. დარნელის აზრით, ეგვიპტური ანბანი ჯერ მეზობელ ქვეყნებში (ისინი თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ), შემდეგ კი საბერძნეთში გავრცელდა. სწორედ ძველი ერაყის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მეგრულ ენაზე მოსაუბრე ხალხები და მათი შექმნილია პირველი დამწერლობა და ანბანი.

გარდა ამისა, სხვა ცნობილი მკვლევრები ამტკიცებენ, რომ კაცობრიობის ფუძე ანბანი, დამწერლობა კოლხურია.

ძალზე საინტერესოა, რა ენაზე საუბრობდნენ (მეტყველებდნენ) ძველი კოლხეთის მეფე ფიხუნია, ასევე კოლხთა შემდეგი მეფეები: ჰელიოსი, აიეტი, მათი შვილები და მემკვიდრეები?

აღნიშნული პრობლემა ფართოდ აქვს გაშუქებული პროფესორ აკაკი ურუშაძეს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში **„ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ (აკ. ურურშაძე,** ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, იხ. აგრეთვე აკაკი ურუშაძის ნათარგმნი, აპოლონიოს როდოსელის, არგონავტიკა, თბ., 1948; ნაშრომს 1949 წელს თბილისის უნივერსიტეტის პრემია მიენიჭა. აკ. ურუშაძის მიერ პროზაულად თარგმნილ **„არგონავტიკაში“** კოლხეთთან დაკავშირებულ თქმულების საფუძვლზეა აგებული და მრავალმნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ძველი კოლხური ტომების სამკვიდრებელი ადგილების შესახებ. მან თარგმნა და ქართულად გამოსცა პლუტარქეს **„რჩეული ბიოგრაფიები“, ჰორაციუსის „პოეტიკა“,** გამოსცა ლათინური ხატოვანი სიტყვა — თქმანი ქართული შესატყვისებით; 1972 წელს უნივერსიტეტის რექტორის ილია ვეკუას ბრძანებით შეიქმნა **„ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“,** რომლის თავმჯდომარედ და მთავარ რედაქტორად დაინიშნა პროფ. აკ. ურუშაძე. 1971 წელს იგი აირჩიეს ვინკელმანის სახელობის საერთაშორისო საზოგადოების წევრად. მან ფასდაუდებელი როლი შეასრულა ქართველოლოგიის კარდინალური პრობლემის შესწავლის საქმეში, ის იყო დიდი მეცნიერი, დიდი ადამიანი, კეთილშობილი პიროვნება.) აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს, რომლის მრავალრიცხოვან კაპიტალურ ნაშრომებს შორის უნდა გამოვყოთ **„წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“ (თამაზ გამყრელიძე, „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“,** თბ., 1989, ასევე თამაზ გამყრელიძის წერილები გაზეთებში **„კომუნისტი“,** 1984, 29 ნოემბერი და **„ლიტერატურული საქართველო“,** 1999, 20-24 მარტი.), ნოდარ კანდელაკს და გურამ ცერცვაძეს **„ქართული დამწერლობის შექმნის საკითხისათვის“ (ნოდარ კანდელაკი, გურამ ცერცვაძე,** ქართული დამწერლობის შექმნის საკითხისათვის, ჟურნ. **„მნათობი“,** 1993, №5-6.), ფოლკლორისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრს, პროფესორ გიზო ჭელიძეს **„მართლა რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი?“, „ვინ არიან მეგრელები“** და სხვ. (**გიზო ჭელიძე,** მართლა რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი, ჟურნ. **„რიწა“,** 2000, №1-2, ინტერვიუ მიჰყავდა ჟანა ასანიძეს, ასევე: ვინ არიან მეგრელები, თბ., 2005 და სხვ.)

აკ. ურუშაძემ არგონავტების თქმულების მასალების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ოცდაცამეტი საუკუნის წინ, ბერძნებმა ილაშქრეს და მოიტაცეს **„ოქროს საწმისი“** კოლხეთიდან, რომელ ქვეყანასაც თავისი საკუთარი ენა და დამწერლობა ჰქონდა. კოლხეთიდან ელადაში მიმავალი არგონავტი თანამგზავრს-თანამეხომალდეს მოუთხრობს, რომ მამაცმა კოლხებმა მრავალი ქალაქი ააშენეს, მათ შორის ქალაქი რა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ დგას და იქ მცხოვრებლებს შემონახული აქვთ თავიანთი მამებისაგან ნაწერი კირბები (კვირბები) (იხ, **აკ. ურუშაძის** აპოლონიოს როდოსელის, არგონავტიკა გვ. 175 (იხ. აგრეთვე გიზო ჭელიძის მითითებული ნაშრომი, გვ. 27).), ამაზე გარკვევით წერს აპოლონიოს როდოსელი, რომელშიც (კირბებში) წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარია მოგზაურებისათვის ნაჩვენები. პროფ. აკ. ურუშაძემ კირბის სემანტიკა გაარკვია და გვიჩვენა, რომ ის არის დაფაზე, ფირფიტაზე, სტელაზე შესრულებული არა მხოლოდ კარტოგრაფიული, არამედ რელიგიურ-საღვთოსამსახურო, საკანონმდებლო, მეცნიერული, მხატვრული ტექსტებიც.

დღეს მსოფლიოში მეცნიერებას საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ აიეტის კოლხეთი მითოსური არაა, არამედ რეალურად არსებული ქვეყანაა, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი ენა და დამწერლობა ჰქონდა, ამას ადასტურებს თვით არგონავტების მითი. როდესაც იასონი და მედეა კუნძულ აიაზე აიეტის დას — კირკეს ეწვივნენ, კირკეს **„სურდა ქალწულის პირიდან მშობლიური ხმა გაეგონა. მართლაც მრისხანე აიეტის ასულმა თავის მამიდას — კირკეს წყნარი ხმით უამბო ყველაფერი კოლხურად“** (იხ, **აკ. ურუშაძის** აპოლონიოს როდოსელის, არგონავტიკა გვ. 175 (იხ. აგრეთვე გიზო ჭელიძის მითითებული ნაშრომი, გვ. 27).).

სხვა მაგალითიც: ცნობილი ავტორები ლიკოფრონი და კალიმაქე ადასტურებენ, რომ რადგან აიეტის მიერ გაგზავნილმა მდევრებმა ვერ შეიპყრეს არგონავტები, აიეტის შიშით უკან ვერ დაბრუნდნენ და დასახლდნენ ეპირში, სადაც დააარსეს ქალაქი, რომელსაც კოლხურ ენაზე პოლა ეწოდება; როგორც კალიმაქე აღნიშნავს, კოლხურად პოლა **„ლტოლვილთ“** ნიშნავს. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მედეა პელიასის სასახლეში — სხვა ქვეყნის ქალაქში — საკუთარ ენაზე წარმოთქვამს სიტყვას — ლოცვას. დიოდორე სიცილიელი ამბობს: **„ჩირაღდნებით აღჭურვილი ქალიშვილები მედეამ სასახლის მაღალ თაღზე აიყვანა, თვითონ კი კოლხური ენით გრძელი ლოცვის წარმოთქმას შეუდგა“.**

კირბები ბერძნული სამყაროსათვის უცხო წარმომავლობის, წინაელინური მოსახლეობის წიაღშია წარმოშობილი. ე. ი. ელინურ დრომდე არსებული ძველისძველი კოლხური ძეგლებია. ელინურ სამყარომდე არსებობდა კოლხური სამყარო, რომელიც ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა.

დადასტურებულია, რომ კოლხთა წინაპარი, თითქმის ოცდაათაზე მეტი ტომი, ჯერ კიდევ მეხუთე, მეოთხე ათასწლეულებში და გაცილებით უფრო ადრეც, როგორც აღინიშნა, განსახლებული იყვნენ წინა აზიაში, მცირე აზიაში, შუამდინარულ, ეგეოსურ-მედიტერანულ სიძველეებში და შექმნეს წინაბერძნული ცივილიზაცია.

*(გაგრძელება იქნება)*

# წინასაარჩევნო უფასო ექსკურსიები გლეხებისთვის

იმერეთის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს უფასო ექსკურსიებზე დაჰყავთ. ამის შესახებ ექსკურსიის ერთ-ერთმა მონაწილემ გვაცნობა. როგორც ის ყვება, 14 ივნისს, ზესტაფონის რაიონის სოფლებიდან 12-12 ადამიანი წაიყვანეს სამტრედიის, ვარციხის, აბაშის და წყალტუბოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დასათვალიერებლად.

სოფელ სვირის ერთ-ერთი მკვიდრი – ქალბატონი მარინა, რომლის ვინაობასაც გარკვეული მიზეზების გამო არ ვასახელებთ, ამბობს, სამინისტრომ ექსკურსიაზე სოფლის მოსახლეობა საკუთარი ხარჯებით წაიყვანა, რაშიც მგზავრობის და კვების საფასურიც შედიოდა:

**"თავისი ავტობუსით წაგვიყვანეს და სოფლის მეურნეობის ბაღები და სათბურები დავათვალიერეთ. დიდი ხანი არ არის, რაც ასეთი შეხვედრები ტარდება. როგორც ვიცი, ჩვენ მეორე ნაკადი ვიყავით. უკან რომ ვბრუნდებოდით, კიდევ ერთი ავტობუსი ხალხი მიდიოდა აბაშისკენ".**

კითხვაზე, რა პრინციპით შეარჩიეს სოფლის მოსახლეობა, ამის შესახებ ინფორმირებული არ არის, თუმცა გვითხრა, რომ სოფლის საკრებულოში პირადად დაიბარეს და ექსკურსიაზე წასვლა შესთავაზეს. **"სოფლის საკრებულოში დაგვიბარეს და წასვლა შემოგვთავაზეს, თუ გვინდოდა, ექსკურსიაზე უფასოდ წაგვიყვანდნენ. ჩვენი სოფლიდან სულ 12 ადამიანი ვიყავით. ისე ზესტაფონში დაგვხვდნენ სხვა სოფლებიდან ჩამოსულებიც და ერთად წავედით.**

**კვება, მგზავრობა და ყველანაირი ხარჯი სამინისტროსი იყო. სუფრა სამტრედიაში, მექანიზაციის შენობაში გაგვიშალეს. ჩვენ არაფერი გადაგვიხდია. კი არადა, საჩუქრებიც დაგვირიგეს – თითო ბოთლი შავი ღვინო, კალენდრები, ბლოკნოტები და პასტები. ძალიან კმაყოფილები ვართ. სოფელში ასეთი რამე მე არ მახსოვს, ვინმეს უფასოდ ექსკურსიაზე წავეყვანე",** – გვითხრა მარინამ.

მისივე თქმით, მოსახლეობას სოფლის მეურნეობის მიღწევები გააცნეს.

**"თბილისიდან სასოფლო უნივერსიტეტის სტუდენტი გოგონა ჰყავდათ გიდად ჩამოყვანილი. ასევე ჩვენთან ერთად იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელიც. როგორც ვიცი, ჩვენთან ერთად ზესტაფონის რაიონის გამგებელი და ადგილობრივი საკრებულოს თავმჯდომარეც უნდა წამოსულიყო, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრეს.**

**წყალტუბოს გარდა სამტრედიაში, ჯიხაიშში და აბაშაში განთავსებული სოფლის მეურნეობის საწარმოები და სათბურები დავათვალიერეთ. ვარციხეში ვიყავით, მოცვის პლანტაციები ვნახეთ, წყალტუბოში – სათბურები, აბაშაში – სიმინდის საშრობი".**

კითხვაზე, აქვს თუ არა რაიმე კავშირი ამ ექსკურსიას მმართველ პარტიასთან, რესპონდენტმა გვითხრა, რომ გამგეობის წარმომადგენელი შეხვედრაზე იმყოფებოდა, თუმცა ვერ აკონკრეტებს, რა თანამდებობა უჭირავს ამ პიროვნებას ზესტაფონის რაიონის გამგეობაში:

**"სიდრაძე იყო გამგეობიდან, თანამდებობა ზუსტად არ ვიცი, მაგრამ გამგეობაში მუშაობს. რაც შეეხება ექსკურსიის კავშირს მთავრობასთან, მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ "ნაციონალების" მხარდამჭერი ვარ.**

**"მგონი კი არის კავშირში, მაგრამ ჩვენ ისე აგვარჩიეს, ვითომ სოფლის მეურნეობის წარმომადგენლები ვიყავით. მთავრობა გვაფინანსებდა და რატომ არ უნდა წავსულიყავით?! ძალიან კარგი ექსკურსია იყო".**

ინფორმაციის გადასამოწმებლად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესცენტრს დავუკავშირდით. როგორც პრესცენტრის წარმომადგენელი ჩვენთან საუბარში ამბობს, მსგავსი შეხვედრები რაიონში ახლახან დაიწყო, თუმცა რა დატვირთვა აქვს მას, ვერ აკონკრეტებს.

**"ხალხი სოფლის მეურნეობის ახალი ცენტრების გასაცნობად, სათბურების და აგროკულტურული მეურნეობების დასათვალიერებლად მიჰყავთ. ამ შეხვედრებში გამგეობას მხოლოდ ის დავალება აქვს, რომ სოფლებიდან ფერმერები გამოიყვანოს. რამდენი ადამიანი წაიყვანეს და რომელი სოფლებიდან, არ ვიცი, მაგრამ დაახლოებით 40-კაციანი ავტობუსები დადის".**

არის თუ არა იურიდიული თვალსაზრისით ასეთი სახის შეხვედრები კანონდარღვევა, ამის შესახებ საარჩევნო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას გვესაუბრა.

როგორც კოალიციია **"არჩევნის თავისუფლებისთვის"** წარმომადგენელი ირაკლი მელაშვილი ჩვენთან საუბარში ამბობს, თუ ექსკურსიის ხარჯები ბიუჯეტით გათვალისწინებული არ იყო, მაშინ ეს თანხების არამიზნობრივ ხარჯვად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, მისივე აზრით, ამ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარებულ ღონისძიება ამომრჩევლის მოსყიდვად არ შეიძლება ჩაითვალოს.

**"თუ ვინმე იქ პარტიის აგიტაციას არ ეწეოდა, მაშინ კანონდარღვევა არ არის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეუძლია ასეთი საჩვენებელ შეხვედრების ჩატარება, რათა მოსახლეობამ თავისი მეურნეობა გააუმჯობესოს. მნიშვნელობა არ აქვს, ეს არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე იქნება, თუ უფრო გვიან",** – ამბობს მელაშვილი.

მისივე თქმით, **"ამომრჩევლის მოსყიდვას ადგილი იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ ექსკურსიას მმართველი პარტია საკუთარი ხარჯებით დააფინანსებდა".**

**"თუ შეხვედრა მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებისთვის ჩატარდა, ეს კიდევ სხვა საკითხია, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ყველაფერი ფარული რეკლამისთვის იყო გამიზნული. ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა.**

**თუ შეხვედრის ხარჯი ბიუჯეტში არ იდო და ერთი პარტიის სასარგებლოდ კეთდებოდა, მაშინ ღიად გვაქვს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან საქმე",** – თქვა მელაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი და კანონი **"მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ"** შეიცავს ამომრჩევლის მოსყიდვის საწინააღმდეგო ნორმებს, რომლებიც მკაცრად კრძალავს კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ ფულის ან საჩუქრების ამომრჩევლებისთვის შეთავაზებას არჩევნებში მათი მხარდაჭერის სანაცვლოდ.

თ. კაკაურიძე



## პოეზიის კუთხე

### ჩქიმ ქიანა

ვარე სოთინ თეცალი,
ბჟა დო თუთაშ ბარჩხალი,
მაფშალიაშ ღურჭული,
ზინთხუეფიშ ტკარჩალი.
მალ წყარიში გურგინი,
ყებურშ ნორცხვაშ ტყვარცალი,
ბაღანეფიშ ხურთქინი,
მარჩხას ჩხომიშ ხვართქალი;
სოთინ ვარე თეცალი,
ართო ჭკვერ დო მენცარი,
გოხაჭუჭელ ანც დო განც,
თოლ ვაგანჭუ ჯგირ დო სქვამს.

დემურ ანთია.

### ეეხ, ყოროფა!

ეხ, ყოროფა, ყოროფა,
მინ გოლოფა, მინც ჭოროფა,
მინშო რექი ჰამო, მინიშო ნწარე,
მინც აძიცინე, მინც ანგარინე...
ეხ, ყოროფა, – სი გომონუ,
ირ შურდგუმუ დიხა დო ცას.
არძას უნჩაშე: – ჭკვერს,
ბოროს, ბრძენს დო ხანგას...
მინც ტვინც გაგმუხაკ,
მინც მიდმუულა ჭკუას,
მინც გვალო გაახანგე,
მისი ქუჩანუა ფსუას.
მინც ვაკანწყ, მინც გაკარღვა,
მინც დიტალენქი ხვალე.
მინც ვაღირსე შურო
მუთუნსუ, მიკმაათანქი ხვალე.
მარა მისუთი ვაუმორსებუ,
ინა ცოდა რე გვალო.
ფასი რინაში ის ვაარჩქილე
დო გილაგაგანც ცალო.
ყოროფა მაჭუალი, სი ქიმომინტე
სი რდა სანთელი ჩქიმი,
ხვალე რთხუულენქ, ვაწაქმიყონა
ღორონთიში წანა ჩქიმი.

რეზო კვარაცხელია

# ტრეფიკინგის ნიშნები და თურქი მაღალჩინოსნები გონიოს ბორდელებში

გონიოს მცხოვრებლებმა 20 ივნისს იქ არსებული არალეგალური ბორდელების აღკვეთის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართეს.

ხმაური გონიოში გვიან ღამემდე გაგრძელდა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლაშიც გადაიზარდა. საბოლოოდ სიტუაცია პოლიციამ განმუხტა.

აქცია გონიოში 20 ივნისს, საღამოს, 22.00 საათზე დაიწყო. გონიოს 100 -მდე მცხოვრები აცხადებს, რომ შავი ზღვის პირას არალეგალური პროსტიტუცია ყვავის და ხელისუფლებას ამ პრობლემის მოგვარებას თხოვენ. საღამოს აქციის მონაწილეებთან ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძეც მივიდა და პრობლემის მოგვარებას დაპირდა. აქციას თვალყურს საპატრულო პოლიციაც ადევნებდა.

აქციის მონაწილენი ამბობენ, რომ თუკი ვითარება ასე გაგრძელდა, ტურიზმს პრობლემები შეექმნება. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, **"ქუჩაში აკეთებენ ყველაფერს და იმდენად შეურაცხმყოფელია, რომ აქ დასასვენებლად არავინ ჩამოვა".**

აქციის მონაწილეების თქმით, ღამე იმიტომ მართავენ აქციას, რომ **"ეს ყველაფერი "ღამე იწყება".** აქცია ამ წუთებშიც გრძელდება.

გონიოში არალეგალური ბორდელების და შესაძლო ტრეფიკინგის თემას გაზეთმა **"ბათუმელებმა"** ბოლო ნომერში სტატია მიუძღვნა.

აზერბაიჯანის მოქალაქე ამბობს, რომ გიონიოში მდებარე სასტუმროში წელიწადნახევრის მანძილზე პროსტიტუციით იყო დაკავებული. მისი თქმით, სექსმუშაკებს არ შეუძლიათ ტერიტორიის სურვილისამებრ დატოვება.

ის ირწმუნება, რომ გონიოს სასტუმროებში ცხოვრობენ ქალები, რომლებსაც ფიზიკურად შეურაცხყოფენ და კლიენტების უფასოდ მომსახურებას აიძულებენ.

სექსმუშაკმა მედიასთან დაკავშირება მას შემდეგ სთხოვა გონიოელებს, რაც ის **„მეპატრონემ"** სცემა. ქალი იმაზეც საუბრობს, რომ მათი კლიენტები, ძირითადად, თურქეთის მოქალაქეები არიან, მათ შორის თურქი მაღალჩინოსნები.

**– შეგიძლიათ თქვათ, რომ ხართ პროსტიტუციით დაკავებული?**

– კი, ასეა. ძალიან ბევრი ვართ, რამდენიმე აზერბაიჯანელია, არიან ტაჯიკებიც. სასტუმროში, სადაც ვმუშაობ, 40-50-მდე ვართ. მე თურქეთში დეპორტი ჩამირტყეს, ჩამოვედი და აქ დავიწყე მუშაობა. ჩვეულებრივად ვზივარ, კლიენტურა მოდის, ფულს მაძლევს, შევდივართ ოთახში და გამოვდივართ.

**– ხელმძღვანელი გყავთ?**

– არის ასეთი ადამიანი, მედინე, რომელსაც სპეციალურად მოჰყავს აქ ხალხი და თუ კლინეტი მოვა, 20 ლარი მას ერგება. თვითონ არ მუშაობს. როცა ომერ აბდიოღლის (გონიოში მდებარე სასტუმროს მეპატრონე) მეგობრები ჩამოდიან, ის გვეუბნება, ამისგან ამდენი აიღეთ, ამას ამდენი მოსთხოვეთ, ეს დააკმაყოფილეთ... არიან ადამიანები, რომელსაც ფულის გარეშეც ამუშავებენ. მედინე ფულს ღებულობს და ომერს აძლევს.

**– რა მოხდება, თუ მოგინდებათ დატოვოთ სასტუმრო, ან ომერს ფულს არ გაუყოფთ?**

– გვცემს, გვიყვირის და გვლანძღავს. რამდენიმე საათი რომ დააგვიანო, სამსახურიდან გაგადებენ, ყველაფერს აკონტროლებს, როგორ უნდა მოვიქცეთ.

**– სასტუმროს გარდა კლიენტის სხვაგან წაყვანა შეგიძლიათ?**

– არა, ეს სასტიკად აკრძალულია, სასტუმროში უნდა დავრჩეთ. მარტო ჩაის ვსვამთ, ღამის 9-დან დილის 6 საათამდე სამუშაო დრო გვაქვს, შეიძლება მუშაობა არ იყოს, მაგრამ საჭმელს მაინც არ გვაჭმევენ.

**– უცემიათ ვინმე იმის გამო, რომ პირობა არ შეასრულა?**

– დიახ, ამას გონიოში მომუშავე გოგონებიც დაადასტურებენ. ყოფილა შემთხვევები, ომერს აუყვანია ერთი ქალი ნომერში, არ მოსწონებია, უცემია და მეორე აუყვანია. ქალი როცა პრეტენზიას გამოხატავს კლიენტის წინაშე, ომერი ლანძღავს და ემუქრება.

**– დაახლოებით რამდენი ქალია ამ საქმეში ჩართული?**

– ამ რესტორანშია ყველაზე ბევრი, 30-40 ქალი.

**– რა ინციდენტი მოხდა გუშინ?**

– ომერის მეგობარი ჩამოვიდა, სახელმწიფო მოხელე, ფასზე მოხდა უთანხმოება, მითხრეს, დააკელიო, არ დავუკელი, ერთი დაღესტანელი გოგოა, ომერს უთხრა, ასე იქცევაო, ჩემზე ლაპარაკობდნენ, ჩემი სახელი რომ გავიგონე, ჩამოვედი, ომერმა, გაჩუმდი, ჟურნალისტები არიან გარეთო და სახეში გამარტყა ძლიერად, მთელი დღე მტკიოდა სახე.

**– ომერს ვინმე მფარველობს საქართველოში?**

– ეს არ ვიცი. ამ რესტორანში ქართველები არ დადიან, მხოლოდ – თურქები. ტაქსები, რომლის მძღოლებიც ქართველი ბიჭები იყვნენ, გაყარა, ორი ტაქსი იყიდა და თვითონ ამუშავებს.

**– პოლიციელები მოსულან აქ?**

– არა, პოლიციელები არ მოდიან. პოლიციას ომერი არ მოსწონს, ყველამ იცის, როგორი ადამიანია, ერთი ქალის გამო ყველას გაყიდის.

**– ვინ დადის თურქეთიდან თქვენს სასტუმროში, დადიან მაღალჩინოსნები?**

– კი, მერებიც ჩამოდიან. მაგალითად, გუშინ ვისთანაც ვიჯექი, იყო ტრაპიზონის მერი.

**– რა იცით იმ ქალის შესახებ, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო?**

– არა, არ ვიცი. უზბეკებს მხოლოდ ვესალმები, არ ვიცნობ. არიან ქალები, რომლებიც მუშაობენ და კარგადაც იქცევიან. უზბეკები ხშირად სვამენ, მათთან ურთიერთობა არ მაქვს. ერთი ფეხმძიმე ქალიც მოვიდა, მაგრამ ცუდად ხდებოდა და გაუშვეს. მედინე პასპორტებს ართმევს და რომ დაუბრუნოს, ამისთვის 500 დოლარს სთხოვს. მე არ ვიცი უზბეკური და ზუსტად არ ვიცი, მაგრამ არიან გოგონები, რომლებიც რამდენიმე წელია აქედან არ წასულან, ბევრს გაქცევა უნდა, მაგრამ ვერ გარბის.

**– თქვენ შეგიძლიათ წასვლა, დოკუმენტები წესრიგში გაქვთ?**

– კი, შემიძლია. წელიწადნახევარი, ან ორი წელია აქ ვარ, მაგრამ მივდივარ და ისევ ჩამოვდივარ. მეც აქ ვმუშაობ, ერთ-ერთი მათგანი ვარ, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი აქვს, საზღვრებს არ უნდა გადახვიდე. ყველას ვეუბნები, რომ ჯანმრთელობას მოუფრთხილდნენ. მე ექიმი ვარ და ვიცი როგორ უნდა მოვიქცე.

– ომერმა რომ გაიგოს ჟურნალისტებს ელაპარაკე, რა შეიძლება მოხდეს?

– მე არ მეშინია. მე დავტოვე იქაურობა და მივდივარ. სახლში ვბრუნდები. დანარჩენს თქვენ მიხედეთ, გონიოელებმა და ბათუმელებმა.

# გულბაათ რცხილაძე: „აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მიერ გაკეთებული განცხადებების ინტერპრეტირება სხვადასხვაგვარად შეიძლება..."

პრესისათვის აქტუალური მოვლენების კომენტარს ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი გულბაათ რცხილაძე აკეთებს.

**– ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მომენტი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უდავოდ აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის ვიზიტი გახდა. მას მოუთმენლად ელოდა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. პირველს ჩატარებული რეფორმების, ქვეყანაში დემოკრატიის ზეიმის უზენაესი მოწონების იმედი ჰქონდა, მეორეს – მორალური მხარდაჭერისა დიქტატორულ რეჟიმთან ბრძოლაში. და, როგორც ჩანს, ყველა კმაყოფილი დარჩა...**

– დიახ, მართლაც, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მიერ გაკეთებული განცხადებების ინტერპრეტირება სხვადასხვაგვარად შეიძლება, ისევე, როგორც თავად ვიზიტისა. მისი მიმდინარეობისას ერთ-ერთი მთავარი დებულება იყო შიდაქართული საკითხი მომავალი საპარლამენტო არჩევნების შუქზე. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ კლინტონი მხარს უჭერს ხელისუფლების შეცვლას. ხელისუფლება, რა თქმა უნდა, საპირისპიროს აცხადებს. კერძოდ, რომ ჰილარი კლინტონის ვიზიტი, ისევე, როგორც გამონათქვამები, არა მარტო ცალკეული პიროვნებების, არამედ მთლიანად საქართველოს კურსის პირდაპირი მხარდაჭერაა. გასაგებია, რომ ხელისუფლება ჩვენთან გარკვეულწილად ყველა შემთხვევაში შეიცვლება, არჩევნების შემდეგ პარლამენტი ასეთი მონოპარტიული აღარ იქნება. **„ნაციონალების"** ადგილს სხვები დაიკავებენ. ასე რომ, ხელისუფლების არსებითი ცვლა მოსალოდნელი არ არის. თავად მიხეილ სააკაშვილს არაერთხელ განუცხადებია, რომ **„ვარდების რევოლუციის"** ყველა **„მონაპოვარს"** მოფრთხილება, გაღრმავება სჭირდება და ეს ხანგრძლივი პროცესია. ახლა რაც შეეხება ვიზიტის ჩემეულ შეფასებას... დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკულმა დიპლომატიამ საგანგებოდ დატოვა მრავალგვარი განმარტების შესაძლებლობა. ეს იმისთვის კეთდება, რომ ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც კმაყოფილი იყოს და, ამავე დროს, რაღაცა დაფარული დარჩეს... აშშ-ის პოლიტიკური თამაში საშუალებას აძლევს მას, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს დაეყრდნოს – საქართველოში მოვლენების განვითარების მიხედვით. ვფიქრობ, შტატებში არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი სურვილი, პრემიერ-მინისტრის სავარძელში სახელდობრ სააკაშვილი ან ივანიშვილი იხილონ. და საქმე აქ, რა თქმა უნდა, ობიექტურობასთან არ გვაქვს. პირიქით. აი, დააკვირდით – სწორედ აშშ-მ გახვია ივანიშვილი თავის პროამერიკულ ბადეში. ცხადია, რომ ივანიშვილის მიერ შეკრებილი გუნდი არა მხოლოდ მის პირად სიმპათიებს ან ანტიპათიებს გამოხატავს, არამედ ხარკს უხდის იმ რიტორიკასაც, რომელიც ჩვენში ბოლო ოცი წლის განმავლობაშია გაბატონებული. აშშ-ის მიერ ამჯერად არჩეული მომლოდინე პოზიცია საკმაოდ მომგებიანია. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ მთავარი პოლიტიკური ძალები ერთი კურსის კალაპოტში იყვნენ მოქცეული. და ამ კურსს უზრუნველყოფს როგორც **„ნაციონალური მოძრაობა"**, ისე – დიდი ალბათობით – **„ქართული ოცნება"**. რაც შეეხება ივანიშვილის პირად შეხვედრას კლინტონთან, ის, პრინციპში, არ შეიძლებოდა შემდგარიყო. ის რომ, პროტოკოლის საწინააღმდეგოდ, ასეთ ფორმატში გამართულიყო ადამიანთან, რომელიც პარტიის ხელმძღვანელიც კი არ არის, ეს ერთადერთი რამის – აშშ-ის მხრიდან ივანიშვილის ცალსახა მხარდაჭერის მანიშნებელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში დღევანდელი ხელისუფლება სრულიად პარალიზებული დარჩებოდა. ამერიკელებს კი კონკრეტულ არჩევნებამდე საქმის მიყვანა სურთ, ხოლო იქ, ვიმეორებ, სიტუაცია გვაჩვენებს.

ნაადრევია ბიძინა ივანიშვილის პრეზიდენტობის საკითხის დასმაც. მას ჯერ არ გადაუწყვეტია, დათანხმდეს თუ არა ხელისუფლების პირობებს და არჩევნებში არა საქართველოს, არამედ ევროკავშირის მოქალაქის სტატუსით მიიღოს მონაწილეობა. კენჭისყრაში მონაწილეობაზე მისი უარი, ერთი მხრივ, პოლიტიკურად გამართლებულია. ეს შეთავაზება არანაირ ჩარჩოში არ ეტევა: ხელისუფლება კონსტიტუციას თავისივე შეცდომებისა და ახირებების გამო ცვლის. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს სიტუაცია შესაძლოა, ივანიშვილს ცუდად შემოუბრუნდეს. ძალთა როგორი კონფიგურაცია ჩამოყალიბდება არჩევნების შემდეგ? დავუშვათ, სახელისუფლო და ოპოზიციური პარტიები თანაბარ ხმებს დააგროვებენ, და თუ პარლამენტში პატური სიტუაცია შეიქმნება, პრეზიდენტის პოსტი საკმაოდ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას შეიძენს, მიუხედავად იმისა, რომ მისი უფლებამოსილებები უკვე პრემიერ-მინისტრზეა დელეგირებული. ძნელი სათქმელია, რას ფიქრობს ამ შესაძლებლობაზე თავად ივანიშვილი. დავუშვათ, ის არ მიიღებს მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში. მერე რა მოხდება? დათანხმდება თუ არა ის იმავე პირობებს პრეზიდენტის არჩევნებისთვის? ამგვარი პოზიცია შესაძლოა, საპრეზიდენტო კამპანიაში მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

**– აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი სომხეთსა და აზერბაიჯანში მათ შორის ურთიერთობის მორიგ გამწვავებას დაემთხვა. ვნებათაღელვა ორივე მხარეს გამძაფრებულია. ესე იგი – ისევ ომი?**

– სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის მთელ გაყოლებაზე წერტილოვანი სროლა, რომელსაც მესაზღვრეებში ორივე მხრიდან მსხვერპლი მოსდევს, პირველად როდი ხდება. ამჯერად მსხვერპლი მეტია, რადგან სროლა უფრო მასშტაბური იყო. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არ არის ბუფერული ზონა, გამყოფი ხაზი, რომელსაც მესამე ქვეყნების მშვიდობისმყოფელები დაიცავდნენ, ეს კი პერსპექტივაში საშიშია, შესაძლებელია კონფლიქტის ესკალაცია. არ არსებობს კონფლიქტის რეალურად მოგვარების პროცესი, მხოლოდ ლაპარაკი და მეტი არაფერი. ისინი უნდა გაერკვნენ – უნდათ თუ არა ამ ურთულეს კონფლიქტში არბიტრად რუსეთი. სომხეთი მისი ჯარების მიერ დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლებაზე უარს აცხადებს, აზერბაიჯანი კი ამას ვერ ეგუება. დღევანდელი მოვლენების შემდგომი განვითარების წინასწარ გამოცნობა ძნელია.

**– სამწუხაროდ, აზერბაიჯანთან ჩვენს ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა. განხეთქილების ვაშლად დავითგარეჯი იქცა...**

– ჩვენი ხელისუფლება ამ საკითხში პრობლემას ვერ ხედავს. როგორც **„გაირკვა"**, სამონასტრო კომპლექსი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ჯერ კიდევ 1994 წელს გაიყო! საქართველოს კულტურის მინისტრის თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული შეთანხმებაც არის. სინამდვილეში კი ამგვარი დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს! ერთმა ორგანიზაციამ (სამწუხაროდ, მისი დასახელება არ მახსოვს) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან ეს დოკუმენტი გამოითხოვა. სამინისტროში კი კულტურის მინისტრის განცხადების შესახებ არ იცოდნენ და სწორი პასუხი გამოგზავნეს – დოკუმენტი არ არის. ამასწინათ ევრაზიის ინსტიტუტის საიტზე გამოვაქვეყნეთ 1997 წლის მიმოწერა ედუარდ შევარდნაძესა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მაშინდელ ხელმძღვანელ ვალერი ჩხეიძეს შორის. მასში ნათქვამია, რომ მონასტრის ნაწილი – ბერთუბანი – საბჭოთა საზღვრების მიხედვით აზერბაიჯანშია. მაგრამ ეს ხომ მთის ქედია. აზერბაიჯანული მხარე იმ ფაქტს ეყრდნობა, რომ ქედი საზღვრის ბუნებრივი გამყოფია. როგორც იცით, ჩვენ ერთმანეთს ახლაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებში ვაღიარებთ, ოღონდ რა საზღვრებზე შეიძლებოდა ლაპარაკი სსრკ-ში? რა თქმა უნდა, მათ დაახლოებით, არაზუსტად აღნიშნავდნენ. რეალურ საზღვრებს კი დემარკაცია და დელიმიტაცია სჭირდება, მაგრამ ასეთი სამუშაოები არ ჩატარებულა – ესეც ჩემ მიერ ხსენებულ დოკუმენტშია ნათქვამი. ასე რომ, დისკუსიისთვის მასალა არსებობს. შევარდნაძისა და უფროსი ალიევის დროს მონასტრის საკითხი ასე მწვავედ არ იდგა. მისი მიყრუებული ტერიტორია აზერბაიჯანს დიდად არ აინტერესებდა. ახლა კი სიტუაცია შეიცვალა – მრავალრიცხოვან ტურისტებს განუმარტავენ, რომ ეს ქართული ისტორიული ძეგლია. თუნდაც ვაღიაროთ, რომ ეს ტერიტორია მეზობელ სახელმწიფოს ეკუთვნის, მონასტერი ხომ აზერბაიჯანული არ არის. და მას თავისი მრავალსაუკუნოვანი კანონიერი მფლობელი ჰყავს – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ამის იგნორირება აზერბაიჯანს არ შეუძლია. დააკვირდით, რა არის პრობლემის არსი. აზერბაიჯანელები ამტკიცებენ, რომ ეს ძველალბანური ისტორიული ძეგლია. ალბანეთი რეალურად არსებობდა, მაგრამ ის გაქრა! მისი მოსახლეობა გამუსლიმანდა და ყველანაირი უფლება დაკარგა მონასტერზე, რომელიც თუ ადრევე არ იყო, ყველაზე გვიან, ქრისტიანული ალბანეთის გაქრობის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიერი სამფლობელო გახდა.

საქართველო და აზერბაიჯანი ისე უნდა შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, კონკრეტულად, სად დადგინდება სახელმწიფო საზღვარი, ჩვენი მოქალაქეები სამონასტრო კომპლექსის ყველა ნაწილში თავისუფლად დაიშვებოდნენ. ჩვენი მიზანი ხომ აზერბაიჯანის საზღვრის დარღვევა, მის ტერიტორიაზე შეჭრა კი არ არის, არამედ მხოლოდ რელიგიური და ტურისტული მიზნებით მონასტრის მონახულება. კი ბატონო, აზერბაიჯანელებმაც ჩამოიყვანონ თავიანთი ტურისტები ჩვენს ტერიტორიაზე, რა თქმა უნდა, თუ აინტერესებთ. სხვათაშორის, ქართული მხარე მათ გარეჯის სანაცვლოდ ნაყოფიერ მიწებს სთავაზობდა, მაგრამ უარი თქვეს. ადრეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ: სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე შეიარაღებული მესაზღვრეების ჩაყენება იგივეა, ქართული პოლიცია მარნეულის ან თბილისის მეჩეთში რომ შევიდეს. ეს მკრეხელობაა! აზერბაიჯანთან მშვიდობიანი და მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს და ეს ორივე მხარემ უნდა დააფასოს. რა საჭიროა წყლის ამღვრევა?

**– რუსეთთან ურთიერთობაშიც ყველაფერი რთულად არის. როგორ აღმოვფხვრათ მტრობა და როგორ გავიდეთ ნორმალურ კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე?**

– იცით, რუსეთ-საქართველოს საკითხი ჩემი მუდმივი სასაუბრო საგანია, და მან უკვე ბოლო მომიღო! მეკითხებით, როგორ აღმოვფხვრათ მტრობა? მოკლედ და კონკრეტულად გეტყვით – არანაირი მტრობა არ არსებობს. მის დათესვას ხელოვნურად ცდილობდნენ სააკაშვილი და მისი გარემოცვა. რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან არაერთი სიგნალი იყო, რომ მათ მიერ ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარების პირობებშიც კი დიალოგის წარმოება შესაძლებელია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რუსეთი თავის პოზიციაზე უარს იტყვის. მიმაჩნია, რომ ჩვენ სხვა – ქართულ-აფხაზურ-ოსური სახელმწიფოს შექმნისკენ უნდა წავიდეთ. დიახ, მიწები ჩვენია! მაგრამ იმ ეთნოსთა ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ, რომლებიც ამ მიწებს თავიანთ სამშობლოდ მიიჩნევენ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავენ, ჩვენგან განსხვავებით... საქართველო ერთიანია, და ეს წმიდათაწმიდაა. ჩვენ საკუთარ ტერიტორიებს არ ვანიავებთ, მაგრამ, როგორც ხვდებით, დიპლომატიას ბევრი რამ შეუძლია, მათ შორის, ის ზოგიერთ იურიდიულ ეშმაკობაშიც ძლიერია. ამისი მაგალითი უამრავია. თუმცა ამ თემაზე საუბარმა შესაძლოა, შორს წაგვიყვანოს. ვიმეორებ, სავსებით შესაძლებელია ახალი საკავშირო სახელმწიფოს შექმნა რუსეთის პატრონაჟით. საქმე, იცით, რა არის: აფხაზები და ოსები არ გვენდობიან, ეშინიათ, რომ მოვატყუებთ, ჭკუაში ვაჯობებთ და ომს დავუწყებთ. მათი უსაფრთხოების და, ამავე დროს, საქართველოს ერთიანობის გარანტი შეიძლება და უნდა გახდეს რუსეთი. იცით, დღეს ვერც კი ვიოცნებებთ იმ პირობებზე, რომლებიც 90-იან წლებში რეალურად იყო. შეგახსენებთ, რომ 1996 წელს რუსეთმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას დსთ-ის დონეზე აფხაზეთის ბლოკადის შესახებ. და 1997 წელს თბილისში ვლადისლავ არძინბა და ევგენი პრიმაკოვი ჩამოვიდნენ. არძინბა მაშინ საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა შემრიგებლური სიტყვებით: **„პროცესი დაიწყო"**... მაგრამ რა ხდება ამის შემდეგ? ედუარდ შევარდნაძე ძალიან მკვეთრად ცვლის კურსს დასავლეთის მიმართულებით და აცხადებს, რომ მალე ნატოში უნდა შევიდეთ... ამ ნაბიჯის გადადგმა შევარდნაძეს ამჟამად ხელისუფლებაში მყოფმა მისმა გარემოცვამ – ეგრეთ წოდებულმა ჟვანია-სააკაშვილის გუნდმა აიძულა. და როდესაც დღეს ხელისუფლება შევარდნაძის ეპოქას ახსენებს, მაინტერესებს, მაინც რომელ ეპოქაზეა ლაპარაკი? რეალური ის არის, რომ ეს მათი დრო იყო! სააკაშვილი მაშინ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ, მერე ფრაქციის ლიდერი გახდა. ზურაბ ჟვანია კი 1995 წლიდან ედგა სათავეში პარლამენტს, რომელსაც, დღევანდელისგან განსხვავებით, უზარმაზარი პოლიტიკური წონა ჰქონდა.

**– საერთაშორისო ვითარებას გადავხედოთ. თუ შეიძლება, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ჩინეთში ვიზიტზე გააკეთეთ კომენტარი...**

– ევრაზიული სივრცის ლიდერებს – რუსეთსა და ჩინეთს – შორის მუდმივი დიალოგი მიმდინარეობს. წარმატებულ თანამშრომლობას კონტინენტური ბლოკის შექმნისკენ მივყავართ. როგორც იცით, ამ სივრციდან აქტიურად განიდევნება დოლარი, ჩინეთი და რუსეთი ვაჭრობაში საკუთარ ეროვნულ ვალუტებზე გადავიდნენ. ყველა ეს ქმედება ამერიკულ ჰეგემონიას ფეხქვეშ ნიადაგს აცლის. რაც შეეხება საქართველოს, რუსეთ-ჩინეთის ტანდემი ჩვენს პატარა ქვეყანას უზარმაზარ შესაძლებლობებს უხსნის. თუ ამ ევრაზიულ სივრცეში ინტეგრაციას შევძლებთ, ვეებერთელა სავაჭრო ბაზარზე ადგილის დაკავების შანსი გვექნება. ევროპული ბაზარი ხომ ჩვენთვის დახურულია. თანაც ვის რაში ვჭირდებით იქ ჩვენი საქონლით?

**– პროტესტებისა და დემონსტრაციების სერია მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ცნობილი გახდა, როგორც „არაბული გაზაფხული". თქვენი აზრით, როგორ აისახება ის ისეთი ქვეყნების ბედ-იღბალზე, როგორიც არის, მაგალითად, ტუნისი, სირია, ლიბია? როგორი რეაქცია ჰქონდა ამაზე დასავლეთს?**

– **„არაბულმა გაზაფხულმა"**, ანუ როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, **„არაბულმა გამოღვიძებამ"** მაშინვე მიიქცია დასავლეთის ყურადღება, რომელიც შეეცადა, სათავეში ჩასდგომოდა ამ პროცესს, რათა გაეკონტროლებინა ის. მოდი, ქრონოლოგია აღვადგინოთ. ტუნისის პრეზიდენტი რამდენიმე დღეში გააძევეს, მაგრამ ეგვიპტეში სცენარი აშკარად დროში გაიჭიმა. მუბარაქი წასვლას არ აპირებდა. დაიწყო დიდი საპროტესტო მოძრაობა, მას სისხლისღვრა მოჰყვა. ამერიკელები, ისევე, როგორც ევროპელები, ორაზროვანი განცხადებებით შემოიფარგლნენ და რეალურად რაიმე რადიკალური ზომები არ მიუღიათ. ხანგრძლივი დუმილი პირველმა თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა დაარღვია, რომელმაც თანამდებობიდან გადადგომისაკენ მოუწოდა მუბარაქს. მალე მის მაგალითს სხვა ქვეყნებმაც მიჰბაძეს. ზუსტად ვერ გეტყვით, იყო თუ არა ეს საგანგებოდ შეთანხმებული, ერთი მხრივ, აშშ-სა და ევროპას, და, მეორე მხრივ, თურქეთს შორის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. გარდა ამისა, მიუხედავად ასადის რეჟიმთან კარგი ურთიერთობისა, თურქეთმა განაგრძო თავისი პოლიტიკა სირიაში. რეგიონის **„რევოლუციურად"** განწყობილ სუნიტებს შორის ამ ქვეყნის იმიჯი იზრდება.

**– რამდენადაც ცნობილია, ლიბიის ლიდერი საკმაოდ კარგად თანამშრომლობდა დასავლეთთან.**

– კადაფი, მართალია, კონტაქტში იყო დასავლეთთან, მაგრამ მუბარაქისაგან განსხვავებით, **„დასავლეთის კაცი"** არ ყოფილა. ის აშშ-ს არ გამოუზრდია და არ მოუყვანია ხელისუფლების სათავეში. თანაც მასთან ძველი პრეტენზიებიც ჰქონდათ... ამიტომაც გაუსწორდნენ ასე სწრაფად და სასტიკად. ასადი, დასავლეთის თვალსაზრისით – საერთოდ, მტერია. რატომ? იმიტომ, რომ სირიას და ირანს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ, ისინი ბუნებრივი მოკავშირეები არიან. ხედავთ, როგორი მჭიდრო ჯაჭვი გამოდის – ირანი, ერაყი, სირია, ლიბანი, რომელზეც არ ვრცელდება დასავლეთის დომინირება. როგორც ამბობენ, ძალა ერთობაშია, ამიტომაც ცდილობენ ამერიკელები ამ მეტად სერიოზული რგოლის – სირიის ამოგდებას. მათ ხელს აძლევთ იქ ნებისმიერი რეჟიმის დამყარება. თუნდაც ეს ისლამისტების, რადიკალი სუნიტების რეჟიმი იყოს, რომლებიც, როგორც ეგვიპტეში, ქრისტიანებს და სხვა კონფესიების წარმომადგენლებს დახოცავენ, ტაძრებს დაანგრევენ. მთავარია, ეს რეჟიმი საკმარისად ქაოსური იყოს, იმის მსგავსი, რასაც დღეს ლიბიაში ვხედავთ. ანუ სრული გაურკვევლობა და გაუცნობიერებელი, მაგრამ ერთგული მორჩილება დასავლეთისადმი. ირანისათვის სირიის წართმევა უფრო გართულდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ასადის რეჟიმი დამთმობი არ აღმოჩნდა, და ირანიც ძალიან ძლიერად და სრულიად ლეგიტიმურად უჭერს მას მხარს. სირიის სუვერენული სახელმწიფო საერთაშორისო საზოგადოების მიერ არის აღიარებული. ახლა კი მსოფლიოს თავს ახვევენ სხვაგვარ მიდგომას საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. რაში მდგომარეობს ის? ყველაფერი მეტად მარტივია – ვინც დასავლეთს მოსწონს, მას შეუძლია სუვერენიტეტის პრინციპის იმედი ჰქონდეს, ხოლო ვინც ეწინააღმდეგება – ის შესაძლოა, ნებისმიერი მეთოდით გადაყენებულ იქნეს. საქართველოს აზრი ამ საკითხზე არავის აინტერესებს, მას არავინ არაფერს ეკითხება. და მიუხედავად ამისა, საქართველოს პრეზიდენტი ოფიციალურ განცხადებებს აკეთებს სირიის შესახებ, სადაც ხაზს უსვამს, რომ რუსეთი მხარს უჭერს ასადის კოშმარულ რეჟიმს! ჩვენ ამ საქმეში არ უნდა ჩავერიოთ, უმჯობესია, განზე გავდგეთ. რუსეთი საკმაოდ მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე და სირიის დათმობას არ აპირებს. მათ მოკავშირული ურთიერთობა აქვთ და თუ სირია დაეცემა, მერე ირანის რიგი მოვა. ეს კი გაცილებით უფრო სერიოზული საქმეა. ირანის დაკარგვა სამხრეთის ფლანგზე რუსეთის სრულ იზოლაციას ნიშნავს. ანუ დასავლეთის გავლენა რუსეთის სამხრეთ საზღვრებამდე გავრცელდება. მაშინ კავკასიაც სულ სხვაგვარი გახდება და ცენტრალური აზიაც. ეს რუსეთს კარგს არაფერს უქადის და ის, რაღა თქმა უნდა, ამას არ დაუშვებს.

**– ასეთ შემთხვევაში, რატომ გაწირა რუსეთმა კადაფი?**

– კადაფი რომ არ დაეთმო და მისი რეჟიმისათვის მხარი დაეჭირა, რუსეთზე დიდი ზეწოლა მოხდებოდა. ზეწოლა ახლაც არის სირიასთან დაკავშირებით, მაგრამ რუსეთს სერიოზული არგუმენტები აქვს თავისი პოზიციის დასაცავად... დღეს აშკარა გახდა, რომ დასავლეთის მიზანი ლიბიის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა არ ყოფილა, მას მხოლოდ კადაფის დამხობა და იქ საკუთარი გავლენის დამყარება სჭირდებოდა. უკვე უდავო ფაქტია, რომ აშშ-მ და კომპანიამ დაარღვიეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია. სწორედ ამ არგუმენტს იყენებს რუსეთი დასავლეთთან კამათში.

ერთი სიტყვით, **„არაბული გამოღვიძება"** პერსპექტივებსაც შეიცავს და საფრთხესაც. პერსპექტივა თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობაა, საფრთხე კი – დასავლეთის გავლენის ქვეშ აღმოჩენა. გააჩნია, როგორი ბანქო მოვა...

– ისე კი, როგორც ზუსტად შენიშნა ტაციტუსმა: ცუდი იმპერატორის დამხობის შემდეგ ყველაზე უკეთესი დღე პირველი დღეა...

**ესაუბრა**
**დიანა შერეშაშვილი**

# მიმართვა ქართველი ერისადმი

**ძვირფასო თანამემამულენო!**

აშკარა მცდელობაა, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის გვერდის ავლით მასონ შევარდნაძის ხუნტის სამართალმემკვიდრე სააკაშვილის ადმინისტრაცია შეცვალონ ახალი ადმინისტრაციით. ამისათვის ისინი იყენებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მთავრობის წევრებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელების სახელებს. ისინი ყოველგვარი მეთოდებით ცდილობენ აიძულონ ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები დანიშნონ არჩევნები საოკუპაციო (აშშ) ადმინისტრაციის მკაცრი კონტროლის პირობებში და ამ **"არჩევნების"** ჩატარების შემდეგ კანონიერების საფარქვეშ განაგრძონ ქართული სახელმწიფოს დაშლა-განადგურება.

კანონიერი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის წარმომადგენლები, რომლებმაც დაარღვიეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებანი, აღარ ითვლებიან ქართული სახელმწიფოს ლეგიტიმურ წარმომადგენლებად და არავითარი კონსტიტუციური უფლება არ გააჩნიათ იმოქმედონ ქართული სახელმწიფოს სახელით.

საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების დე-ფაქტო აღდგენის პროცესის განხორციელების იურიდიული უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იმ დეპუტატებს, რომლებსაც არ დაურღვევიათ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (და არა მხოლოდ მის ნაწილზე) არჩევნების დანიშვნის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს საბჭოს. იგი არის გარანტი საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენისა, რომლის გამარჯვება 1990 წლის 28 ოქტომბერს არასაბჭოურ, მრავალპარტიულ არჩევნებზე მთელმა მსოფლიომ აღიარა. არჩევნების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის (1991 წლის 21 დეკემბერი) გაუქმების შემდეგ კონსტიტუციით დადგენილ ვადებსა და ვითარებაში.

არ არსებობს არავითარი ლეგიტიმური საბუთი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების ვადის გასრულებას ადასტურებს! აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას კავკასიის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, პუტჩის შემდეგ იძულებით მცხოვრებნი საზღვარგარეთ, მოგიწოდებთ სრულიად საქართველოს მოქალაქეებს, არ აჰყვეთ თვითმარქვია მასონი ლიდერების უპასუხისმგებლო ქმედებებს, მათ მიერ მოსყიდული ჟურნალისტების პროვოკაციებს, არ მიიღოთ მონაწილეობა ფსევდოდემოკრატიულ აქციებში და მათ მიერ დანიშნულ უკანონო არჩევნებში!

ძვირფასო თანამემამულენო! მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებას, კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით, მასიური პროტესტის შემთხვევაში შეუძლია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და, ამავდროულად, ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა.

ჩვენთან არს ღმერთი!

**საზღვარგარეთ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადახვეწილ, კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერთა და კანონიერი ხელისუფლების გვარდიელების სახელით**

**ირაკლი იბერი, დავით გიგაური, გიორგი ჯაყელი**

**აშშ, 2012 წლის ივნისი**

# დაპატიმრებული პრესა, ანუ დავახშოთ საინფორმაციო ჭუჭრუტანები: "კალმახელიძის უწყებაში პატიმარს როგორც ცხოველს, ისე აღიქვამენ"

დღევანდელ სამყაროში ინფორმაცია ყველაზე ეფექტური იარაღია ძალაუფლებისათვის. ამ ბრძოლაში გამარჯვება მისია, ვისაც ინფორმაცია და საინფორმაციო ბერკეტები აქვს. ამიტომაც არის, რომ ხელისუფლება თავგამოდებით ცდილობს, აკონტროლოს მედია. ხელისუფლებამ კარგად იცის, რა ძალა აქვს ობიექტურ ინფორმაციას, ამიტომ როგორც ჩანს, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ **"საშური საქმეა"** ყველა საინფორმაციო ჭუჭრუტანის დახშობა.

მოგეხსენებათ, ქართული კანონმდებლობით პატიმრებს ხმის მიცემის უფლება აქვთ, ამიტომ საქართველოს ციხეებში გაუსაძლისი პირობებით გაწამებული, თანაც ინფორმირებული პატიმარი ორმაგად საშიშია ხელისუფლებისთვის არჩევნების პერიოდში. ცოტა ხნის წინ პატიმრებისთვის ჟურნალ-გაზეთების ციხეში შეგზავნა არაოფიციალურად, მაგრამ კატეგორიულად აიკრძალა. პატიმრები ჩივიან, რომ თუ რამდენიმე თვის წინ ციხის მაღაზიებში სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების ყიდვა შეიძლებოდა, ახლა მაღაზიაში შეძენას ვინ ჩივის, ახლობლებიც ვეღარ ახერხებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემების შეგზავნას მათთან. თუმცა, საკმარისია ციხეს რომელიმე უცხოური დელეგაცია ესტუმროს, რომ მათ დასანახად მაღაზიებში მაშინათვე ჩნდება პრესის სრული ჩამონათვალი... რა თქმა უნდა, პატიმრებისთვის შეძენის უფლების გარეშე...

**ყოფილი პატიმარი:** – კალმახელიძის სტილი ხომ უკვე ყველამ გაიგო რაც არის – მხოლოდ ტყუილები, თვალის ახვევა და სინამდვილეში უმძიმეს მდგომარეობაში ამყოფებენ პატიმრებს, რომლებსაც როგორც არაადამიანებს, ცხოველებს, ისე აღიქვამენ სასჯელაღსრულების სისტემაში...

ჩვენ დავინტერესდით, თუ რა მოტივით აიკრძალა ციხეში ჟურნალ-გაზეთების შეტანა და სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურს დავუკავშირდით. პრესსამსახურის ხელმძღვანელმა თეა სუხიშვილმა ჯერ დრო ითხოვა საკითხის შესასწავლად, მოგვიანებით კი გვიპასუხა, რომ ციხეში პრესა დაუბრკოლებლად შედის.

**თეა სუხიშვილი:** "შედის, შედის ყველანაირი წიგნი და გაზეთი"(?!).

მართალია, სასჯელაღსრულების სამინისტრო დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ციხეში პრესა დაუბრკოლებლად შედის, მაგრამ ჩვენ სულ სხვა ინფორმაცია გვქონდა და ფარული კამერით შეიარაღებული, ჟურნალ-გაზეთებით ხელში გლდანის ციხეს მივადექით. გლდანში სიტყვაც არ დაგვასველებინეს, ისე მიგვასწავლეს **"საქართველოს ფოსტის"** გზა. თან, განგვიმარტეს, რომ ციხეში ჟურნალ-გაზეთების შეგზავნა მხოლოდ **"საქართველოს ფოსტით"** შეიძლება, ვინაიდან გლდანის ციხე დახურული რეჟიმის დაწესებულებაა... ახლა ის დაწესებულება შევარჩიეთ, სადაც სხვა ქართულ ციხეებთან შედარებით საუკეთესო პირობებია, კერძოდ, ორთაჭალის ციხე. იქ სასჯელს მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდადებული პირები იხდიან. აქ არსებული უკეთესი პირობების გამო მას **"ედემს"** ეძახიან. დავინტერესდით, **"ედემში"** მაინც თუ შედის პრესა.

როდესაც **"ედემს"** ჟურნალ-გაზეთებით მივადექით, გვიპასუხეს, რომ მხოლოდ სპორტული, რელიგიური თემატიკის ჟურნალების და კროსვორდების შეტანა შეიძლება. როგორც ციხის თანამშრომელმა გვითხრა, ადრე გაზეთები ციხის მაღაზიაში იყიდებოდა, ახლა კი მხოლოდ გარედან შემოდის და ისიც არაპოლიტიკური თემატიკის.

რადგან გავარკვიეთ, რომ **"საქართველოს ფოსტა"** იყო ის ერთადერთი სარკმელი, საიდანაც წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეტანა ქართულ სატუსაღოში შესაძლებელია, იქით გავეშურეთ. წიგნების შეგზავნაზე ფოსტის თანამშრომელი იოლად დაგვთანხმდა, პრესაზე კი კატეგორიულად მოგვიჭრა, პრესის ციხეში გაგზავნა აკრძალულიაო(?!).

**"რა ჟურნალ-გაზეთებია? არ შეიძლება, პრესა არ შეიძლება!.."** – მოკლედ მოგვიჭრა ფოსტის თანამშრომელმა ბევრი ვეცადე მომეპოვებინა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ციხეში პრესის შეგზავნას კრძალავს, მაგრამ ვერ მოვახერხე, რადგან საქართველოში ასეთი დოკუმენტი არ არსებობს! ვასილ თეთრუაშვილი, პრესის გავრცელების ერთ-ერთი სააგენტოს თანამშრომელი: **"ციხეში მაღაზიების მომარაგებაზე ტენდერი ადრე კომპანია "მეგაფუდმა" მოიგო. ჩვენ მასთან გვქონდა ხელშეკრულება დადებული და ციხეში ჟურნალ-გაზეთები უპრობლემოდ შედიოდა. ბოლო პერიოდში ჯერ გაზეთების გამორჩევით შეტანა დაიწყეს, ფაქტობრივად, აგვიკრძალეს, ე. წ. პოლიტიკური პრესის შეტანა. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ კი ჩვენთან თანამშრომლობა გაწყვიტეს. მიზეზად ის დაასახელეს, რომ თითქოს ვერ ვახერხებდით მაღაზიებში პრესის შეტანას. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია. ამჟამად კომპანიას, რომელიც ციხის მაღაზიებს სხვადასხვა საქონლით ამარაგებს, პრესის შეტანაზე ხელშეკრულება "საქართველოს ფოსტასთან" აქვს გაფორმებული".**

რადგან დავაზუსტეთ, რომ პრესით პატიმრების მომარაგების საპატიო მისია **"საქართველოს ფოსტას"** აქვს დაკისრებული, გვინდოდა, გაგვერკვია, რა მიზეზით ვერ ახერხებდა ეს კომპანია მოვალეობის შესრულებას.

არსებობს თუ არა კანონი ან ნორმატიული აქტი, რომელიც ციხეში პრესის შეტანას კრძალავს? – ამ კითხვით დავრეკეთ **"საქართველოს ფოსტის"** ცხელ ხაზზე, მაგრამ ეს კომპანია იმდენად **"გასამხედროებული"** აღმოჩნდა, რომ კომენტარის მიღება ვერ მოვახერხეთ. როგორც გვითხრეს, არაკომპეტენტურობის გამო პასუხს ვერ გაგვცემდნენ, ხოლო პრესსამსახურთან დაკავშირებაზე უარი ჯერ მისი მოუცლელობის მიზეზით მივიღეთ, მოგვიანებით კი (მას შემდეგ, რაც დირექციასთან დაკავშირება მოვითხოვეთ) გვიპასუხეს, რომ სამუშაო საათები დასრულდა და მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდებოდა.

სხვათა შორის, **"საქართველოს ფოსტას"** ძალზე საინტერესო ხელმძღვანელობა ჰყავს. მის გენერალურ დირექტორად ლევან სანაძე შარშან დაინიშნა (ის მანამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობდა), კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს კი ყოფილი ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი ხელმძღვანელობს. როგორც ამბობენ, ფაქტობრივად **"საქართველოს ფოსტა"** ვანო მერაბიშვილის უწყებიდან იმართება.

სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის ფიცი, რომ პრესა ციხეში დაუბრკოლებლად შედის, გვწამს, მაგრამ ბოლო ნამდვილად გვაკვირვებს.

**ხ. პაიჭაძე**



# ხიზრი ალდამოვი – "შევარდნაძის ხელისუფლება ბოევიკებებს ეხმარებოდა, მიხეილ სააკაშვილი კი ახალ "იჩქერიის მთავრობას" ქმნის"

საქართველოს ხელისუფლება ადრე იმ ბოევიკებს ეხმარებოდა, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტულ აქტებს ახორციელებდნენ, ამჟამინდელი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი კი ახალ, **"იჩქერიის მთავრობას"** ქმნის, – ამის შესახებ, რუსული მედიის ინფორმაციით, საქართველოში ჩეჩნური დიასპორიის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ხიზრი ალდამოვმა განცხადა.

**"ქართული მხარე ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, იღებდა ბოევიკებს და ყველანაირად ეხმარებოდა. ბევრი ტერაქტი, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელდა, კერძოდ, ჩეჩნეთში, საქართველოდან მომდინარეობდა",** – აცხადებს საქართველოდან წასული და ჩეჩნეთში დაბრუნებული ხიზრი ალდამოვი.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილმა გაპრეზიდენტების შემდეგ სცადა იმ ადამიანების მოშორება, რომლებმაც იცოდნენ საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების და სპეცსამსახურების კავშირზე ჩრდილო კავკასიის იატაკქვეშა ბანდფორმირებებთან.

**"სააკაშვილი და ქართული სპეცსამსახურები დგამენ ნაბიჯებს, რომ შეიქმნას ე.წ. "იჩქერიის მთავრობა", რომელიც ზეწოლას მოახდენს რუსეთზე და გააძლიერებს ჩეჩნეთში ტერორისტული დაჯგუფებების აქტიურობას. ამ მიზნით, მიხეილ სააკაშვილმა არაერთი კონფიდენციალური შეხვედრა გამართა საფრანგეთში მცხოვრებ იჩქერიის ექს-პარლამენტარ, აჰიად იდიგოვთან, სადაც აღნიშნული პროექტის განხორციელების დეტალები შეათანხმეს",** – განაცხადა ხიზრი ალდამოვმა.

მისივე ინფორმაციით, ახალი **"იჩქერიის მთავრობის"** წევრები ჩართულები არიან ე.წ. **"პანკისის ჯამაათის"** საქმიანობაში, რომლებმაც **"ჩრდილოეთ კავკასიაში ტერაქტების სერია განახორციელეს და მათ ფინანსურ დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატები და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები უწევდნენ".**

**"ამ პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერას ანტირუსული ტელეარხი, "პირველი კავკასიური" ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ ამ ტელეკომპანიის ერთ-ერთი გავლენიანი თანამშრომელი ჯოხარ დუდაევის ქვრივი, ალა დუდაევაა",** – აცხადებს ალდამოვი. ის ირწმუნება, რომ პირადად გამოდიოდა **"პანკისის ჯამაათის"** წინააღმდეგ, რის გამოც მისი მკვლელობა იგეგმებოდა.

ხიზრი ალდამოვი ჩეჩნეთში ახლახლან დაბრუნდა. გასულ კვირას ის შეხვდა ჩეჩნეთის პრეზიდენტს, რამზან კადიროვს და ბოდიში მოიხადა.

ასე რომ, უადგილო არ გახლავთ ქართველ ხელისუფლათა უარყოფითი დამოკიდებულება ხიზრი ალდამოვის ამ გადაწყვეტილებისადმი, რადგან მათ ჩეჩენ **"მოკავშირეს"** სააკაშვილისა და მისი გარემოცვის უამრავი პოლიტიკური ავანტიურის გაჟღერება შეუძლია.



# სურსათის წარმოება თითქმის განახევრდა

## სოფლის მეურნეობის უკუსვლა არ შეწყვეტილა

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციაში საქართველოს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების სტატისტიკური მონაცემები შეაჯამეს. აღმოჩნდა, რომ სფერო, სადაც ყველაზე მეტი ადამიანია დასაქმებული, ყოველწლიურად მცირდება. მეცხოველეობისა და საკვები პროდუქციის წარმოების ინდექსები შემცირებულია, სახნავ-სათესი მიწების ფართობი უკიდურესად ცოტაა, ხოლო **მშპ**-ში სოფლის მეურნეობის წილი – განახევრებული.

**ნოდარ ჭიჭინაძე** (აფბას ხელმძღვანელი): – ეკონომიკის ცალკეული დარგების უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ზრდის პარალელურად, სოფლის მეურნეობის სექტორი უკვე მერამდენე წელია ვარდნას განიცდის. ეს სფერო ძირითადად მეცხოველეობასა და მემცენარეობას მოიცავს. ორივე მიმართულებით მდგომარეობა სავალალოა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ინდექსი 2007 წელს 1999-2001 წლების მაჩვენებლის 84% იყო, 2008 წელს – 79%, ხოლო 2009 წელს – 67%. მაშინ, როცა სომხეთში ეს მაჩვენებელი 2009 წელს იყო 177%, აზერბაიჯანში – 152%, ყაზახეთში – 142%, ლატვიაში – 126%, რუსეთში – 118% და სხვ. თანაც ყველა ამ ქვეყანაში ზრდის ტენდენციაა.

საკვები პროდუქციის წარმოების ინდექსი 1999-2001 წლების დონესთან შედარებით 2007 წელს იყო 81%, 2008 წელს – 73%, 2009 წელს კი 66%. სომხეთში 2009 წელს ეს მაჩვენებელი იყო 192%, აზერბაიჯანში 151%, ესტონეთში 134%, ყაზახეთში 145%, ლატვიაში 138%, პოლონეთში 111%, რუსეთში 130%, უკრაინაში – 123% და სხვ. აქაც, ჩამოთვლილ ქვეყნებში ზრდა აღირიცხება. ამ მონაცემებით ეჭვქვეშ დგება არგუმენტი, რომ მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილის შემცირება სხვა დარგების ზრდის ხარჯზე მოხდა. ბოლო ხუთ წელიწადში სოფლის მეურნეობის წილი **მშპ**-ში განახევრდა და 2005 წლის 16,7%-დან 8,4%-მდე დაეცა.

კიდევ ერთი სამწუხარო სტატისტიკა: ქვეყნის მთლიან ფართობში სახნავ-სათესი ფართობების წილით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა 6,4%-ით. მეზობელ სომხეთში ეს მონაცემი 16%-ია, აზერბაიჯანში – 22,7%, თურქეთში 27,7%, უკრაინაში კი 56,1%...

ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობა მძიმე მდგომარეობაშია და ეს რამდენიმეწლიანი არასწორი პოლიტიკის შედეგია. პრობლემები სისტემურ დონეზე დგას, ამას მთავრობის მხრიდან კომპლექსური მიდგომა სჭირდება და არა მოკლევადიანი გაუაზრებელი პროექტები, რომლებსაც ხშირად ერთჯერადი ეფექტიც კი არ მოაქვს.

შედეგად, საგარეო ვაჭრობის ბოლო ათწლიან მონაკვეთში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის იმპორტი საგრძნობლად იზრდება. არადა, საქართველოს სოფლის მეურნეობაზე დასაქმებულთა 62% მოდის.

1999 წლიდან 2011 წლის ჩათვლით ხორცის წარმოება განახევრდა (100,5 ათასი ტონა წარმოებული ხორციდან 48,2 ათას ტონამდე). იკლებს რძის წარმოება. თუ ის 1999 წელს 660,3 ათასი ტონას შეადგენდა და შემდეგ ეს მაჩვენებელი 800 ათას ტონამდე ავიდა, 2011 წლისთვის 500 ათას ტონამდე შემცირდა. არასახარბიელო ვითარებაა სურსათის იმპორტთან დაკავშირებით. 2000 წელს იმპორტით შემოვიდა 130 მილიონის სასურსათო პროდუქცია, ხოლო შარშან – 986 მილიონის, ანუ მაჩვენებელი 7,5-ჯერ გაიზარდა. ესეც ცხადყოფს, რომ ადგილობრივი წარმოება შემცირებულია და მოთხოვნას იმპორტირებული პროდუქცია ავსებს.

თუ ცალკეულ სასაქონლო ჯგუფებს განვიხილავთ, ხორბლის იმპორტი, 2000 წელთან შედარებით შარშან 208 ათასი ტონიდან 623 ათას ტონამდე გაიზარდა, კარტოფილის – 5,2 ათასი ტონიდან 51 ათასი ტონამდე. ხორცის იმპორტი 2000 წელთან შედარებით, თითქმის 15-ჯერ არის მომატებული, ხოლო ბოსტნეულის – დაახლოებით ოცჯერ. ქვეყნიდან თითქმის მილიარდი დოლარი გადის და განსაზღვრული ბიზნესჯგუფებისთვის ეს შემოსავლიანი ბიზნესია. თუმცა ადგილობრივი წარმოება და, საბოლოო ჯამში, მომხმარებელიც, ამით დიდ დარტყმას იღებს.

თითქოს ღმერთმა დაგვწყევლა, ეს ათი წელია – არც ნორმალური სოფლის მეურნეობის მინისტრი გღირსებოდეთ და არც სოფლის მეურნეობაო.

მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა გაზეთის ამ ნომრის მეორე გვერდზე დაბეჭდილი სტატიის იმ ნაწილს, სადაც საუბარია გოროზიას განსწავლულობაზე მეცხოველეობაში, რომელიც, არ ვიცით, ხუმრობაა თუ არა, მაგრამ იმდენად მიახლოებულია რეალობას, რომ მისი დაჯერება აშკარად არ გაუჭირდება იმ ადამიანს, ვინც გოროზიას და სოფლის მეურნეობის საკითხებში მის კომპეტენტურობას იცნობს.

მოკლედ, საქართველოს სოფლის მეურნეობას ხან მცნება – **"დედალი ძროხების"** დამამკვიდრებელი მინისტრი მართავდა, ხან კი ის, რომელიც პურის ფქვილსა და კოკაინის ფხვნილს მხოლოდ სუნით თუ განასხვავებდა ერთმანეთისაგან.

სამწუხარო ის გახლავთ, რომ გოროზია პროფესიით ექიმია და სპერმასთან დაკავშირებული **"ნიუანსებისა"** რაღაც მაინც უნდა გაეგებოდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ისეთივე ექიმია, როგორი გუბერნატორიც იყო და როგორი სოფლის მეურნეობის დარგის თავკაცია...

მოკლედ, მგონია ღმერთს ვყავართ დაწყევლილები – **"ნაციონალების"** მიერ მართულ საქართველოში სოფლის მეურნეობის ნორმალური მინისტრი არ გღირსებოდეთო!

ამიტომაც გვაქვს ასეთი მწარე რეალობა – რაც მინისტრია, სოფლის მეურნეობაც ისაა!



# ბრიტანული სამართლის სისტემა ლაზიკასთვის

შავი ზღვის სანაპიროზე დაგეგმილ ქალაქ ლაზიკაში კომერციული ტრანსაქციების განსახორციელებლად საქართველოს ხელისუფლება ანგლოსაქსონური სისტემის შემოღებას განიხილავს კონტინენტური ევროპის სამართლის ნაცვლად, რომელზეც საქართველოს სამართლებრივი სისტემაა დაფუძნებული.

**„ლაზიკაში კომერციულ ტრანსაქციებზე შემოვა ბრიტანული სამართალი, ძალიან დიდ ექსპერიმენტზე მივდივართ იმისათვის, რომ მივიღოთ კომერციული ტრანსაქციების აბსოლუტური დაცულობა და გარანტირება, პირველ რიგში, ქართველი და, მათ შორის უცხოელი ინვესტორებისთვის",** – განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა დეტალებზე საუბრის გარეშე.

დეპუტატმა მმართველი პარტიიდან აკაკი მინაშვილმა განაცხადა, რომ პრეცედენტული სამართლის რეჟიმის შემოღება ქალაქ ლაზიკაში ჯერჯერობით იდეის დონეზეა.

**„ზოგადი იდეის დონეზე საუბარია პრეცედენტული სამართლებრივი რეჟიმის, ანგლოსაქსონური სამართლის პრინციპების შემოღებაზე, რომელიც უფრო ხელშემწყობია ინვესტიციების მოსაზიდად",** – განაცხადა მინაშვილმა და დასძინა, რომ ჯერჯერობით არ არსებობს კანონის პროექტი, რომელშიც ეს იდეა კონკრეტულად არის გაწერილი.

პარლამენტმა 12 ივნისს პირველი მოსმენით მიიღო საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის მიხედვითაც, უნდა იქნეს მიღებული ორგანული კანონი, რომელიც დაგეგმილი ქალაქის სპეციალურ სტატუსს განსაზღვრავს. როგორც მოსალოდნელია, ორგანული კანონი დეტალურად დაარეგულირებს ლაზიკას თვითმმართველობის ხარისხს.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ლაზიკას სამართლებრივ სისტემაზე განცხადება ეროვნული ბანკის ახალი საკასო ცენტრის გახსნის ცერემონიაზე გააკეთა, რომელსაც საბანკო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თავის სატელევიზიო გამოსვლაში სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს კარგი შანსი აქვს, რეგიონის ფინანსურ ცენტრად გადაიქცეს და კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ბათუმთან ახლოს უზარმაზარი ფინანსური ცენტრის ჩამოყალიბება იგეგმება.

მან განაცხადა, რომ პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 7% შეადგინა და ეს იმის მანიშნებელია, რომ წლევანდელი ზრდა, მინიმუმ, 8% იქნება, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

**„თუ ჩვენ წელს გვექნა 8%-იანი ზრდა, მომავალ წელს გვექნა 10%-იანი ზრდა, როგორც ვვარაუდობთ, და შემდეგ რამდენიმე წელიწადი 10%-იანი ზრდა, მაშინ საქართველოს სინგაპურიზაციის პროგრამა აღარ იქნება უტოპია, – განაცხადა თვით უპირველესმა უტოპისტმა სააკაშვილმა. – მე ძალიან კარგად ვიცი, რომ საქართველო არც სინგაპური არ არის და არც ჰონკონგი. საქართველოში ჯერ კიდევ წარმოუდგენელი გაჭირვებაა".**

მან, ასევე, მიმართა ცერემონიაზე დამწრე ქართული წამყვანი ბანკების მმართველებს: **„ჩვენ ყველამ უნდა ვიმუშავოთ იმაზე, რომ საბანკო განაკვეთები შემცირდეს, არის ძალიან მაღალი და თქვენ ჩემზე კარგად იცით ეს".**

**„ჩვენ ვმუშაობთ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებთან; ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა შემდგომ განმტკიცდება. მე ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს შანსი, რომ მომავალ წელს უკვე გადავიდეთ საინვესტიციო განაკვეთზე საქართველოში – ესე იგი ავიდეთ BBB სტატუსზე",** – განაცხადა სააკაშვილმა.

2011 წლის დეკემბერში სარეიტინგო კომპანია **„Fitch Ratings"**-მა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი გაზარდა სტაბილურამდე, რომელიც სამი საფეხურით ჩამოუვარდება ე.წ. საინვესტიციო დონის რეიტინგს.

**„საჭიროა, რომ ყველამ ერთად ვიმუშაოთ, რომ კრედიტები იყოს ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, განსაკუთრებით, კრედიტები იყოს დაბალგანაკვეთიანი და ჰქონდეს ეკონომიკური აზრი მათ აღებას; ეს არის უკიდურესად მნიშვნელოვანი",** – განაცხადა სააკაშვილმა.

მან გააფრთხილა ბანკირები, ნუ გააკეთებენ იმას, რომ იპოთეკური სესხების გადაუხდელობის გამო ქონების ჩამორთმევის შედეგად **„მივიღოთ მთელი კლასი აბსოლუტურად დამშეული, გაუბედურებული, განადგურებული ხალხისა".**

**„მე მხვდება უამრავი ადამიანი, რომელთაც ჰქონდათ ერთოთახიანი ბინა,ოროთახიანი ბინა, ბანკებმა წაართვეს და ხალხი დარჩა ქუჩაში. ხალხო, ფრთხილად იყავით, ძალიან გთხოვთ. ჩვენ ვიღებთ ძალიან დიდ ჯგუფს ჩვენი მოქალაქეების, რომლებიც თქვენ მიერაა გაღატაკებული და განადგურების პირას მისული და ნუ ვიტყვით, რომ მათ თვითონ გააკეთეს ეს არჩევანი... ძალიან გთხოვთ, რომ იყოთ ფრთხილად და გაფრთხილებთ, რომ იყავით ფრთხილად იმიტომ, რომ მიიღებთ სერიოზულ ანტისაბანკო განწყობას საქართველოში. ნუ გამოეკიდებით და ნუ დახარბდებით პატარა შემოსავლებს იმიტომ, რომ მივიღებთ აბსოლუტურად უკუეფექტს",**– განაცხადა სააკაშვილმა.

# მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მანანა მანჯგალაძე კომენტარს აკეთებს

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ქვეყნის პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას **"ფეისბუქზე"** დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამას წინათ გაზეთ **"ალიაში"** გამოქვეყნდა ვრცელი სტატია სათაურით – **"მიხეილ სააკაშვილს ლიტვაში მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი დაუდგინეს".**

პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის თემას პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე გამოეხმაურა. როგორც ქალბატონმა მანჯგალაძემ **"ნეტგაზეთთან"** საუბარში განაცხადა, ამჟამად სააკაშვილი თავს კარგად გრძნობს.

**"ამ ცნობასთან დაკავშირებით სერიოზულ კომენტარსაც კი ვერ გავაკეთებ, იმდენად სასაცილოა ყოველივე ეს. პრეზიდენტი თავს კარგად გრძნობს და სხვადასხვა ქვეყანაში სამუშაო ვიზიტები აქვს დადგეგმილი. დღეს სტამბულში მიემგზავრება, უახლოეს დღეებში კი, ბრიუსელში და ბაქოში",** – განუცხადა მანანა მანჯგალაძემ **"ნეტგაზეტს".**

გამოცემა ინკოგნიტო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ მიმდინარე წლის 14 ივნისს მიხეილ სააკაშვილი ლიტვაში, ვილნიუსის ერთ-ერთ სამკურნალო კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მას **"ქრონიკული ფორმის მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის"** დიაგნოზი დაუსვეს.

**"ქრონიკული ფორმის მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის" დროს პაციენტს შემდეგი სიმპტომები აღენიშნება – აწეული გუნება-განწყობა, თვითკრიტიკისა და თვითკონტროლის არარსებობა, განდიდების მანია, აჩქარებული, წყვეტილი და გაუგებარი მეტყველება. ზოგჯერ ჰალუცინაციური მოვლენები. ავადმყოფს შესაძლოა, ჰქონდეს აგრესიული ქცევებიც",** – წერს გაზეთი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ზემოდჩამოთვლილი სიმპტომი თვალშისაცემად დამახასიათებელია საქართველოს ფრიად ექსცენტრიული პრეზიდენტისათვის, ეჭვი არ უნდა შევიტანოთ ლიტველი ექიმების დასკვნაში, მით უმეტეს, რომ მათ საექიმო განათლების ევროპულის სკოლა აქვთ გავლილი და იშვიათად ცდებიან დიაგნოზის დადგენისას.

აქვე, მკითხველს უნდა შევახსენოთ საკმაოდ დიდი ხნის წინ მომხდარი ფაქტი, როცა მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრი იყო და მწვავე ოპოზიციონერად ითვლებოდა. მაშინ კი მომავალი პრეზიდენტი აშკარად გამოირჩეოდა სკანდალური ხასიათითა და არაორდინალური ქცევით, რის გამოც პრეზიდენტ შევარდნაძის მრჩეველმა, უდავოდ ნიჭიერმა, კულტურულმა და მაღალი განათლების მქონე თეიმურაზ მირიანაშვილმა პირში მიახალა იუსტიციის ახალგაზრდა მინისტრს:

**– შენ გიჟი ხარ, შენ ნამდვილი კლინიკური გიჟი ხარო!**

საერთოდ **მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს** ახასიათებს ციკლური შემოტევები, მით უმეტეს, როცა პაციენტი ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩნდება ხოლმე. ახლა კი, მიხეილ სააკაშვილს ნამდვილად მძიმე დღეები უდგას, რაც არ გამორიცხავს, რომ იგი მართლაც ფსიქოზის მძიმე ფორმით იყოს დაავადებული.



# ლევან ჩიკვაიძე: "მოსახლეობა კაციტაძის კომისიას კიდევ უფრო ნაკლებად ენდობა, ვიდრე ცესკოს"



საარჩევნო გარემოსა და მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესებზე თვალსაზრისს გამოხატავს არასამთავრობო ორგანიზაცია **"ამომრჩეველთა ლიგის"** აღმასრულებელი დირექტორი, იურისტი ლევან ჩიკვაიძე:

– ჩვენი ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს; ვაპირებთ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას, აგრეთვე, შევასრულებთ სადამკვირვებლო მისიას, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დღეს. ვიწყებთ ამომრჩეველთა სიის შემოწმებას კარდაკარ, ეს სახელმწიფოს მიერ კომისიის მუშაობის, მათი მონაცემების შემოწმებაც იქნება.

**– ანუ, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის, ე.წ. კაციტაძის კომისიის შედეგებს არ ენდობით?**

– ამ კომისიის შექმნის იდეა ხელისუფლებამ წამოაყენა მაშინ, როცა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, ფაქტობრივად, ერთპოლუსიანი იყო და ნაცმოძრაობა დომინირებდა. ამ კომისიის პარიტეტულობა იმთავითვე მოჩვენებითი იყო და არის: მასში **"ნაციონალური მოძრაობის"**, ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შვიდ-შვიდი წარმომადგენელი შედის. თუმცა, ამ კომისიაში შემავალი საპარლამენტო თუ სხვა პარტიები რეალურად ოპოზიციური არ არის, ამიტომ გადაწყვეტილებებს, ფაქტობრივად, **"ნაციონალური მოძრაობა"** იღებს. ამასთანავე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კანონი ავალდებულებდა ამომრჩეველთა სიის დაზუსტებას, მაგრამ იმ საბაბით, რომ ცესკოსადმი ნდობის ხარისხი დაბალი იყო, შეიქმნა კომისია. ჩემი აზრით, კაციტაძის კომისიას მოსახლეობა კიდევ უფრო ნაკლებად ენდობა, ვიდრე ცესკოს. კომისიის მიერ გამოქვეყნებული პირველადი მონაცემებით, 100 ათასი გადამოწმებული ამომრჩევლიდან უცხოეთში მხოლოდ 4.000 იმყოფება, 3.000 დაუდგენელი პირია, 300 – გარდაცვლილი. ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, 100 ათასი მოქალაქიდან საზღვარგარეთ წასული 4. 000 ადამიანი ძალზე მცირე რიცხვია – სულ 4 პროცენტი. მსოფლიო ბანკის ოფიციალური მონაცემებით, 2010 წლის დასაწყისში საქართველოს მილიონ 57 ათასი მოქალაქე ცხოვრობდა უცხოეთში – ეს ადამიანები მსოფლიო ბანკს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჰყავს აღწერილი. გარდა ამისა, კიდევ რამდენი ჩვენი თანამემამულე იმყოფება საზღვარგარეთ რეგისტრაციის გარეშე? გაეროს მონაცემებით, საქართველო მიგრაციის დონით ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზეა და ეს მაჩვენებელი, მილიონ ორასი ათასი რომც იყოს, სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მონაცემებისგან მაინც საგრძნობლად განსხვავდება. ამომრჩეველთა სიის 90 პროცენტი უკვე დაზუსტებული აქვთ, დაველოდოთ საბოლოო შედეგს, თუმცა ის პირველადი მონაცემებისგან დიდად განსხვავებული არ იქნება. გაყალბების მსურველმა პოლიტიკურმა ძალამ საარჩევნო სიიდან შეიძლება გამოიყენოს დაუდგენელი პირები, უამრავი მოქალაქეა მიწერილი ამა თუ იმ მისამართზე, მათი რიცხვი არჩევნების წინა პერიოდში, როგორც წესი, მატულობს. ესენი, ძირითადად არიან უცხოეთში მყოფი ამომრჩევლები, რომელთა რეგისტრაცია საარჩევნოდ, გამყალბებელთა ჯგუფისთვის ხელსაყრელ ტერიტორიაზე ინაცვლებს ხოლმე. მოსახლეობის შვიდმა პროცენტმა, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა, ოჯახებით დატოვეს საქართველო და ეს ადამიანები არიან დარეგისტრირებული სხვადასხვა მისამართზე, ანუ ის ყალბი პირადობის მოწმობები, რომლებიც გამყალბებელ ზონდერებს ხელთა აქვთ, ამ ადამიანების სახელზეა გაცემული. ეს გამყალბებლები ერთ დღეში შორ მანძილზე გადაადგილებას ვერ ახერხებენ და ამიტომ მათი თავმოყრა ერთ ადგილზე ხდება. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში ამ პრობლემის გადაჭრა მარტივად შეიძლება სასაზღვრო პოლიციის მეშვეობით, მაგრამ... ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ საზღვრის დაცვის პოლიციას, მათგან ხელმოწერის გარეშე გვიბრუნდება საპასუხო წერილები, არადა, ვითხოვთ საჯარო ინფორმაციას, რამდენმა ადამიანმა გადაკვეთა საზღვარი და რომელი მიმართულებით (გვარ-სახელებს არ ვითხოვთ, ვითხოვთ მხოლოდ ციფრებს), რითაც მარტივად დადგინდება, რამდენი მოქალაქე იმყოფება საზღვარგარეთ. საზღვრის დაცვის პოლიცია ამ ინფორმაციას არ გვაწვდის. მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროსაც, მაგრამ პასუხი იგვიანებს.

**– რატომ ითხოვთ საარჩევნო კოდექსში ცვლილებას უბნებზე საერთაშორისო დამკვირვებლების რაოდენობის თაობაზე?**

– ამ საკითხის განხილვა საპარლამენტო კომიტეტმა სულ რამდენიმე დღეა დაიწყო. კანონში კვლავ რჩება ჩანაწერი, რომ **"საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციას არჩევნებზე შეიძლება ჰყავდეს ორი წარმომადგენელი"**. თეორიულად ყოველთვის არსებობს ალბათობა, რომ ცესკო ამ მუხლს აამოქმედებს და უცხოელ დამკვირვებლებს ყველა უბანზე ყოფნის საშუალებას არ მისცემს.

**– თქვენი ორგანიზაცია რა სტატუსით დააკვირდება არჩევნებს?**

– ჩვენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსი გვექნება და ყველა უბანზე ერთი დამკვირვებელი გვეყოლება, არჩევნებზე ჩამოვლენ ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციებიც სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებსაც საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის სტატუსი ექნებათ.

**– პრეზიდენტმა განაცხადა, ოპოზიცია არჩევნებზე "თავის დამკვირვებლებს" მოიწვევს, რომლებიც რაც მათ სურთ, იმას დაწერენო...**

– პრეზიდენტ სააკაშვილის ეს განცხადება ძალზე შემაშფოთებელია. ეს პრეზიდენტის მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციების დისკრედიტაციის აშკარა მცდელობაა, სხვას რას ნიშნავს, როცა ამბობს, რომ ევროპელმა დამკვირვებლებმა, შესაძლოა, ყალბი დასკვნები გამოაქვეყნონ. ასეთი გამონათქვამები არის გზა სრული იზოლაციისკენ. მით უმეტეს, აღმაშფოთებელია, როცა ეს გზავნილი პრეზიდენტისგან მოდის.

**– პოლიტიკური პარტიების ფინანსურ საქმიანობაზე კონტროლი ადრე ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეროგატივა იყო, ამჟამად კი კონტროლის პალატის შესაბამის სამსახურს ევალება. რა არის ამ ცვლილების მიზანი?**

– ეს ცვლილება თავიდანვე პოლიტიკური ოპონენტების შესაძლებლობების მაქსიმალური შეზღუდვისკენ იყო მიმართული. ცესკო სადამსჯელო ორგანიზაცია ვერ გახდებოდა, მას არჩევნები აქვს ჩასატარებელი და ხელისუფლება მის რეპუტაციას უფრთხილდება. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, კონტროლის პალატას ამ ფუნქციის საკუთარ თავზე აღების არც სურვილი ჰქონდა და არც უნარი, ამიტომაც წამოიყვანეს ქალბატონი მოგელაძე პროკურატურიდან, რითაც თავიდანვე აშკარა გახდა ამ ორგანოს რეპრესიული ხასიათი. სხვა რა ჰქვია ორგანოს, სადაც მოქალაქეებს მოწმის სტატუსით იბარებენ დასაკითხად და ტანსაცმელს ხდიან, შეურაცხყოფენ, კითხვებს უსვამენ? ცხადია, გასაგებ მიზეზთა გამო, ცესკოს ამას არ გააკეთებინებდნენ. რაც შეეხება თვითონ კანონს, მის სამართლიანობას, როცა ადმინისტრაციულ რესურსზე, საბიუჯეტო სახსრებზე ხელი მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ძალას მიუწვდება, როგორ შეიძლება თანაბარ საარჩევნო-ფინანსურ პირობებზე საუბარი? როგორ შეიძლება სხვაგვარად შეფასდეს ნაცმოძრაობის ლიდერების შეხვედრები, ალა-ფურშეტები რესტორნებში საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, თუ არა წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი? ნაცმოძრაობა საბიუჯეტო თანხებით ამომრჩევლის მოსყიდვას ცდილობს.

**– თუ გაქვთ კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები?**

– **"ქართული ოცნება"** არიგებს სააგიტაციო ბუკლეტებს, სადაც ამომრჩეველს თავისი სურვილის გამჟღავნების საშუალება ეძლევა. და როცა არათუ სურვილის ასრულება, მისი გამოხატვაც არ მომხდარა, ეს არ შეიძლება ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტად შეფასდეს. სამართალდამცავმა ორგანოებმა კი განუხორციელებელი მოქმედება მოსყიდვად შეაფასეს.

**– თქვენს ორგანიზაციაში არიან ადამიანები, რომლებიც წარსულში პოლიტიკური პროცესების წარმმართველები იყვნენ – ლევან გაჩეჩილაძე, კოკა გუნცაძე... ისინი პოლიტიკას საბოლოოდ ჩამოშორდნენ?**

– ლევან გაჩეჩილაძემ და კოკა გუნცაძემ პოლიტიკური მიზნები გვერდზე გადადეს და მიიჩნევენ, რომ დღეს მათი საქმიანობა, აქტიურობა სამოქალაქო სექტორში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკაში... ჩვენ იმ ძალის ნაწილი ვართ, რომელიც წლებია ცდილობს ქვეყანაში სამართლიანი წესების დამკვიდრებას.

**– ბოლო ხანს გამოითქმება მოსაზრება, რომ საქმე, შესაძლოა, არჩევნებამდე არც მივიდეს...**

– ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური გუნდი მაქსიმალურად ცდილობს, ქვეყანაში არ დაძაბოს სიტუაცია, რისი მცდელობაც არის **"ნაციონალური მოძრაობის"** მხრიდან. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მმართველი გუნდი რეგულარულად ატარებს სოციოლოგიურ კვლევებს, რომელშიც ასახულია მათი რეიტინგის პერმანენტული დაცემა და არავინ იცის, რას გადაწყვეტს ხელისუფლება, როცა მისი რეიტინგი საგანგაშო ნიშნულს მიუახლოვდება...

**ნ. კვიტაშვილი**

# როცა სამშობლო გიყვარს შენს არსებაში




ყოველი სასიკეთო საქმის ქვაკუთხედი რომ სიყვარულია, ეს დასაბამიდან იცის კაცობრიობამ. ამიტომაც უმღერიან პოეტები ასეთი თავდავიწყებით სიყვარულის სილამაზეს, საკუთარ სულსა და გულში ატარებენ ყოველ სტროფს ბასრი ხანჯალივით, აჩუქურთმებენ ყოველ სიტყვას, ფრთებს ასხამენ ოცნებებს, უშურველად გვიზიარებენ საკუთარ აღმაფრენასა და სიყვარულს.

მართლაც დიდი მეოცნებეები არიან პოეტები, მაგრამ არც ამქვეყნიურ ცხოვრებაში ეშლებათ რამე.

მართლაც გულმართალი, შეუმცდარი ადამიანი და სრულყოფილი შემოქმედია ჩვენი მეგობარი პოეტი რეზო ჩაფიძე, რომელთან შეხვედრაც ჩვენი მრუმე ყოფის დარდს გვავიწყებს ხოლმე და მომავლის იმედით გვმსჭვალავს. სწორედ როგორც მეგობარსა და ჟურნალისტებს გვაჩუქა რეზომ თავისი ლექსების ასფურცელა წიგნი, რომელიც ამას წინათ დასტამბა გამომცემლობა **"უნივერსალმა"**. გაზეთ **"ილორის"** მკითხველებს ვთავაზობთ რამდენიმე ლექსს მხატვრული სიტყვის ოსტატის, პოეტ რეზო ჩაფიძის ახლადგამოცემული წიგნიდან:

**ტიტე ხუხუას**

**"ვინცხას" უნდა საქართველო**
**შვაზე ღობით გადაღობოს (!).**
**გაჩხერილა სიტყვა ყელში,**
**ლექსს ვერ ვამბობ სალაღობოს.**
**გაილეწა ბევრი კალო,**
**ქარი წეწავს გაშლილ ბრელოს,**
**გაუშვადღდა შენს შვიდ აპრილს,**
**აწ დაღმართში მშვიდად გევლოს (!).**
**არრის მდომს და ბევრის გამცემს**
**არ დაგიწყებ მიეთ-მოეთს,**
**"ლომთა შორის ლომს ვახლავარ",**
**კაცთა შორის უსათნოესს!**
**ერთი მინდა შენთან ერთად**
**გავიხარო, მინდა, იმ დღით,**
**"სახლს პატრონი დაუბრუნდეს",**
**პონტოს გავცქეროდე კინდღით!!!**

* * *

**დათოს**

**ოდიშში ვიყავ, ზუგდიდთან**
**– გადავიარე სინწა მე,**
**საკუთარ ხალხის გაყიდვის**
**დღესაც გულს მიკლავს სიმწარე!!!**

**წარწერა წიგნზე "შავლეგო"**

*მერაბ კოსტავას*

მე (ალბათ სხვასაც),
შენი ეს ფოტო
მაგონებს გლეხკაცს
– ქარ-წვიმით ნაცემს,
"ვაზში რო დადის ხელში სასხლავით",
– შენ სხვა იყავი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი
არავინ დადის ახლა შენსავით!!!

**მიხეილ ხერგიანს**

**ქარი უშქარი კავკასს ზედა ავად წრიალებს,**
**არვინ ელოდა, გალევიათ ჭანგი წრიაპებს,**
**თოკები კლდის ქიმს გაუხეხია(!)...**
**ალპებში "კლდის ვეფხვს" დაუცდაო ფეხი –**
**სვანეთის კოშკებს დაეცათ მეხი,**
**ზედ ბექთარ გულში გახერხია სისხლი ხერგიან**
**ბექნუს, გვარიანს უტირია მწარედ გვარლიანს**
**და ზარი უთქვამთ სვანებს ხელხელ გადაჯაჭვულებს.**
**საზარელია მოთქმა კაცების...**
**"ვოი" ბაგირი ჩაწყვეტია ცით მავალ ბოგირს,**
**მარადისობა დაერქმევა ყინულის ლოგინს**
**– შენ რომ ჩაწვები!**

დღეგრძელი იყავ, ჩვენო ძმაო და მეგობარო, რეზო!

კვლავაც დაგეპყროს პოეზიის ახალი სიმაღლეები!

**როლანდ ჯალაღანია,**
**დავით ქობალია**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ტალანტი, რომელიც დავკარგეთ – ვიტალი დარასელია მოსკოვის “ტორპედოში”!

გახსოვთ უმცროსი ვიტალი დარასელია? 30 წლის ასაკში, ქრონიკული ტრავმის მომიზეზებით, 2009 წლის იანვარში თბილისის **“ლოკომოტივიდან”** წავიდა და შემდეგ კარიერაც დაასრულა.

ჩვენს თაობას უფროსი დარასელიაც კარგად ახსოვს, განუმეორებელი ფეხბურთელი, სპორტსმენი, რომლის მიერ გერმანიის **“რაინშტადტის”** სტადიონზე გატანილმა გოლმა ისტორიული გამარჯვება მოუტანა თბილისის **“დინამოს”**. უფროსი დარასელიას დაღუპვა იყო ერის დიდი საწუხარი, რადგან არ გავუფრთხილდით ქართული სპორტის სიამაყეს, მაგრამ, ყველაზე დამაფიქრებელი ის გახლავთ, რომ არც უფროსი ვიტალი დარასელიას ხსოვნას ვეცით სათანადო პატივი და ვერც უმცროსი ვიტალი დარასელიას ნიჭი დავაფასეთ სათანადოდ, რამაც საქართველოს კიდევ ერთი დიდი ფეხბურთელი დაუკარგა.

ასე **“გვჩვევია”** ქართველებს!

გაუგებარი მიზეზების გამო, უმცროს დარასელიას არც მანამდე წყალობდნენ. არადა, ძალიან ცოტა ფეხბურთელი მოიძებნებოდა მაშინ და მით უმეტეს ახლა, ვისაც მისნაირად თამაშის საკუთარ თავზე აღებისა და შეხვედრის ბედის შემოტრიალების უნარი ჰქონდა – დღეს ქართულ ფეხბურთში ასეთი მოთამაშე სანატრელია.

უმცროსი დარასელია მამის მსგავსად შემტევი ნახევარმცველი იყო. 2002 წლის დასაწყისში კიევის ცსკა-დან თბილისის **“დინამოში”** გადავიდა და კარიერის საუკეთესო წლები სწორედ ამ კლუბში გაატარა. მაშინ მეორე წრიდან გუნდს სათავეში ხორვატი ივო შუშაკი ჩაუდგა, რომელთან ერთადაც გუნდმა ჩემპიონის ოქროს მედლები დაიბრუნა, მოიგო საქართველოს თასი, 2004 წელს კი **“თანამეგობრობის თასი”** და ეს ყველაფერი ძალიან ლამაზად და დამაჯერებლად გააკეთა...

**“თანამეგობრობის თასზე”** თბილისელებმა ექვსივე შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარეს და ტურნირის ტრიუმფატორები გახდნენ. ფინალში რიგის **“სკონტოს”** დამარცხებით (3:1) ქართული გუნდი პირველად გახდა ტურნირის გამარჯვებული. ივო შუშაკის გაწვრთნილებმა შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენეს და ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხეს.

იმდროინდელ **“დინამოში”** თამაშობდნენ: დათო გვარამაძე, კარლოს დე როჩა, მამუკა წერეთელი, გიორგი შაშიაშვილი, არჩილ სახვაძე, გიორგი ანჩაბაძე, მიხეილ ბობოხიძე, ლადო ახალაია, ლადო ბურდული, რატი ალექსიძე, სანდრო იაშვილი. მაგრამ **“დინამოს”** სული და გული დარასელია იყო – ლეგენდარული ფეხბურთელის ვაჟმა შესანიშნავად ითამაშა, ტურნირის ბომბარდირიც გახდა, საუკეთესო ფეხბურთელიც და იმ დროს აღმოსავლეთ ევროპის სატრანსფერო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მოთამაშედ აღიარეს. თუმცა საბოლოოდ, რუსეთის პრემიერლიგის ვლადიკავკაზის **“ალანიაში”** გადავიდა.

მაგრამ დარასელიას საქართველოს ნაკრებში მაინც არ წყალობდნენ. ორიოდე უმნიშვნელო მატჩზე მიიწვიეს, თავის გამოჩენის შანსი არ მისცეს და რეალურად, სწორედ ამან განაპირობა, ფეხბურთს თავი ნაადრევად რომ დაანება. არადა, **“ალანიაში”** პლეიმეიკერის პოზიციაზე საუკეთესოთა შორის ხვდებოდა და უეფას თასის მფლობელ მოსკოვის ცსკა-ს ერთხელ პირადად მოუგო – გოლი და 3 საგოლე გადაცემა ჩაიწერა.

ამბობენ, ბუნება გენიოსების შვილებზე ისვენებსო, მაგრამ უმცროს დარასელიაზე გამონაკლისი დაუშვა – დიდი ფეხბურთის თამაში მასაც შეეძლო. ჯერ კიდევ კიევის **“ბორისფენ-ცსკაში”** თამაშის დროს იტალიის სერია **“ა”**-ს **“რეჯანა”** იწვევდა და რომ არა უკრაინელების მეტისმეტი მადა – 3 მილიონი დოლარი მოითხოვეს, იტალიელები კი მილიონს უხდიდნენ, – სერია **“ა”**-ში მესამე ჩვენებურიც ითამაშებდა.

შესაძლოა, ვიტალი უმნიშვნელო შეხვედრას ზერელედ მოკიდებოდა, მაგრამ პრინციპულ მატჩს – არასოდეს! მეტიც, გადამწყვეტ მომენტში ავლენდა ხასიათს, მებრძოლ სულს და ლიდერის თვისებებს. მაგრამ ჭორებს აყოლილმა საფეხბურთო სამყარომ მასზე თვალები დახუჭა და კიდევ ერთი ტალანტი დავკარგეთ.

რამ გაგვახსენა ვიტალი დარასელია? კარიერის შემდეგ, მოსკოვში დასახლდა და ფეხბურთს გასართობად თამაშობდა, ახლა კი 33 წლის ასაკში ფუტსალში რუსეთის ჩემპიონატის მონაწილე მოსკოვის **“ტორპედოში”** ჩაირიცხა. ოღონდ ეს გუნდი არა კლასიკური, არამედ 8/8-ზე ფუტსალის ჩემპიონატში მონაწილეობს.

როგორც დარასელია უმცროსმა გვითხრა, ფეხბურთში დაბრუნებით კმაყოფილია და ბურთის გორებას კიდევ დიდხანს აპირებს.

არადა, კიდევ დიდხანს შეეძლო თამაში და სარგებლობის მოტანა, მაგრამ მიხეილ ყაველაშვილმა მოხდენილად და სამართლიანად თქვა, საქართველოში როი კინი (ანუ ხულიგანი ფეხბურთელი) რომ დაბადებულიყო, ფეხბურთს არ ათამაშებდნენო.

არადა, ფეხბურთს სწორედ დარასელიასნაირი მეომრები, ხასიათის და ჟინის მქონე კაცები თამაშობენ, წესიერი ბიჭები მათ მხოლოდ ეხმარებიან.

მაგრამ ჩვენს მენტალიტეტში ჯერ კიდევ პიონერული ფეხბურთის კულტია.



# გორის “დილა” ევროსარბიელზე ქართველების “ორჰუსს” გადაეყარა



2012 წლის 25 ივნისს, შვეიცარიის ქალაქ ნიონში ევროპა-ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის კენჭისყრა გაიმართა, სადაც საქართველოს თასის 2011/2012 წლების გათამაშების გამარჯვებული, გორის **“დილა”** იასპარეზებს.

მართლაც ბედის ირონია გახლავთ ის, რომ ევროსარბიელზე თემურ შალამბერიძის გუნდის პირველივე მეტოქე, ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობი – დანიური **“ორჰუსი”** იქნება, მერამდენე წელია რომელშიც ქართველი ლეგიონერები დავით სხირტლაძე და დავით დევდარიანი გამოდიან.

გორელთა გუნდი პირველ მატჩს სტუმრად 19 ივლისს გამართავს, დანიურ გუნდს კი შინ 26-ში მიიღებს.

ვერ ვიტყვით, რომ გორელებს ამ არჩევნით ძალიან გაუმართლათ – მხედველობაშია მისაღები ის სერიოზული გარემოება, რომ დანიის **“ორჰუსმა”**, რომელიც ორგანიზებული შეტევებითა და საიმედო დაცვით გამოირჩევა, ქვეყნის შიდა ჩემპიონატში გასული სეზონი მე-5 ადგილზე დაასრულა.

ასე რომ, წინ დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი, რისთვისაც გორელები უკვე საგულდაგულოდ ემზადებიან.

## იუმორი

* * *

კაცმა თუთიყუში იყიდა, სახლში მიიყვანა, გალიაში ჩასვა და ფანჯრის რაფაზე შემოდგა. მეორე დღეს გაიარა პოლიციელმა. თუთიყუშმა დაინახა თუ არა დაუძახა:

– გათახსირებულო ძაღლო!

პოლიციელი პატრონთან მივიდა და დააჯარიმა. იგივე განმეორდა რამდენჯერმე. პატრონს ამდენი ჯარიმის გადახდა მობეზრდა და თუთიყუში მეზობლად მცხოვრებ ღვთისმსახურს მიაბარა. ერთი კვირის შემდეგ, პოლიციელმა ფანჯარას ჩაუარა, მაგრამ თუთიყუშმა ხმა არ ამოიღო. პოლიციელმა რამდენჯერმე ჩაუარა ფანჯარას, მაგრამ თუთიყუშმა ყურადღება არ მიაქცია. ბოლოს პოლიციელი მივიდა და ეუბნება:

– რა, ვეღარ მცნობ? ეს ხომ მე ვარ, გათახსირებული ძაღლი.

– გვიან ინანიებ, შვილო ჩემო, – უპასუხა თუთიყუშმა.

* * *

სტომატოლოგთან:

– ეს კბილი ამოსაღებია, ქალბატონო. აი, ახლა მე გაზს მოგკიდებთ კბილზე, თქვენ ხელი მომიჭირეთ, რომ არ გეტკინოთ

– ვაიმე, სად, ბატონო ექიმო?!

* * *

ნაციონალთა კრედო: ვისაც გულში შიში არა აქვს, მის თავში ყოველთვის მოიძებნება ადგილი ტყვიისათვის.

# „ქართუ ჯგუფს“ ტაძრის მშენებლობა შეაჩერებინეს



საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი ნიკო დადიანი ზუგდიდიდან გვატყობინებს, რომ ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია **„ქართუ ჯგუფში“** შემავალ საქველმოქმედო ფონდ **„ატუს“** ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში მშენებარე ხარების სახელობის ტაძრის სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების უფლებას არ აძლევს. საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით, **„ატუს“** ეკლესიის გადახურვის სამუშაოები უნდა შეესრულებინა და აეშენებინა სამრეკლო, საკვირაო სკოლა და სატრაპეზო.

ფონდმა ეკლესიის სამშენებლო სამუშაოები ერთი კვირის წინ მას შემდეგ დაიწყო, რაც საპატრიარქოსგან **„ქართუ ჯგუფმა“** ტაძრის სამშენებლო სამუშაოების დასრულების თაობაზე თხოვნის წერილი მიიღო.

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის პრესსამსახურის თანამშრომელი, დეკანოზი მალხაზ ჭანტურია ჟურნალისტებთან საუბარში განმარტავს, რომ მშენებლობის შეჩერების მოტივი ტაძრის არქიტექტურაა, რომელიც საპატრიარქოს მიერ დაწესებულ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ტაძრის სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ ინფორმაცია პატრიარქის ყურამდე მივიდა, რომელიც ამ საკითხზე ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ეპისკოპოსს, მეუფე გერასიმეს შეხვდება.

აღსანიშნავია, რომ ნარაზენის ტაძარს ადგილობრივი მოსახლეობა 11 წლის განმავლობაში საკუთარი სახსრებით აშენებდა, თუმცა მსგავსი პრობლემა არ შეჰქმნია. ტაძრის არქიტექტურა, რომელიც საპატრიარქოს ხუროთმოძღვარ ელგუჯა გოგოხიას შექმნილია, 2002 წელს თავად საპატრიარქომ დაამტკიცა.

**ნიკო დადიანი**
**საქინფორმი**

**რედაქციისაგან** – მოკლედ, ოღონდ ბიძინა ივანიშვილს რაიმე სასიკეთო საქმე არ გააკეთებინონ და სააკაშვილის ძირმორყეული ხელისუფლება იმაზეც კი წავა, რომ ამ ქველმოქმედი ბიზნესმენის მიერ საკუთარი სახსრებით აგებული სამების ტაძარიც კი დაანგრიოს და დაამხოს.

ამათ რომ ჰკითხო, საქართველოს დიდი გულშემატკივრები არიან, სინამდვილეში კი, უფრო დიდი მტერი საქართველოს ჯერ არ ჰყოლია...

# რუსთავში გველმა 30 წლის მამაკაცი დაკბინა

რუსთავში გველმა 30 წლის ბესიკ ლომსიძე დაკბინა.

გიურზამ მას ფეხზე მაშინ უკბინა, როდესაც იგი ერთ–ერთ სამშენებლო ობიექტზე ზედამხედველის სამუშაოს ასრულებდა.

დაზარალებული კატასტროფის ბრიგადამ თბილისში მიხაილოვის საავადმყოფოში გადმოიყვანა, სადაც მას ნაკბენის საწინააღმდეგო შრატი გაუკეთეს.

ექიმების ინფორმაციით, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია.

საქართველოს გაჭირვებულ მოსახლეობას თითქოს სხვა პრობლემები გვაკლდეს ნაციონალთა შემოსევისაგან, ახლა გველებიც რომ შემოგვესივნენ!



ISSN 1987-8966 “ილორი”

9 771987 896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge